

178
1959

ଓଲିଙ୍ଗତରେଣୁ
ବୋଲିଙ୍ଗାରୀ

ସେୟାର
ମାନୁଷଙ୍କା

38

1

1959

საქართველოს სამართლი

Nº 1

იანვარი-თებერვალი
1959 წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის
და უმაღლესი სასამართლოს

ორ თე ვიური შ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა რ ს ი

8. ო წ ი ნ ა ვ ე — უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებები	88
თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ვ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი — სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები	3
ბ. ფ უ რ ც ხ ვ ა ნ ი ძ ე — ახალი კანონების სასამართლო წყობილების, კანონმდებლობის საფუძვლებისა და სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების შესახებ	8
ა. გ ე ლ ა რ ვ ა ნ ი — დამცველის გაზრდილი პროცესუალური როლის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში	18
ბ. გ ე ლ ხ ვ ა ძ ე — საგამომძიებლონ და ოპერატიულ მუშაობათა სწორად დაგეგმვის შედეგად	23
ლ. ჯ ღ ა რ კ ა ვ ა — საქართველოს ბუნების დაცვა საყოველთაო სახალხო საქმეა	27
ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე — ტერმინი „ცდა“ და მიაი მნიშვნელობა	30
გ. ს ვ ე რ დ ლ ა ვ ი — განქარწინების შესახებ	33

შიდა და განვითარების ახალი კანონების განვითარების

ს. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, გ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, ა. ხ ო ჭ ი ლ ა ვ ა — საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის შედეგისათვის	51
ი. მ ი ქ ა უ ტ ა ძ ე — განარახ მქონელობის დროს განუცხადებლობის დასჯადობის შესახებ	60
ე. ნ ე ი ძ ე — ზოგიერთი პროცესუალური საკითხის შესახებ შრომითი დაცვის განხილვისას	62

საუზრუნველობის სახალხო მსაჯულებითან

საუბარი მეცნიერებების — საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესის ძირითადი ცნებები	66
--	----

* * *

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას	72
ინფორმაცია	77



СОДЕРЖАНИЕ

	стр.
П е р е д о в а я — Решения большой государственной важности	3
Т. Церетели, В. Макашвили — Основы уголовного законодательства Союза ССР и союзных республик	8
Б. Шурихванидзе — Новые законы об основах судоустройства и уголовного судопроизводства	18
А. Геловани — О возвращшей роли защитника в советском уголовном процессе	23
М. Вепхвадзе — В результате правильной планировки следственной и оперативной работы	27
Л. Джгаркава — Защита природы Грузии—всеноародное дело	30
Н. Сургуладзе — Термин „покушение“ и его значение	33
Г. Свердлов — О разводе	39

ПРЕДЛОЖЕНИЯ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

C. Джапаридзе, Г. Тархнишвили, А. Хочолава — К составлению проекта кодекса гражданского права Грузинской ССР	51
И. Микаутадзе — О недонесении при умышленном убийстве	60
Е. Неидзе — Некоторые процессуальные вопросы разрешения трудовых споров	62

БЕСЕДЫ С НАРОДНЫМИ ЗАСЕДАТЕЛЯМИ

Беседа пятая — Основные понятия советского гражданского процесса	66
* * *	
Юридическая консультация населению	72
Информация	77

უღიღესი სახელმწიფო განვითარების მნიშვნელობის გარენვიზობილები

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეორე სესიამ, რომელმაც 1958 წლის 25 დეკემბერს დაამტკიცია მეტად ნაყოფიერი და შინაარსიანი მუშაობა, მიიღო მთელი რიგი თავრა თავისი მეტად ნაყოფიერი და შინაარსიანი მუშაობა, მიიღო მთელი რიგი უნიშვნელოვანები. ამ კანონებს უდიდესი სახელმწიფო ბრივი, სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ.

უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამტკიცა 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. 1959 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 723.369.159 ათას მანეტის შეადგენს, ხოლო გასავალი 707.637.887 ათას მანეტის. მიმღინარე წლის ბიუჯეტის, როგორც შემოსავალი ისე გასავალი გაცილებით აღემატება გასული წლის ბიუჯეტის მონაცემებს.

1959 წლის ბიუჯეტიდან თითქმის 309 მილიარდი მანეთი დაიხარჯება მძიმე მრეწველობის, სააღმშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებისა და აღმავლობის საჭიროებისათვის. 232 მილიარდ მანეთზე მეტი გათვალისწინებულია სახალხო განათლების, ჯურიტურის, პენსიებისა და სხვა ხარჯების დასაფარავად.

1959 წლის ბიუჯეტი საბჭოთა კავშირის მშენებლობისა და განვითარების ბიუჯეტია, იგი მთლიანად და საგებით ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას და კომუნიზმის მშენებლობის შვიდწლიანი დიადი გეგმის პირველი წლის ამოცანებს.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებულ კანონს „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“.

ამ კანონის შესაბამისად შემოღებულია რვაწლიანი საყოფალოთაო საგალდებულო სწავლება, ღღემდე აჩსებულ შვიდწლიანი სწავლების ნაცვლად.

როგორც კანონის პირველ მუხლშია ნათქვამი, საბჭოთა სკოლის მთავარი ამოცანა მოამზადოს მოსწავლები ცხოვრებისათვის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, კიდევ უფრო აამაღლოს მათი ზოგადი და პოლიტიკური განათლების დონე, მოამზადოს განათლებული ადამიანები, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ მეცნიერებათა საფუძვლები, აღზარდოს ახალგაზრდობა სოციალისტური საზოგადოების პრინციპებისადმი დიდი პატივისცემის სულისკვეთებით, კომუნიზმის იდეების სულისკვეთებით.

საშუალო სკოლაში სწავლებისა და აღზრდის საქმეში მთავარ, წამყვან ხარჯისად უნდა დამკვიდრდეს სწავლების მჭიდრო კავშირი შრომასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

საბჭოთა უმაღლესი სკოლა მოწოდებულია მოამზადოს მრავალმხრივი განთლებული ადამიანები, რომელგმაც ზედმიწევნით უნდა იცოდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის შესაბამისი დარგები.

ახალი კანონით „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ უმაღლესი სკოლის წინაშე დასმულია ამოცანა მოამზადოს მაღალკალიფიციური სპეციალისტები, აღზრდილი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძლებზე, დაუფლებული სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, რომელთაც კარგად ეცოდინებათ საქმის პრაქტიკა, შეეძლებათ არა მარტო მთლიანად გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკა, არამედ კიდევაც შექმნან მომავლის ტექნიკა.

უმაღლესი სკოლის ამოცანაა შესარულოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც ხელს უწყობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტას, აამაღლოს სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების სხვადასხვა დარგში დასაქმებულ სპეციალისტთა კვალიფიკაცია; გაავრცელოს მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნა მშრომელთა შორის.

აღნიშნულ კანონში, არა მარტო მოცემულია სახალხო განათლების შემდგომი განვითარების პრინციპები, არამედ დასახულია მისი განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებებიც.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცება არა მარტო გააუმჯობესებს კადრების მომზადებას, არამედ მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის უზრუნველსაყოფად, პიროვნების მრავალებრივ განვითარებისათვის, გონიერობისა და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი სხვაობის ღიკვიდაციისათვის.

უმაღლესმა საბჭომ დამტკიცა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლები, სსრ კავშირის, მოკავშირე და კვტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლები, სამხედრო ტრიბუნალების დებულება. უმაღლეს საბჭოს სესიამ მიიღო კანონები სახელმწიფო და სამხედრო ბულება. უმაღლეს საბჭოს სესიამ მიიღო კანონები სახელმწიფო და სამხედრო მართლოს მიერ საარჩევნო უფლებების აყრის გაუქმების შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალისტური კანონიერება ემსახურება საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცების საქმეს, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ უმაღლეს საბჭოს სესიის მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო წარმოების საფუძვლებისა და სხვა კანონების მიღებას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ახალი კანონების მიღება მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოქმედი ძირითადი საწყისები, ისევე როგორც ბევრი სხვა კანონები მიღებული იქნენ 30 წლის წინათ, ისინი ბევრ რამეში მოქველდნენ და საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ღვევანდელ ეტაპს აღარ შეესაბამებოდნენ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები ითვალისწინებენ მოკავშირე რესპუბლიკების ფართო უფლებებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარგში. სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების, სასამართლო წყობილების საფუძვლების შესაბამისად და

სხვა საერთო-საკავშირო კანონების გათვალისწინებით მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები მიიღებენ სისხლის სამართლის კოდექსებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებს და კანონს სასამართლო წყობილების შესხებ. ამ მიმართებით მოკავშირე რესპუბლიკებს მოუხდებათ უახლოეს დროში დიდი საპასუხისმგებლო მუშაობის ჩატარება.

უურნალი „საბჭოთა სამართალი“ თავის თანამშრომელთა და მკითხველთა სახით მოწოდებულია სათანადო სამსახური გაუწიოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს ამ ფრიად დიდი ამოცანის შესრულებაში.

უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ახალი კანონები მთელი სიცხადით ითვალისწინებენ, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავიცვათ ჩვენი სახელმწიფო და ამ სახელმწიფოში დამყარებული მართლწესრიგი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, აგრეთვე, რომ საჭიროა მტკიცედ დავიცვათ მოქალაქეთა პიროვნება და უფლებანი.


სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები ითვალისწინებენ ერთის მხრივ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემცირებას და შერბილებას იმ დანაშაულებრივ ქმედობის გამო, რომელიც დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან გაძლიერებას ყველაზე მძიმე დანაშაულებისათვის სახელმწიფოს წინააღმდეგ, აგრეთვე დანაშაულობისათვის მოქალაქეთა სიცოცხლისა და განმრთელობის წინააღმდეგ, სოციალისტური, სახალხო საკუთრების დიდი რაოდენობით დატაცებისათვის. სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძლები ითვალისწინებენ აგრეთვე საშიშ რეციდივისტთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების ერთერთ მეტად მნიშვნელოვან საწყისს ის წარმოადგენს, რომ მასში ზუსტად და ნათლად არის ასახული პრინციპი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული დანაშაულისათვის, რითაც გადაჭრით უარყოფილია დღე-მდე მოქმედ კანონში არსებული ანალოგის პრინციპი. ახალი საფუძლები ითვალისწინებენ სასჯელის ინდივიდუალიზაციას დანაშაულის სიმბიმის მიხედვით.

ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე დებულება იმის შესახებ, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალეულობისა და სასჯელის შეფარდების საყითხი შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მხოლოდ კანონის შესაბამისად არჩეული სასამართლოს მიერ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი საფუძლების თანახმად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა — 10 წელი, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის — 15 წელი, რითაც საგრძნობლად შემცირებულია ამჟამად მოქმედი თავისუფლების აღკვეთის ვადები.

საბჭოთა სახელმწიფო იძულებულია, როგორც ღროებითი ზომა ჯერ კიდევ დატოვოს ისეთი სასტიკი სასჯელი, როგორიცაა სიკვდილით დასჭა, მაგრამ ამ სასჯელის შეფარდების შესაძლებლობა ახალი კანონით მეტად შეზღუდულია. იგი შეიძლება მშვიდობიანობის დროს დაშვებული იქნას მხოლოდ ისეთი უმძიმესი ბოროტმოქმედების ჩადენის შემთხვევაში, როგორიც არის სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, ღივერსია, ტერორისტული აქტი, ბანდიტიში და განზრას მკვლელობა. ჩადენილი დამამიმებელ გარემოებებში.



საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის წარმოების საფუძვლებში მოცემულია სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების და განხილვის მაქსიმალურად მზანეშეწონილი, მეცნიერულად დასაბუთებული წესები.

საფუძვლები, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრავს სისხლის სამართლის წარმოების ამოცანებს. ეს ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფილი იქნას დანაშაულთა სწორად და სრულად გამოაშკარავება, ბრალდებულთა მხილება და კანონის სწორი შეფარდება ისე, რომ ყველა, ვინც დანაშაულს ჩაიდენს, სამართლიანად დაისახოს და არც ერთი უდანაშაულო არ იქნას მიცემული სისხლის სამართლის პასუხისებებაში.

სისხლის სამართლის წარმოების საფუძვლებით კიდევ უფრო მეტად გაფართოებულია პიროვნების პროცესუალური უფლებები. ამჟამად მოქმედ პროცესუალურ კნონმდებლობისაგან განსხვავებით ახალი საფუძვლების მე-12 მუხლის შესაბამისად ბრალდებულს დამცველი შეუძლია ყავდეს ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების პროცესში არასრულწლოვან დამნაშავეებს და მათ, ვისაც ფიზიკური ან ფინანსური ნაკლის გამო თვითონ არ შეუძლიათ განახორციელონ თავისი უფლება დაცუაზე ბრალდების წარდგენის მომენტიდან, ხოლო დანარჩენთ წინასწარი გამოძიების მასალების ბრალდებულისათვის გასაცნობათ წარდგენის მომენტიდან. წინასწარი გამოძიების პროცესში ბრალდებულის ეს უფლება საშუალებას მისცემს მას დაიცვას თავი უსაფუძვლო ბრალდებისაგან და საგრძნობლად გააუმჯობესებს წინასწარი გამოძიების ხარისხს.

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლები განსაზღვრავენ სოციალისტური მართლმსაჯულების ამოცანებს და მისი ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს.

სასამართლო წყობილების საფუძვლებში შენარჩუნებულია სასამართლო ორგანოების არსებული სისტემა, რომელიც განიჩევა სიმარტივითა და მისაწყდომია მოსახლეობისათვის. ამავე ღროს საფუძვლები ითვალისწინებენ სახალხო სასამართლოების ამჟამად მოქმედი საუბნო სისტემის შეცვლას რაიონის, ქალაქის ერთიანი სახალხო სასამართლოთი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულებით სახალხო სასამართლოთა საუბნო სისტემა შეცვლილი იქნა სარაიონ-საქალაქო გაერთიანებული სასამართლოთი, ასე, რომ ორ წელზე მეტია რაც საქართველოში სახალხო სასამართლოების რეორგანიზაცია ჩატარდა და როგორც ამ ორი წლის მუშაობის პრაქტიკა გვიჩენებს, სახალხო სასამართლოთა საუბნო სისტემის შეცვლამ მხოლოდ დადგენითი შედეგები მოგვცა.

არსებითი ცვლილებებია შეტანილი სახალხო სასამართლოების არჩევის წესში. გადიდებულია სახალხო მოსამართლეთა რწმუნების ვადა სამიღან ხუთწლადე; სახალხო სასამართლოების მსაჯულები აირჩევიან ორი წლის ვადით მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე მათი მუშაობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე. სახალხო სასამართლოების ასეთი წესით არჩევა უზრუნველყოფს მშრომელთა მასების კიდევ უფრო მეტ უშუალო მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში.

სასამართლო წყობილების საფუძვლები ითვალისწინებენ მოკავშირე რეს-

პუბლიკების უმაღლესი სასამართლოების შემადგენლობაში პლენუმის შექმნას
მოკავშირე რესპუბლიკების შეხედულებისამებრ უმაღლეს სასამართლოების
შემადგენლობაში გარდა პლენუმისა, შეიძლება შეიქმნას პრეზიდიუმიც. პლე-
ნუმისა და პრეზიდიუმის კომპეტენციას განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლი-
კების საკონსალტაციო თანამდებობის მიერ შემოსის შექმნას პრეზიდიუმიც. პლე-
ნუმისა და პრეზიდიუმის კომპეტენციას განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლი-
კების საკონსალტაციო თანამდებობის მიერ შემოსის შექმნას პრეზიდიუმიც. პლე-
ნუმისა და პრეზიდიუმის კომპეტენციას განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლი-
კების საკონსალტაციო თანამდებობის მიერ შემოსის შექმნას პრეზიდიუმიც. პლე-
ნუმისა და პრეზიდიუმის კომპეტენციას განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლი-
კების საკონსალტაციო თანამდებობის მიერ შემოსის შექმნას პრეზიდიუმიც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე ოცდაზერთე ყრი-
ლობის გადაწყვეტილებები, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამო-
ცანები საბჭოთა აღამიანებისაგან მოითხოვენ მაღალ თანაცხოვრების ნორმე-
ბის მკაფიოდ და განუხრელ შესრულებას. ეჭვს გარეშეა, რომ სსრ კავშირის უმაღ-
ლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეორე სესიის მიერ მიღებული კანონები უდი-
დეს როლს შესრულებენ სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცე-
ბის საქმეში.

სსრ კავშირის და მოკავშირე გესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის სავაჭრობი

პროფ. თ. ჭერეთელი, ვ. მაყაზვილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცნიერებული მოწვევის მეორე სესიამ დამტკიცა ისტორიული მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტი — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები. ეს აქტი მნიშვნელოვნაო ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას ჩვენს ქვეყანაში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისები, რომლებიც 1924 წელს იყო მიღებული, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად მოძველდა და მთელ რიგ შემთხვევებში არსებით შეცვლას მოითხოვდა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამჟამად მიღებულ საფუძვლებში ასახულია ის კარდინალური ცვლილებები, რომლებიც მოხდა საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. ამასთან ერთად სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში შენარჩუნებულია პრინციპული მნიშვნელობის ქველი საკანონმდებლო ნორმები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საფუძვლების პროექტის მოხსენების დროს დეპუტატებმა დ. პოლიანსკიმ აღნიშნა: „საკანონმდებლო განზრახულებათა კომისია ახალი კანონპროექტების მზადების პროცესში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის ბევრი მნიშვნელოვანი დებულება, რომელიც შემოწმებულია ცხოვრებით და სახელმწიფო მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილებით“.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები ამავე დროს იმ მყარ საძირკველს წარმოადგენს, რომელზედაც მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა უნდა აშენდეს. სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში ზუსტად არის გამიჯნული საკანონმდებლო კომპეტენცია საბჭოთა კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. სსრ კავშირის კომპეტენციას ეკუთვნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შემუშავება. ამასთან ერთად სსრ კავშირის კანონმდებლობა განსაზღვრავს პასუხისმგებლობას სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულთათვეის, აგრეთვე აუცილებელ შემთხვევაში — სხვა დანაშაულისთვისაც, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის ინტერესების წინააღმდეგ. მოკავშირე რესპუბლიკები გამოსცემენ სისხლის სამართლის კოდექსებს, რომლებიც საფუძვლებს უნდა ემყარებოდნენ, მათ განვითარებას და კონკრეტიზაციას უნდა წარმოადგენდნენ.

როგორც სსრ კაგშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-2 მუხლშია აღნიშნული, ეს საფუძვლები „განსაზღვრავენ სსრ კაგშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრინციპებს და აწესებენ მის ზოგად დებულებებს“. ცხადია, ეს პრინციპები და ზოგადი დებულებები სავალდებულო ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ზოგად ნაწილში ყველა ეს პრინციპი და ძირითადი დებულება ასახული უნდა იყოს მათი არსის შეუცვლელად. სისხლის სამართლის კოდექსებში გათვალისწინებული დებულებანი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არ შეესაბამებოდნენ, მით უმეტეს, ეწინააღმდეგებოდნენ „საფუძვლების“ დებულებებს. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს „საფუძვლების“ ნორმები მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში მექანიკურად, ყოველგვარი რედაქციული და სტრუქტურული ხსიათის ცვლილების გარეშე უნდა იქნენ შეტანილი. როგორც უკვე აღნიშნული იყო, მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება აქვთ შეავსონ და განავითარონ „საფუძვლებში“ მოცემული ნორმები. ზოგჯერ „საფუძვლები“ პირდაპირ მიუთითებენ ასეთი შევსების საჭიროებაზე. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს როგორც ზოგიერთი სტრუქტურული ხსიათის ცვლილება (კოდექსის თავების, მუხლების თავსებური დალაგება, გადატან-გადმოტანა და ა. შ.), ისე რედაქციული ხსიათის ცვლილებებიც. ასეთი სახის ცვლილებები, დამატებანი და სხვ. გაამდინრებენ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებს და ასახავენ ამ კოდექსებში ადგილობრივ თავისებურებებს. რაც შეეხება იმ საერთო საკავშირო კანონებს, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ცალკეულ დანაშაულთათვის (მაგალითად კანონი სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, ან კანონი სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ), ასეთი კანონები საესებით უცვლელი სახით უნდა იქნენ შეტანილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში.

სოციალისტური კანონიერების პრინციპის შემდგომ განმტკიცებას განსაკუთრებით ხელს უწყობს „საფუძვლებში“ იმ დებულების აღიარება, რომ არავინ არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებაში, თუ არ არის ჩადენილი კანონით დანაშაულად აღიარებული ქმედობა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, დაწყებული 1922 წლიდან, უშვებდა სისხლის სამართლის კანონის გამოყენებას ანალოგით, ე. ი. დანაშაულად ითვლებოდა არა მარტო კანონით პირდაპირ აკრძალული ქმედობა, არამედ ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობაც, რომელიც კანონით თუმცა პირდაპირ გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ პგავდა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლით პირდაპირ აკრძალულ ქმედობას. ამასთან ერთად, 1924 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების 22-ე მუხლის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების (საჭართველოს სსრ სს კოდექსის 35-ე მუხლის) თანახმად სასამართლოს შეეძლო გასახლება და გადასახლება გამოყენებია იმ პირის მიმართაც, რომელიც სისხლისამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემული არ ყოფილა ან რომლის მიმართ გამატართლებელი განაჩენია გამოტანილი, თუ სასამართლო ცნობდა, რომ იგი სოციალურად საშიში პიროვნებაა. ეს უკანასკ

ნელი ნორმა, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1945 წლის 12 ივნისის დადგენილებისა, ძალადაცარგულად ითვლებოდა 1939 წლის სასამართლოს წყობილების კანონის საფუძველზე. რაც შეეხება დანაშაულის ანალოგიას, იგი დღემდე რჩებოდა და მხოლოდ ახალმა საფუძვლებმა პირველად ხელი აიღოს მასზე.

ანალოგიის პრინციპის უარყოფა და ლეგალობის პრინციპის განმტკიცება „საფუძვლების“ მთელ რიგ მუხლებშია ხაზგასმული. ასე მაგალითად მე-3 მუხლში მითითებულია, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვინც განზრას ან გაუფრთხილებლობით ჩაიღინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“. ლეგალობის პრინციპის გამოხატულებას წარმოადგენს აგრეთვე „საფუძვლების“ მე-6 მუხლიც, რომლის თანახმად, „ქმედობის დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება ამ ქმედობის ჩადენის დროს მოქმედი კანონით“ და „კანონს, რომელიც აქვთ ქმედობის დასჯადობას ან აძლიერებს სასჯელს, უკუქცევითი ძალა არა აქვს“. დაბოლოს იგივე პრინციპია გამოხატული დანაშაულის განსაზღვრაში, რომელიც ასე იწყება: „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“... (მუხ. 7).

ამგვარად, „საფუძვლების“ მიერ ურყევად აღიარებულია, რომ იმ საკითხის გადაწყვეტა, ლირსა თუ არა გარკვეული ქმედობა სისხლის სამართლებრივი სასჯელისა, სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო კომპეტენციას ეკუთვნის. მხოლოდ კანონს, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს მთელი მშრომელი ხალხის ნების გამოვლინებას წარმოადგენს, შეუძლია განსაზღვროს ის ნიშნები, რომელიც ახასიათებენ ქმედობას როგორც საზოგადოებრივად საშიშს და დასჯედს. დანაშაულის შემადგენლობათა ზუსტად განსაზღვრა თვით კანონის მიერ შესაძლებლობას იძლევა ნათლად გავმიჯნოთ სისხლის სამართლის წესით დასჯელ ქმედობათა წრე იმ ქმედობათაგან, რომელთაც სისხლის სამართლი არ შეეხება, და ერთგვაროვნად განვახორციელოთ მართლმსაჯულება სისხლის სამართლის სფეროში. დანაშაულის შემადგენლობის დადგენა მხოლოდ კანონის მიერ უზრუნველყოფს ამავე დროს მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოების ცალკეულ წარმომადგენელთა თვითნებობისაგან. ამიტომ „საფუძვლების“ მიერ ანალოგიის პრინციპის უარყოფა წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს საბჭოთა სისხლის სამართლის შემდგომ დემოკრატიზაციისაკენ და მართლმსაჯულების განმტკიცებისაკენ.

იმ დებულებასთან ერთად, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული კონკრეტული საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის, „საფუძვლები“ მეორე დებულებასაც ითვალისწინებენ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კანონიერების ერთგვაროვნად განხორციელებისათვის. სახელდობრ „საფუძვლების“ 32-ე მუხლში აღნიშვნულია, რომ „სასამართლო ნიშნავს სსჯელს კანონის იმ მუხლით დადგენილ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმებლობას ჩადენილი დანაშაულისათვის...“

დაბოლოს, „საფუძვლებში“ ჩამოყალიბებულია მესამე, უაღრესად დიდი პრინციპული მნიშვნელობის დებულება, რომლის თანახმად, „სისხლის სამართლის სასჯელი გამოიყენება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით“ (მუხ. 3, ნაშილი

მეორე): ამ დებულებით კატეგორიულად აღკვეთილია სასამართლოს გარეშე რეპრესიის ყოველგვარი შესაძლებლობა.

„საფუძვლებში“ შენარჩუნებულია დანაშაულის ცნების მატერიალური განსაზღვრა, რომელიც სოციალისტური სისხლის სამართლის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მე-7 მუხლის თანახმად, დანაშაულად ითვლება „სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ ან სახელმწიფო წესშეყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომითს, ქონებრივ ან სხვა უფლებებს, აგრეთვე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ყოველი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც ხელყოფს სოციალისტურ მართლწესრიგს“. ამ განმარტებაში, ფორმალურ მომენტთან ერთად (ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით), მოცემულია დანაშაულის მატერიალური ნიშანიც, რომელიც მის სოციალურ არს გამოხატავს (ქმედობა, რომელიც ხელყოფს ერთერთ ჩამოთვლილ ობიექტს). საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულის შემადგენელი აუცილებელი ელემენტი, განსაკუთრებით ხაზგასმულია ამავე მუხლის მეორე ნაწილში, სადაც ნათქვამია: „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირემნიშვნელოვანების გამო საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს“.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი ჰუმანიზაციის მაჩვენებელია „საფუძვლების“ ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. „საფუძვლების“ მე-10 მუხლის თანახმად, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყება, როგორც საერთო წესი, 16 წლის ასაკიდან. მხოლოდ ზოგიერთი სახის დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში შეიძლება მიეცეს აგრეთვე ის პირი, ვისაც 14 წელი შეუსრულდა. ამ დანაშაულთა ჩამოთვლა ამომწურავად არის მოცემული თვით კანონში. ეს ისეთი დანაშაულებრივი ქმედობებია, რომლებიც სხვებზე უფროა გავრცელებული საზოგადოებაში და რომელთა საზოგადოებრივად საშიში და ზნეობრივად დასაგმობი ხასიათის შეგნება აღამიანს შედარებით უფრო აღრინდელ ასაში უვითარდება. სახელდობრ ეს არის: მკვლელობა, სხეულის განზრას დაზიანება, გაუპატიურება, ყაჩაღური თავდასხმა, ქურდობა, ბოროტი ხულიგნობა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრას დაზიანება ან განაღვეურება, რასაც მიმეგ შედეგი მოჰყვა, და განზრას ისეთი მოქმედების ჩადენა, რასაც შეეძლო გამოეწვია მატარებლის მარცხი (მუხ. 10).

ითვალისწინებს რა არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობას ზემოდდასახელებულ დანაშაულთათვის, კანონი ამავე დროს მიუთითებს, რომ თუ 18 წლის ასაკამდე მიუღწეველი არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი ქმედობა დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ შეიცავს და თუ ამასთანავე მისი ჩამდენი პირის გამოსწორება სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოუყენებლად შესაძლებელია, სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს ასეთი პირის მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ოღნისძიება (მუხ. 10, ნაწ. 3). გარდა ამისა, არასრულწლოვანს 18 წლამდე არ შეიძლება შეეფარდოს სიკვდილით დასჯა (მუხ. 22, ნაწ. 2),

გადასახლება და გასახლება (მუხ. 24, ნაწ. 5). თავისუფლების აღკვეთის ვადა არასრულწლოვანისათვის არ შეიძლება აღმატებოდეს 10 წელს, თუნდაც მას ჩადენილი პქონდეს დანაშაული, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით (მუხ. 23, ნაწ. 2). თავისუფლების აღკვეთას არასრულწლოვანი იძლიან არასრულწლოვანთა შრომითს კოლონიებში (მუხ. 23, ნაწ. 3). ამასთან ერთად არასრულწლოვანთათვის შემოღებულია ვადამდე განთავისუფლებისა და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შედავათიანი წესი (მუხ. 45).

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ „საფუძვლების“ ნორმებს ბრალისა და მისი ფორმების შესახებ. „საფუძვლების“ მე-3 მუხლში, რომლის სათაურიც არის „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები“, აღნიშნულია, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში შეიძლება მიეცას და დაისაჭიროს მხოლოდ ის პირი, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე. ი. ვინც დანაშაული განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა. ამგვარად ბრალი, ე. ი. პირის გასაყიცხი ფსიქიური დამოკიდებულება ქმედობასთან და მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან აღიარებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითად საფუძვლად და ამით გამორიცხულია ყოველგვარი შესაძლებლობა ობიექტური შერაცხვისა.

დახვეწილი და სრულყოფილია თვით ბრალის ფორმების — განზრახვისა და გაუფრთხილებლობის განსაზღვრა. განზრახვის ინტელექტუალური მხარე, საფუძვლების მე-8 მუხლის თანახმად, არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ პირი ითვალისწინებს თავისი ქმედობის ფაქტიურ ნიშნებს, ე. ი. მიზეზობრივ კავშირს მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის, და დანაშაულის შემადგენლობის სხვა ელემენტებს. ამასთან ერთად განზრახვა, „საფუძვლების“ თანახმად, გულისხმობს თვით ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებასაც. პირი შეიძლება ითვალისწინებდეს შედეგს, შეიძლება ითვალისწინებდეს მიზეზობრივ კავშირს თავის ქმედობასა და შედეგს შორის, სურდეს ეს შედეგი ან შეგნებულად უშვებდეს მას, მაგრამ იგი არ ჩაითვლება განზრახ დანაშაულის ჩამდენად, თუ შეგნებული არ პქონდა, რომ მისი მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია, ე. ი. რომ ეს მოქმედება ხელყოფს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას. საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების შეტანა განზრახვის ცნებაში აძლევს ამ უკანასკნელს განსაზღვრულ მორალურ-პოლიტიკურ ელფერს. კანონმდებელი ამით აღიარებს, რომ ბრალეულად მხოლოდ ის მოქმედებს, ვინც მორალურ-პოლიტიკურ გაკიცხვას იმსახურებს.

გაუმჯობესდა აგრეთვე დაუდევრობის განმარტებაც. 1924 წლის „ძირითადი საწყისებისა“ და მოკავშირ რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების თანახმად, დაუდევრად მოქმედად ითვლებოდა ის პირი, ვინც არ ითვალისწინებდა თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა იგი. ამ განმარტების თანახმად, დაუდევრობისათვის პასუხისმგებაში შეიძლებოდა მიცემული ყოფილიყო ის პირი, ვინც არ გამოიჩინა წინდახედულება, რომელიც მას მისი საზოგადოებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიის და საქმის კონკრეტული გარემოების მიხედვით მოეთხოვებოდა. რაც შეეხება პირის სუბიექტურ შესაძლებლობას შეესრულებია ეს მოვალეობა და გაეთვალისწინებია საზოგადოებრივად საშიში შედეგი, — ეს მო-

პენტი დაუდევრობის განმარტებაში შეტანილი არ იყო. დაუდევრობის ცნების ასეთი განსაზღვრა შესაძლებლობას იძლეოდა სისხლის სამართლებრივ პასუხის-ვებაში მიცემული ყოფილიყო ის პირიც, ვისაც თავისი პირადი თვი-სებების ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო დანაშაულის ჩადენის მო-მენტში სუბიექტური შესაძლებლობა არ ჰქონდა გაეთვალისწინებინა და აუცილინა დანაშაულებრივი შედეგი, უკეთუ მან დაარღვია წინდახედუ-ლების ის ნორმა, რომელიც განსაზღვრული საქმიანობის შესრულებისათ-ვის არის დადგენილი. ოღანიშვანია, რომ საბჭოთა სასამართლო პრაქ-ტიკა ამ გზით არ წავიდა. იგი, ისევე როგორ საბჭოთა სისხლის სა-მართლის თეორია, დაუდევრობისათვის, ობიექტურ მასშტაბთან ერ-თად, სუბიექტურსაც მოითხოვდა. ეს იდეა სრულყოფილად არის განხორციე-ლებული „საფუძვლებში“, რომლის მე-9 მუხლის თანახმად დანაშაული ჩაით-ვლება დაუდევრობით ჩადენილად, როდესაც პირი არ ითვალისწინებდა საზო-გადოებრივად საშიში შედეგის განხორციელებას, თუმცა უნდა გაეთვალისწი-ნებინა და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა იგი. გაუფრთხილებელი ბრა-ლის ასეთი განსაზღვრა სავსებით შეესაბამება ინდივიდუალური პასუხისმგებ-ლობის პრინციპს, რომელიც საბჭოთა სისხლის სამართლის ქვაკუთხედს წარ-მოადგენს.

ახალ საკანონმდებლო აქტში უცვლელად არის დატოვებული დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დასჯადობის არსებული წესი, მაგრამ მოცემულია მცდელობის ცნების მკაფიო განმარტება, რომელსაც არც 1924 წლის „ძირითადი საწყისები“ და არც მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსე-ბი წარდა უკრაინის სსრ კოდექსისა) არ იძლეოდნენ. ეს საკანონმდებლო აქტები მხოლოდ ზოგადად ახასიათებდნენ დაუმთავრებელ დანაშაულს დამთავრებული დანაშაულისაგან განსასხვავებლად. მცდელობა, „საფუძვლების“ თანახმად, გან-მარტებულია როგორც განზრახი მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაუ-ლის ჩადენაზე, უკეთუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იყო მიყვანილი დამნა-შვის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მუხ. 15 ნაწ. 2). ასევე სრულყო-ფილად არის განსაზღვრული დანაშაულის მომზადება, ე. ი. დანაშაულის ჩა-სადენად იარაღებისა და საშუალებების გამონახვა და მომარჩვება ან პირო-ბების სხვაგვარი განზრახი შექმნა (მუხ. 15 ნაწ. 1). მცდელობისა და მომზადე-ბის ცნებათა ზუსტ განსაზღვრას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინა-იდან, „საფუძვლების“ თანახმად, დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დადგენის დროს მოსამართლემ, სხვა გარემოებათა შორის, მხედველობაში უნდა მიიღოს აგრეთვე დანაშაულებრივი განზრახების განხორციელების ხარისხი, ე. ი. სტადია, რომელზედაც შეჩერდა დანაშაულის განხორციელება (მუხ. 15, ნაწ. 3).

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებანია შეტანილი აგრეთვე ნორმებში თანამონა-წილეობის შესახებ.

უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „საფუძვლებში“ მოცემულია თვით თანამონაწილეობის ცნების განსაზღვრა, რასაც არც 1924 წლის „ძირითა-დი საწყისები“ და არც მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექ-სები არ იძლეოდნენ. თანამონაწილეობად ითვლება ორი ან რამდენიმე პირის გან-ზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში (მუხ. 17 ნაწ. 1). ამ გან-საზღვრით ბოლო მოეღება იმ უნაყოფო დავას, რომელიც მიმდინარეობდა სისხ-ლის სამართლის თეორიაში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის შესახებ. როგორც ცნობილია, ნაწილი საბჭოთა კრიმინალისტებისა ამტკიცებდა გაუფრთ-

ხილებელი თანამონაწილეობის შესაძლებლობას (პროფ. ტრაინინი, პროფ. ჭარ- გოროდსკი და სხვ.), ხოლო მეორე ნაწილი, პირიქით, უარყოფდა ასეთი თანამო- ნაწილეობის შესაძლებლობას. „საფუძვლები“ მართებულად მიუთითებენ, რომ თანამონაწილეობა მხოლოდ განზრას არის შესაძლებელი. მართლაც, თუ თანამო- ნაწილეობა ერთი საერთო დანაშაულის ჩადენაა, ეს ერთიანობა მარტო დანაშა- ულის ობიექტურ მხარეში კი არ უნდა გამოიხატებოდეს, არამედ მის სუბიექ- ტურ მხარეშიც. ხოლო სუბიექტური მხარის ერთიანობა, ცხადია, მარტოოდენ ყველა თანამონაწილის განზრახვათა გაერთიანებაში ვლინდება.

„საფუძვლებში“ თანამონაწილეების ტრადიციულ სახეებთან ერთად (ამს- რულებელი, წამქეზებელი, დამხმარე) მართებულად გათვალისწინებულია ეგრე- თვე დანაშაულის ორგანიზატორიც, რომლის შეტანის საჭიროება თანამონაწი- ლეობა სიაში თვით ცხოვრებამ წარმოქმნა (მუხ. 17, ნაწ. 2 და 4).

დაბოლოს, დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული დამხმარისა და ღამთარავის გა- მიჯვნის საქმეში. „საფუძვლებში“ უარყოფილია ამ საკითხებე რსფსრ-ის სისხ- ლის სამართლის კოდექსის შეხედულება, რომელიც ყოველგვარ დაფარვას, იმისდა მიუხედავად, წინასწარ შეპირებული იყო იგი თუ რჩ. თანამონაწილეო- ბად (დახმარებად) ოვლიდა. „საფუძვლების“ თანახმად, დამხმარედ ითვლება ის, ვინც ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას რჩევით, მითითებით, საშუალება- თა მიწოდებით ან დაბრკოლებათა აცილებით, აგრეთვე ის, ვინც წინასწარ აღუ- თქვა დამნაშავის, დანაშაულის ჩადენის იარაღთა და საშუალებათა, დანაშაუ- ლის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვა (მუხ. 17, ნაწ. 6). ხოლო დაფარვა, რომელიც წინასწარ არ იყო აღთქმული, თანამონა- წილეობად (დახმარებად) არ ითვლება და ისჯება სისხლის სამართლის კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში (მუხ. 18).

ეს შეხედულება პრინციპულად მართებულია. წინასწარ აღთქმულ და წი- ნასწარ აღუთქმელ დაფარვას შორის არსებითი განსხვავება არსებობს.

უპირველესად ყოვლისა, წინასწარ აღთქმული დაფარვა მიზეზობრივ კავ- შირშია დანაშაულის ჩადენასთან. ეს დებულება ისე როდი უნდა იქნეს გაგებუ- ლი, თითქოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულის ჩადენასთან თვით დაფარვის ფაქტია. დანაშაულის დაფარვა ხდება მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ და ამიტომ იგი არასღრული არ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში ამ დანა- შაულთან, ვინაიდან მიზეზი აუცილებლად უნდა უსწრებდეს შედეგს. მიზეზობ- რივ კავშირში შედეგთან არის დამნაშავის და დანაშაულის კვალის დაფარვის დაპირება. პირი თავისი დაპირებით, რომ დაპირებას ჩადენილ დანაშაულს, გა- ნამტკიცებს დანაშაულის ამსრულებლის განზრახვას. ამ უკანასკნელის დანაშა- ულებრივი გადაწყვეტილება წინაგანად უფრო თავისუფალი და გაძედული ხდე- ბა. სუსტდება ის მოტივები, რომელნიც აფერხებდნენ დანაშაულის ჩადენას და პირიქით, ძლიერდება მოტივები, რომლებიც აღძრავდნენ ამსრულებელს დანა- შაულის ჩასადენად. მაგალითად, ამსრულებლის შიშს, რომ მოპარული ნივთების კვალზე მას მიაგნებენ, აქარწყლებს ნივთების გადამალვის დაპირება. მაშასადა- მე, დაფარვის წინასწარი დაპირება დანაშაულის ჩადენის ერთერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს: დაპირება რომ არ ყოფილიყო, დანაშაული ან სრულიად არ იქნებოდა ჩადენილი, ან ჩადენილი იქნებოდა სხვა გზით, სხვა საშუალებით, სხვა პირობებში. სწორედ ამიტომ ის, ვინც პირდება დაფარვას, ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილეა, მისი ფსიქიური დამხმარეა.

სულ სხვაა დამნაშავის და დანაშაულის დაფარვა, რომელიც წინასწარ არ

ყოფილა აღთქმული. ასეთი დაფარვა ხელს არ უწყობს დანაშაულის ჩადენას, არ ადვილებს მას, არ წარმოადგენს მის ერთერთ აუცილებელ პირობას. დამფარავი მოქმედებს იმის შემდეგ, როდესაც დანაშაული უკვე ჩადენილია. ობიექტურად მისი მოქმედება ხელს უწყობს მხოლოდ იმას, რომ დანაშაული არ იქნეს გახსნილი, ან დამნაშავემ თავი აარიდოს მის მიერ დამსახურებულ სასჭელს. სწორედ ამიტომ „საფუძვლები“ ასეთ დაფარვას თანამონაში ილეობად არ თვლიან და ითვალისწინებულ მის დასჯალობას მხოლოდ კანონით განსაკუთრებულად გათვალისწინებულ შემთხვევებში.

„საფუძვლებში“ მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული და დაზუსტებული აგრეთვე ნორმები სასჯელის შესახებ. მე-20 მუხლში, რომლის სათაურიც არის „სასჯელის მიზნები“, ნათქვამია: „სასჯელი მარტო დასჯა როდის ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მას მიზნად აქვს გამოასწოროს და ხელახლოს მსჯავრდებული შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აიცდინოს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულის, ისე სხვა პირების მხრივ“ (მუხ. 20, ნაწილი პირველი).

მე-20 მუხლის რედაქციიდან ნათლად ჩანს, რომ „საფუძვლები“ ერთმანეთში არ ურევენ სასჯელის შინაარსს და სასჯელის მიზნებს. მე-20 მუხლი იმ სწორი დებულებიდან გამოდის, რომ სასჯელი არ შეიძლება არსებობდეს რეპრესიული ელემენტის გარეშე. სასჯელის არის გამოიხატება იძულებით შეჭრაში დამნაშავის უფლებებისა და ინტერესების სფეროში და მათ აღკვეთაში ან შეზღუდვაში ჩადენილი დანაშაულის სიმიმის შესაბამისად. ამიტომ სასჯელი ყოველთვის ერთგვარ ტანჯვას აყენებს იმ პირს, ვისაც იგი შეეფარდება. მაგრამ დასჯე (კარა) სასჯელის აუცილებელი ელემენტია და არა მისი მიზანი. მე-20 მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ „სასჯელი მიზნად არა აქვს ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანური ღირსების დამცირება“. სასჯელი ყოველთვის მომავლისაკენ არის მიმართული და მიზნად ისახავს „აიცდინოს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულის, ისე მესამე პირთა მხრივ“. ამგარად სასჯელის ამოცანად კანონი სთვლის დანაშაულთა ზოგად და კერძო პრევენციას. თანაც სასჯელის მთავარი მიზანი, კანონის თანახმად, მდგომარეობს იმაში, რომ გამოასწოროს და გარდაქმნას დამნაშავენი, ჩაუნერგოს მათ შრომითი ჩვევები და სწორი სამართლებრივი და ზნეობრივი წარმოდგენები სოციალისტური მართლწესრიგის მოთხოვნებისადმი განუხრელად დამორჩილებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების შესრულების შესახებ.

„საფუძვლებში“ თანმიმდევრულად გატარებულია ის აზრი, რომ თუ დანაშაულის ჩადენი პირის მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიების გამოყენება საჭირო არ არის, ასეთი პირი განთავისუფლებულ უნდა იქნეს სასჯელისაგან. ეს იდეა თავის გამოხატულებას პპოულობს „საფუძვლებით“ გათვალისწინებულ სხვადასხვა ინსტიტუტებში. ასე, მაგალითად, 38-ე მუხლში ნათქვამია: „უკეთუ სასამართლო თავისუფლების აღკვეთის ან გამასწორებელი სამუშაოს სახით სასჯელის დანიშვნის დროს, გაითვალისწინებს რა საქმის გარემოებებს და დამნაშავის პიროვნებას, იმ დასკვნამდე მივა, რომ დანიშნული სასჯელის მოხდა დამნაშავის მიერ მიზანშეუწონელია, მას შეუძლია გამოიტანოს დადგენილება დამნაშავის მიმართ სასჯელის პირობით არშეფარდების შესახებ“. იგივე იდეა საფუძვლად უდევს 43-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულ ნორმას, რომლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია სრულიად გაანთავისუფლოს დანაშაულის

ჩამდენი პირი სასჯელისაგან, უკეთუ ამ პირის უმწიფელო ყოფაქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ და მისი პატიოსანი დამოკიდებულება შრომისაღმი იღას-ტურებს, რომ იგი მოკლებულია საზოგადოებრივ საშიშროებას და ამიტომ მისი ოლზრდა-გარდაქმნა საჭირო არ არის.

სასჯელის მიზანშეწონილების პრინციპი პოულობს თავის გამოხატულებას იმ ნორმებშიც, რომლებიც სასჯელის აღსრულებას შეეხებიან. „საფუძვლების“ 44-ე მუხლის თანახმად, უკეთუ მსჯავრდებულმა თავისი სამაგალითო ყოფაქცევით და შრომისაღმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცა, რომ ვით და შრომისაღმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცა, რომ იგი უკვე გამოსწორდა, სასამართლოს უფლება აქვს ვადამდე პირობით გაანთავისუფლოს ასეთი მსჯავრდებული სასჯელისაგან ან შეუცვალოს მას სასჯელი უფრო მსუბუქი სასჯელით მას შემდეგ, რაც ეს პირი მოიხდის მისთვის დანიშნული სასჯელის განსაზღვრულ ნაწილს. ამ მხრივ კიდევ უფრო ფართო უფლებები აქვს მინიჭებული სასამართლოს არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ (მუხ. 45).

„საფუძვლებს“ არსებითი ცვლილებები შეაქვთ სასჯელთა სახეების საკითხში. უარყოფილია ისეთი მძიმე სასჯელი, როგორიც იყო მშრომელთა მტრად გამოცხადება, საბჭოთა მოქალაქეობის ჩამორთმევით და სამუდამოდ საზღვარგარეთ გაძევებით. უარყოფილია აგრეთვე დამნაშავისათვის პოლიტიკური უფლებების აყრა. სიკვდილით დასჯა დატოვებულია დროებით მის სრულ გაუქმებამდე, როგორც განსაკუთრებული ხსიათის ღონისძიება, რომელიც მშვიდობიანობის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საშობლოს ღალატისათვის, ჯაშუშობისათვის, დივერსიისათვის, ტერორისტული აქტისათვის, ბანდიტიშისათვის და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრას მკვლელობისათვის. შემცირებულია თავისუფლების აღკვეთის ვადის მაქსიმუმი, რომელიც, როგორც საერთო წესი, არ უნდა იღემატებოდეს 10 წელს, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ — კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში — 15 წელს. გადასახლების ვადა შემცირებულია 10 წლიდან 5 წლამდე (მუხ. 24). კონფისკაცია შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კანონით მხოლოდ სახელმწიფო და მძიმე ანგარებითი დანაშაულისათვის (მუხლი 30).

ჰუმანიურ საწყისებზე აგებული აგრეთვე ხანდაზმულობის ინსტიტუტი და ნასამართლობის მოხსნის ინსტიტუტი.

იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც პირი დაემალება გამოძიებას ან სასამართლოს და ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერებულია მის ღადავებამდე ან ზებაყოფლობით გამოცხადებამდე ბრალის აღიარებით, პირი არ შეიძლება პასუხისმგებაში იქნეს მიცემული, უკეთუ დანაშაულის ჩადენის დღიდან 15 წელია გასული და ხანდაზმულობა შეწყვეტილი არ ყოფილა ახალი დანაშაულის ჩადენით (მუხ. 41). ასეთივე წესი მოქმედებს გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის მიმართაც (მუხ. 42).

1924 წლის „ძირითადი საწყისები“ და მოკავშირე რესპუბლიკების კანონ-მდებლობანი ითვალისწინებდნენ ნასამართლობის მოხსნას კანონით დადგენილი ვადის გასვლისას მეტად შეზღუდულ შემთხვევებში. სახელმობრ, კანონით გათვალისწინებული არ იყო ნასამართლობის მოხსნა იმ დანაშაულთა მიმართ, რომლებისათვისაც პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 3 წელზე მეტი ვალით. ნასამართლობის მოხსნას სასამართლოს დადგენილების საფუძველზე

1924 წლის „ძირითადი საწყისები“ არ ითვალისწინებდნენ. „საფუძვლების“ შეირჩეოდა ნასამართლობის მოხსნის ორი წესი: ნასამართლობის მოხსნა ავტომატურად, ე. ი. სასამართლოს დაღგენილების გამოუტანლად და ნასამართლობის მოხსნა თვით სასამართლოს დაღგენილებით. პირველი წესი ვრცელდება იმ პირებზე, ვინც ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც მათ მიესაჭათ თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე, თუ ეს პირები კანონით დაღგენილი ვადის განმავლობაში სასჯელის მოხდის შემდეგ არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს. მეორე — იმ პირებზე, ვისაც მიესაჭათ თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით, თუ ისინი 8 წლის განმავლობაში სასჯელის მოხდის შემდეგ არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს და თუ ამავე დროს სასამართლო დაადგენს, რომ მსჯავრდებული გამოსწორდა და საჭირო არ არის ჩაითვალოს იგი ნასამართლობის მქონედ (მუხ. 47). დაბოლოს, 47 მუხლის უკანასკნელი ნაწილის თანახმად, უკეთუ იმ პირმა, ვისაც თავისუფლების აღკვეთა პქონდა მისჯილი, სამაგალითო ყოფებულებით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა, რომ იგი გამოსწორდა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია ასეთ პირს მოუხსნას ნასამართლობა 47-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადებზე უფრო ადრე.

7835

თუ ერთის მხრივ „საფუძვლებში“ დიდი შეღავათებია გათვალისწინებული იმ პირებისათვის, ვინც მტკიცედ დაადგა გამოსწორების გზას, მეორე მხრივ, მთელი რიგი ნორმები განსაკუთრებულ წესებს ადგენენ იმ პირთათვის, რომელთაც დაუკინებით არ სურთ კავშირი გასწყვიტონ დანაშაულებრივ წარსულთან, და კვლავ განაგრძობენ პარაზიტულ ცხოვრებას. როგორც უკვე აღნიშნული იყო, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 15 წლამდე იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოგავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით (მუხ. 23, ნაწ. 1). თანაც სასამართლოს შეუძლია მიუსაჯოს ასეთ პირებს თავისუფლების აღკვეთის მთელი ვადის ან მისი ნაწილის მოხდა საბყრობილებში (მუხ. 23, ნაწ. 4). განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები არ შეიძლება ვადამდე პირობით იქნენ განთავისუფლებული და მათ არ შეიძლება შეეცვალოს სასჯელი უფრო მსუბუქი სასჯელით (მუხ. 44, ნაწ. 4). ასეთი დამოკიდებულება რეციდივისტებთან თანაგრძნობას იწვევს საბჭოთა საზოგადოებრიობის მხრივ, რომელიც უკანასკნელ ხანებში სერიოზულ ყურადღებას იჩენს ამ დიდი სოციალური ბოროტების მიმართ.

ასეთია ძირითადი თავისებურებანი ახალი ფუძქმდებელი საკანონმდებლო აქტისა, რომელიც მოწოდებულია კიდევ უფრო განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოთა მუშაობა.



ახალი კანონები სასამართლო ცენტრალური კომიტეტისა და კანონმდებლობის საფუძვლებისა და სისხლის სამართლის სასამართლო ნაკროების საფუძვლების შესახებ

დოკ. ბ. ფურცელისი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის მეექვსე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა გაფართოების, სამეურნეო, კულტურულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მათი ოოლის გაზრდის შესახებ, სარ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1958 წლის 25 დეკემბერს, პროექტების წინაშრარ საყოველთაო სახალხო განსჯა-განხილვის შედეგად დაამტკიცა კანონები: „სარ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლები“ და „სარ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლები“.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი აქტები კიდევ მეტად განამტკიცებენ და ავითარებენ სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების დარგში სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპებს.

სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლები ითვალისწინებენ საბჭოთა სასამართლო ორგანოებისათვის თავიდანვე დამხმასიათებელ ისეთ დემოკრატიულ საწყისებს, როგორიც არის მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ, ყველა სასამართლოს არჩევითობა, საქმეების განხილვა სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, ბრალდებულის დაცვის უფლებით და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, კომუნისტური პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის უდიდესი მონაბოგორი — კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანამწორობა, მიუხედავად მათი სოციალური, ქონებრივი, სამსახურებრივი დოკუმენტორისა, ეროვნული კუთვნილებისა, სასამართლო წარმოება ადგილგომარეობისა, ეროვნული კუთვნილებისა, სასამართლო წარმოება ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე და ა. შ.

ამასთან ერთად კანონს ცალკეული არსებითი ხასიათის ცვლილებები შეაქვს სასამართლო ორგანოების მოწყობასა და მოღვაწეობაში. ეს ცვლილებები ძირითადად შემდეგში მდგომარეობს:

ა) შეცვლილი იქნა სახალხო მოსამართლეების უფლებამოსილების ვადა და სახალხო მსაჯულთა არჩევის წესი.

ახალი კანონის ძალით სახალხო მოსამართლეებს, ისევე როგორც ზემდგომი სასამართლო ორგანოების წევრებს აირჩევენ ხუთი წლის ვადით, (ნაცვლად 3 წლისა), ხოლო სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთ 2 წლის ვადით

(ნაცვლად 3 წლისა), და, განსხვავებით სახალხო მოსამართლებისაგან, სახალხო მსაჯულების ორჩევა მოხდება მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთა საერთო კრებებზე მათი მუშაობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სამხედრო მსახურთა — სამხედრო ნაწილების მიხედვით.

სახალხო მოსამართლის უფლებამოსილების გახანგრძლივება უზრუნველყოფს სახალხო მოსამართლის მიერ სასამართლოს მოქმედების რაიონის პირობების მართებულად შესწავლას, სასამართლო პრაქტიკის სტაბილიზაციის და საერთოდ სასამართლო მუშაობის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას; ხოლო სახალხო მსაჯულთა უფლებამოსილების ვაღის შეკვეცა და მათი ორჩევა უშუალოდ მშრომელთა კრებებზე კიდევ მეტი მოცულობით მიიჩიდავს მშრომელთა ფართო მასებს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ამ გზით სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

ბ) კანონი ადგენს მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების პლენუმების შექმნას. ეს დადგენილება ფრიად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ იგი აფართოებს მოკავშირე რესპუბლიკათა სასამართლო ორგანოების კომპეტენციას, ზრდის მათ როლსა და პასუხისმგებლობას მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში, ამასთან საშუალებას აძლევს მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლეს. სასამართლოებს უფრო მტკიცედ, ფართოდ და მაღალხარისხოვნად უხელმძღვანელონ რესპუბლიკათა სასამართლო ორგანოების მუშაობას, ყოველმხრივად გაითვალისწინონ ადგილობრივი სპეციფიკური პირობები და უზრუნველყონ სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვა მართლმსაჯულების განხორციელებისას.

პლენუმი შემდგარი გამოცდილ, მაღალკვალიფიცირებულ მომუშავეთაგან დიდ როლს შეასრულებს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების პრაქტიკის სწორად წარმართვის საქმეში, დროულად აღვეთს და გამოასწორებს ჩვენს პირობებში ყოვლად მოუთმენელ კანონის დამახინჯებისა, მოქალაქეთა უფლებებისა და პატივსადები ინტერესების შელახვის ცალკეულ შემთხვევებს.

გ) სასამართლო ორგანოების მუშაობაზე ფართო საზოგადოებრიობის კონტროლის გასაძლიერებლად კანონი აწესებს სახალხო სასამართლოების ანგარიშგალებულებას უშუალოდ ამომრჩეველ-მოქალაქეთა წინაშე, ხოლო დანარჩენ სასამართლოებისა — მათი ამომრჩევ მშრომელთა დებუტატების სათანადო საბჭოების წინაშე.

ასეთი წესის შემთხვება, რაც, ცხადია, არაფრით არ ლაპავს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპს, გაზრდის მოსამართლეთა პასუხისმგებლობას თავიანთი ამომრჩევლების წინაშე, დაახლოვებს მათ ცხოვრებასთან, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობასთან, ხოლო მოსახლეობის ფართო მასებს საშუალებას მისცემს იცოდნენ, თუ როგორ ამართლებენ მოსამართლეები მათ ნდობას, როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ საატომ მოვალეობას — განუხრელად ებრძოდენ დანაშაულობას და მტკიცედ უზრუნველყოფდნენ მოქალაქეთა შრომითი, საბინაო და სხვა უფლებების დაცვას.

კანონი სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების შესახებ ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის აწესებს სავალდებულო ძირითად საწყისებს სისხლის სამართლის საქმეების გამოკვლევისა და განხილვისათვის.

კანონში ზუსტად და ნათლად ორის განსაზღვრული სისხლის სამართლის სა-

სამართლო წარმოების ამოცანები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფილი იქნას დანაშაულთა სწრაფი და ყოველმხრივი გახსნა, ბრალეულ პირთა გამომქდავნება და კანონის სწორად გამოყენება იმგვარად, რომ დანაშაულის ყველა ჩამდენი სამართლიანად დაისახოს და არცერთი უდანაშაულო არ იყოს პასუხისმგებაში მიცემული და მსჯავრდადებული. სისხლის სამართლის სა-სამართლო წარმოების ამოცანას შეაღენს ისიც, რომ ხელი შეუწყოს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, დანაშაულთა წინასწარ გაურთხილებას და აღმოთხვერას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების განუხრელად შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემით.

კანონის ძალით სასამართლო წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც უფლება აქვს იცნოს პირი ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში და შეუფარდოს მას სისხლის სამართლის სასჯელი.

დანაშაულის ღროულად გახსნისა და ბრალეულთა გამომყოლავნების მნიშვნელოვანი მოვალეობა გამოძიებისა და მოკვლევის (მილიციის) ორგანოებს აკისრია.

ამ ორგანოების ურთიერთშეთანხმებული, ქმედითი მუშაობის უზრუნველ-
საყოფად კანონი ზუსტად განსაზღვრავს მათ უფლება-მოსილებას, აწესრიგებს
მათ ურთიერთ დამკიდებულებას.

საგამომძიებლო პარატი ძირითადად პროცესურატურასთან იმჯედებს, ამასთან იზრდება გამომძიებლის როლი და პასუხისმგებლობა წინაშარი გამო- ძიებისას კანონიერების დაცვის საქმეში. კანონი უფლებას ანიჭებს გამომძიე- ბელს მისცეს მოკვლევის ორგანოს შესასრულებლად საგალლებულო მითითე- ბანი ოპერატიულ სამქებრო და საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების შესა- ხებ, მოთხოვოს მათ ყოველმხრივი დახმარება ცალკეული საქმის გამოკვლევის პროცესში.

ამასთან ერთად, მოკვლევის ორგანოს ჩეხება უფლება იმ საქმეებზე, რომელთა გამოც წინასწარი გამოძიების ჩატარება (პროკურატურისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ), არ არის სავალდებულო, გამოკვლევა საპროცესო კანონმდებლობის ნორმების შესრულებით აწარმოოს სრული მოცულობით და საქმე პროკურორის მეშვეობით წარმართოს სასამართლოში განსაზღვრად.

ახალი კანონის მიღებამდე სამართალში მიცემის საკითხი ყველა საქმეზე წყდებოდა სასამართლოს გამწესრიგებელი (მოსამზადებელი) სხდომის მიერ. გამოცდილებამ ნათელყო, რომ ეს წესი არ არის მართებული. გამწესრიგებელ სხდომაზე განხილული საქმეთა უდიდესი რაოდნობა მოსამართლეთა შორის არ იწვევს რაიმე ეჭის ჩატარებული გამოკვლევის სისწორესა და სისრულეში. ამიტომ სასამართლოებს ეს საქმეები გამწესრიგებელ სხდომაზე წინასწარ მოსმენის შემდეგ ავტომატურად გადააქვთ რაიმე ცვლილების შეუტანლად სამსახურო განხილვისათვის.

კანონმა ეს ხარევეზი გამოისწორა და დაადგინა, რომ მოსამართლე სამართლში მიცემის საკითხს, როგორც წესი, გადაწყვეტს თავისი დადგენილებით ერთპიროვნულად. მოსამართლე საქმეს გაიტანს გამწერიგებელ სხდომაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეთანხმება საბრალდებლო დასკვნას, ან

საჭირო იქნება ბრალდებულისათვის შერჩეული აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა.

სამართალში მიცემის ეს ახალი წესი დიდად შეუწყობს ხელს საქმის განხილვის დაყოვნების აღკვეთას და პროცესის ზემდეტი სტადიის თავიდან აცდენას.

კანონი კიდევ მეტად აფართოებს ბრალდებულის უფლებას დაცვაზე. იგი ავალდებულებს მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს, პროკურორისა და სასამართლოს უზრუნველყონ ბრალდებულის უფლება თავისი პირადი და ქონებრივი უფლებათა დასაცავად, ამასთან აძლიერებს სისხლის სამართლის პროცესში დამცველის როლს.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ბრალდებულის დამცველს შეეძლო საქმის ჩაბათ მხოლოდ სამსჯავრო განხილვის სტადიიდან.

ახალი კანონი ითვალისწინებს დამცველის მონაწილეობას უკვე წინასწარი გამოძიებიდან, სახელდობრ, იმ მომენტიდან, როდესაც გამომძიებელი გამოუცხადებს ბრალდებულს საქმის დამთავრების შესახებ და წარუდგენს მას გასაცნობად საქმის მასალებს, ხოლო არასრულწლოვანთა და იმ პირთა ბრალდების საქმეებზე, რომელთაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიურ ნაკლოვანებათა გამოარ დალური პირადად განახორციელონ უფლება დაცვაზე — ბრალდების წარდგენის მომენტიდან.

ეჭვი არ არის, რომ დამცველი, რომელიც ვალდებულია მართებულად გამოიყენოს საბროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალება, მტკიცედ, მთელი პრინციპულობით დაიცას ბრალდებულის მხოლოდ კანონიერ, და არა ყოველგვარ (უკანონ) ინტერესს, გამომდინარე იმ დებულებიდან, რომ საბჭოთა დამცველი მუდამ და ყოველთვის ემსახურება სოციალისტური საზოგადოების, კანონისა და სამართლიანობის დაცვის საქმეს. იგი ისე წარმართავს მთელს თავის მოღვაწეობას, რომ ადგილი არ ექნეს საქმის გაჭიანურებას, ნამდვილი დამნაშავისა და დანაშაულობის გამართლების ცდებს, ე. ი. იმ თვისებებს, რაც მხოლოდ ბურჯუაზიული ადვოკატურის საქმიანობის დამახასიათებელი იყო და არის ამჟამად, ხოლო სრულიად შეუთავსებელია საბჭოთა აღვოკატურის როლსა და დანიშნულებასთან.

იმის გამო, რომ საბჭოთა სახელმწიფოს გნუხერელი ზრუნვის საგანს შეადგენს მშრომელი ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ლირსების, კეთილსინდისიერი შრომით მოპოვებული ქონების დაცვა ყოველგვარი ხელყოფისაგან, მკვლელებისა და მძარცველების, ქურდებისა და ხულიგნების და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მხრივ, კანონი მნიშვნელოვნად აფართოებს დანაშაულისაგან დაზარალებული პირის უფლებას, დაზარალებულს ხდის სისხლის სამართლის პროცესის აქტიურ მონაწილედ, მეტ პროცესუალურ შესაძლებლობებს ანიჭებს მას იმისათვის, რომ დადგენილი იქნას ჭეშმარიტება საქმეზე და უზრუნველყოფილი დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური და მატერიალური ვნების ანაზღაურება.

კანონი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პროცესში (საქმის სამსჯავრო განხილვის სტადიაზე) საზოგადოებრივი ბრალდებულისა და საზოგადოებრივი დამცველის (პროფესიონალური კავშირების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა სახით) მონაწილეობას. ამ დადგენილების მიზანია ის, რომ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა სასამართლოში

საქმის განხილვისას ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩადენაში ნამდვილად ბრალეულ პირთა სწრაფად მხილებას, საბჭოთა სასამართლოსა და სოციალისტური მართლმსაჯულების აღმზრდელობითი როლის გაძლიერებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წლის 25 დეკემბერს დამტკიცებული კანონები უზრუნველყოფენ დანაშაულობასთან და ანტისაზოგადოებრივ ელემენტებთან ბრძოლის წარმატებას, მკვეთრად გააუმჯობესებენ სისხლის სამართლის საქმეთა გამოკვლევისა და სასამართლო განხილვის პროცესს, კიდევ მეტად განამტკიცებენ სოციალისტურ კანონიერებას და გააძლიერებენ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტა-ლებათა შესაბამისად სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის საქმეში სულ უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახალხო მილიციას, სამხანაგო სასამართლოებს და მათ მსგავს თვითმოქმედ ორგანოებს, რომლებმაც სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად უნდა შეასრულონ საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ფუნქციები, თავიდან აიცილონ ქმედობანი, რომლებიც ზიანს აყენებენ საზოგადოებას; მაგრამ სახელმწიფო ორგანოების ხელში ცალკეული ფუნქციების გადასვლა კი არ შეასუსტებს სოციალისტური სახელმწიფოს როლს კომუნიზმის მშენებლობაში, არამედ გათავაზობებს და განამტკიცებს სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ საფუძველს, უზრუნველყოფს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას.

ახალი ეტაპი, ჩვენი განვითარების ახალი ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და-სახული, ბუნებრივია, მოთხოვს ყველა საბჭოთა აღამიანებისაგან მაღალ ორგანიზებულობებს და დისციპლინას, კანონებისა და ყოფაქცევის ნორმების მტკიცება დაცვას.

ამჟამად ყველა მოკავშირე რესპუბლიკის და კერძოთ საქართველოს სსრ წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა — უმოკლეს დროში შეიმუშავონ და დამტკიცონ ახალი რესპუბლიკური კოდექსები, რომლებიც მთლიანად შესაბამისობაში იქნებიან საერთო-საკავშირო კანონებთან და ამავე დროს ფართოდ გაითვალისწინებენ ყოველი რესპუბლიკის დამახასიათებელ ადგილობრივ პირობებსა და თავისებურებებს, სპეციფიკას.

ჩვენი მეცნიერ-იურისტებისა და იუსტიციის დარგის პრაქტიკული მომუშვეების საპატიო მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის საკანონმდებლო მოღვაწეობაში და შექმნან ახალი კოდექსები, დაფუძნებული მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებაზე სახელმწიფოსა და სამართლის არსის შესახებ.

დაგცვების გაზრდის პროცესშეაღწერი აღმის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში

ანდრო გალოვანი

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდი მოითხოვს ხალხის მრავალმილიონიანი მასების ცოცხალ შემოქმედებით საქმიანობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაფართოებული და განმტკიცებულია ჭეშმარიტი საბჭოთა დემოკრატიზმი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა სისტემაში განსაკუთრებული აღგილი უჭირავს იმ მუშაობას, რომელიც ჩატარებულია საბჭოთა კანონიერებისა და მართლმასწულების განსამტკიცებლად, სოციალისტური მართლწესრიგისა და საბჭოთა მოქალაქის უფლებისა და ღირსების დასაცავად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეორე სესიის საკანონდებლო მუშაობის შედეგად მიღებული და გამოქვეყნებულია დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე კანონები: „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების ძირითადი საწყისები“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლები“.

სოციალისტური ჰუმანიზმით გამსჭვალულ მთელ რიგ დებულებებთან ერთად, სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლებში გრულადა აღნუსხული ის იურიდიული გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის კონსტიტუციურ უფლებების დაცვაზე.

ამ მხრივ, უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია ამ საფუძვლების 21-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ბრალდებულს ფრთხო უფლებები აქვს მინიჭებული. მას თვითონ შეუძლია დაიცვას თავისი თავი. სასამართლო და პროკურატურის ორგანოები, თანახმად ამავე საფუძვლების მე-13 მუხლისა, ვალდებული არიან უზრუნველყონ იმის შესაძლებლობა, რომ ბრალდებულმა დაიცვას თავი კანონით დაშვებული საშუალებებითა და წესებით.

ამავე ღროს, სასამართლო და პროკურატურის ორგანოები ვალდებული არიან თვითონაც აწარმოონ ბრალდებულის დაცვა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის გზით. მათ ევალებათ გამოავლინონ ბრალდებულის გამამართლებელი ან მისი ბრალდების შემამუშაბუქებელი გარემოებები.



ამასთან ერთად, ბრალდებულს თავისი უფლება დაცვაზე შეუძლია განახორციელოს ამისათვის სპეციალურად მოწოდებული პირის — დამცველის მეშვეობითაც.

დამცველი, როგორც ბრალდებულის წარმომადგენელი, არის სისხლის სამართლის პროცესის ერთერთი ძირითადი მონაწილე. მას საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში ყოველთვის დიდი და საპატიო ადგილი ჰქონდა განკუთვნილი და მისი როლი მაღალ პრინციპულ და არსებითი ხასიათის მატარებლად იყო მიჩნეული.

მაგრამ დამცველის პროცესუალური როლი კიდევ უფრო გაზრდილი და გაფართოებული სახით არის წარმოდგენილი ახალ საკანონმდებლო აქტებით.

სასამართლო წყობილების ძირითად საწყისებში, უპირველესად ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ბრალდებულს თავისი უფლება დაცვაზე შეუძლია განახორციელოს, როგორც ადვოკატთა კოლეგიის, ისე საზოგადოებრივ დამცველთა ინსტიტუტის გამოყენებითაც.

ამასთან ერთად, სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 21-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია სასამართლოში სხვა ისეთი პირების მონაწილეობაც, რომლებსაც საამისო უფლება მინიჭებული ექნებათ მოვაკშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლებში მოქმედ კანონმდებლობისაგან განსხვავებით, დიდ სიახლეს შეიცავს დამცველის დაშვება სისხლის სამართლის პროცესში უფრო ადრინდელ სტადიიდან.

საფუძვლების 22-ე მუხლის პირველ ნაწილში კითხულობთ, რომ დამცველი საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაიმვება იმ მომენტიდან, როდესაც ბრალდებულს გამოეცხადება წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ და წარედგინება გასაცნობად საქმის მთელი მასალები.

ამ საერთო წესიდან გამონაკლისის სახით დამცველი საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაშვება ბრალდების წარდგენის მომენტიდან არასრულწლოვანთა და აგრეთვე იმ პირთა დანაშაულობების საქმეებზე, რომლებიც თავიანთი ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ნაკლოვანებათა გამო მოკლებულნი არიან შესაძლებლობას განახორციელონ თავისი უფლება დაცვაზე.

ბრალდებულის დამცველად დაშვების შემდეგ, დამცველს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეს მინიჭებული აქვს მეტად არსებითი ხასიათის ქვეშ უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მასზე დაკისრებულ მოვალეობის მაღალხარისხის მაჩვენებლებით შესრულებას.

დამცველს უფლება ენიჭება გაეცნოს საქმის ყველა მასალას და ამოიწეროს მისთვის საჭიროდ მიჩნეული მასალები, ვინაიდან საქმეზე არსებულ მასალების სრული გაცნობის გარეშე შეუძლებელია გამომუშავდეს საფუძვლიანი დაცვითი პოზიცია.

დიდი მნიშვნელობის მქონეა აგრეთვე დამცველის უფლება იხახულოს ბრალდებული და მოელაპარაკოს მას. დამცველს ამ უფლების გამოყენებით საშუალება ექლევა ბრალდებულთან ერთად უფრო ღრმად ჩასწედეს ბრალდებულის სასარგებლოდ მეტყველ საქმეში წარმოდგენილ მასალებს, დააზუსტოს ბრალდებულთან შეთანხმებული, საქმის მასალებით გამართლებული დაცვითი პოზიცია და დასახოს შერჩეულ პოზიციისათვის საჭირო, კანონით დაშვებული ღონისძიებანი.

დამცველის უფლებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უფლებას მიღონ მონაწილეობა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ღროს.

ძირითადად, დაცვის ფუნქციის განხორციელება დამცველს სწორედ სასამართლოში უხდება. ის, როგორც ბრალდებულის დამცველი ხელს უწყობს სასამართლოს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევაში. დამცველი მონაწილეობას ღებულობს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებათა შემოწმებაში, აღძრავს შუამდგომლობებს სასამართლოს წინაშე საქმის დამატებითი მასალებით შევსების შესახებ; ღებულობს ზომებს ბრალდებულის დარღვეული კანონიერი უფლებების აღსადგენად და მხარეთა კამათის სტადიაში წარმოსთვევაში დაცვით სიტყვას, რომელშიაც ასაბუთებს მის მიერ შერჩეულ დაცვითი პოზიციის სისწორეს.

დამცველის ეს მოღვაწეობა სისხლის სამართლის პროცესში მჭიდროდაა დაკავშირებული შეგიბრებითობის პრინციპთან, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს დამცველის თანასწორუფლებიანობას საქმის განხილვაში მონაწილე სხვა პირებთან და მათ შორის ბრალმდებელთანაც.

საფუძვლების 38-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ბრალმდებელი, ბრალდებული, დამცველი, დაზარალებული და აგრეთვე სამოქალაქო მოსარჩევე, სამოქალაქო მობასუხე და მათი წარმომადგენლები სასამართლო სხდომაზე სარგებლობენ დამატკიცებელი საბუთების წარდგენის, მათ გამოკვლევაში მონაწილეობის და შუამდგომლობათა აღძვრის თანაბარი უფლებებით. ამით უზრუნველყოფილია დამცველის მონაწილეობის ეფექტურობა პროცესში.

საფუძვლებში ჩამოთვლილია აგრეთვე დამცველის სხვა ისეთი მნიშვნელოვანი უფლებები, როგორიცაა: სხვადასხვა სახის შუამდგომლობათა აღძვრა, დამატკიცებელი საბუთების წარდგენა, აცილების განცხადება, სასამართლოს, პროკურატურის და გამომძიებლის გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე საჩივრის შეტანა და სხვ.

ამის გარდა, დამცველს სასამართლოს განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრებისა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მონაწილეობის უფლება აქვს.

მაგრამ დამცველს ამავე ღროს გარკვეული ხასიათის ვალდებულებანიც აქვს დაკისრებული, რაღაცაც დაცვა ჩვენს ქვეყანაში არ წარმოადგენს კერძო ურთიერთდამოკიდებულების საქმეს, არამედ მთლიანად საჯარო-სამართლებრივი ხასიათის მქონე ფუნქციაა. დაცვა საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელების ერთერთ სახელმძღვანელო პრინციპადა მიჩნეული და დამცველის მოღვაწეობა, უკეთუ ის კანონით გათვალისწინებული წესების მიხედვით იქნება შესრულებული, არასოდეს არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს სახელმწიფოს ინტერესებთან.

პირიქით, საბჭოთა სახელმწიფო თვით არის დაინტერესებული, რომ არცერთი უდანაშაულო პირი დასჭილი არ იღმოჩნდეს, ხოლო დამნაშავეს არ შეეფარდოს დაუმსახურებელი სასჯელი. სწორედ ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც იჩენს საბჭოთა სახელმწიფო დაცვის ინსტიტუტისა და დამცველებისადმი.

ამიტომ დამცველმა ღირსეულად უნდა შეასრულოს დაცვის მაღალი ფუნქცია იმ ვალდებულების სახით, რაზედაც ნათქვამია საფუძვლების 23-ე მუხლის პირველ ნაწილში: „დამცველი ვალდებულია გამოიყენოს კანონში ნაჩვენე-

ბი დაცვის ყველა საშუალებები და წესები ბრალდებულის გამამართლებელ ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა გამოყვლევის მიზნით და გაუწიოს ბრალდებულს აუცილებელი იურიდიული დახმარება“. საბჭოთა დამცველს არ შეუძლია იხელმძღვანელოს იმ დევიზით, რომელიც დაცვის თვალ-საზრისით ყოველგვარი სამშალების გამოყენებას დასაშვებად ხდის და საქმის ჰეშმარიტი ვითარების ხელოვნურად გაყალბების გზას მიმართავს. დამცველმა უნდა აწარმოოს ბრალდებულის კანონიერი ინტერესების დაცვა და არა დანაშაულის მფარველობა.

დასასრულს, აღნიშნავთ საფუძვლების 23-ე მუხლის მე-3 ნაწილში გამოთქმულ მეტისმეტად არსებითი ხასიათის მოთხოვნას, რომელიც მხოლოდ დამცველის სახით მოქმედ აღვოკატს შეეხება და მდგომარეობს იმაში, რომ აღვოკატს არა აქვს უფლება უარი თქვას ბრალდებულის დაცვაზე მისი მიღების შემდეგ. ამ პრინციპს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აღვოკატისათვის ასეთი მოთხოვნის წაყენება, უპირველესად ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ოფიციალურად სდგას იმ თვალსაზრისშე, რომ არ არსებობს ისეთი სისხლის სამართლის საქმე, რომლის მიხედვითაც შეუძლებელი იყოს ბრალდებულად მიჩნეული პირის სწორი დაცვის განხორციელება და დამცველის ყოველი განცხადება იმის შესახებ, რომ ბრალდებულის დაცვისათვის საქმეში არავითარი მოხაცემები არ მოიპოვება, მხოლოდ და მხოლოდ თვით დამცველის უხარისხობაზე ლაპარაკობს.

ამრიგად, ნათელია, რომ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კანონ-მდებლობის მიერ საგრძნობლად გაზრდილია დამცველის როლი საზოგადოდ და კერძოდ აღვოკატისა, რომელიც პროფესიონალ დამცველს წარმოადგენს.

დამცველის ამ გაზრდილ უფლებებს აღვოკატურამ თავისი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებით უნდა უპასუხოს, რისთვისაც საჭიროა აღვოკატთა რიგებში მომუშავე პირთა როგორც იდეურ-პოლიტიკური დონის, ისე იურიდიული ცოდნისა და მორალური ღირსების ამაღლება.

აღვოკატურამ ღირსეულად უნდა შეასრულოს მისი დიდი მოვალეობა — ბრალდებულთა გაბეღული, ენერგიული და კეთილსინდისერი დაცვა.

საგამომძიებლო და ოცენაზიურ მუშაობათა სწორი დაგენერაცის შედეგად

საბჭოთა სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოები მტკიცედ დგანან საბჭოთა ადამიანების უფლებებისა და ღირსების დაცვის სადარაჯოზე, დაუნდობლა ებრძევიან და მეცრად სჯიან ყველა იმ ნაძირალის, ვინც გაძეღვას და ხელყოფს მოქალაქეთა პირად საკუთრებას, სიცოცხლესა და ჭანმრთელობას.

უკანასკნელ ხანებში ქალაქ თბილისში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის და ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საგამომძიებლო და ოპერატიულ მუშაობათა სწორად დაგეგმვის შედეგად გამოვლინებული, მხილებულნი და სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემულნი იქნენ ის პირები, რომელთაც ხელბად ქონდათ გადაქცეული პატიოსანი საბჭოთა მოქალაქეების ძარცვა და მკვლელობა.

1958 წლის 20 აგვისტოს დილით, აეჭალის საქონლის სასაკლაოს ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის სანაპიროსაგან 40 — 50 მეტრის დაშორებით აღმოჩენილი იქნა ტაქსი „პოძედა“ № 00 — 58, რომელშიც აღმოჩნდა ცივი იარაღით მოკლული იმავე ტაქსის მძღოლით თენიაზ ცარციძე. შედგა ადგილობრივი დათვალიერების ქეტი და გადალებული იქნა ფოტოსურათები.

ამ საქმის გამოძიება დაევალა თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწეს შ. კალმახელიძეს.

საქმის გამოძიებისას ცნობილი გახდა, რომ ცარციძე მოკვლის წინა დღეებში იჯახშე განაწყენებული იყო და ბინაში არ მიდიოდა, ამიტომ გამოძიებისათვის დასადგენი გახდა, ხომ არ მონაწილეობდა ცარციძის მკვლელობაში მისი იჯახის რომელიმე წევრი ან ახლობელი, მაგრამ ამ ვერსიამ გამოძიებისას დადასტურება ვერ ჰპოვა.

კალმახელიძის წინაშე წამოიჭრა ახალი ვერსია მკვლელობის ჩადენისაძრცვის მიზნით. შეღვენილი იქნა ოპერატიული გეგმა. თბილისის მილიციის საქალაქო და რაიონული განყოფილებებს მიეცათ კონკრეტული დაგალებანი დამნაშავის გამოსავლინებლად.

ამავე პერიოდში ქალაქ თბილისის სხევადასხევა ადგილას მოხდა ტაქსების მძღოლთა რამოდენიმე გაძარცვა.

ამ ძარცვების ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკნამდე, რომ ქალაქში მოქმედებდა რეციდივისტთა ჯგუფი, რომელთა მიერაც ჩადენილი იყო ძარცვები ერთი და იმავე მეთოდით, ამასთანავე დაზარალებულთა მიერ მძარცველების გარეგანი აღწერილობა უდაოს ხდიდა იმ გარემოებას, რომ ეს ძარცვები ერთი და იგივე პირების მიერ იყო ჩადენილი.

ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ მძარცველების დაღვენისა და დაპატიმრებისათვის დასახული იქნა სათანადო ოპერატიული ღონისძიებანი, ჩატარდა სპეციალური თათბირი მილიციის სამსართველოს ოპერატიულ მუშაკებთან. გადაწყდა, რომ ყველა ის

უბანი, სადაც ძარცვები ხდებოდა (ეს კი უმთავრესად ნაკლებად დასახლებულ, გაუნათებელ ადგილებში ხდებოდა — მ. ვ.) აგვეყვანა მუდმივი მეთვალყურების ქვეშ. ამ უბნებზე მილიციის ოპერატიული მუშაკები იყვნენ მიმაგრებულნი.

ყველა ტაქსის მძღოლს გავაცანით მძარცველთა გარევნული აღწერილობა და გავაფრთხილეთ, რომ თუ შეამჩნევდნენ ასეთი გარევნობის აღამიანებს, დაუყოვნებლივ ეცნობებიათ მილიციის ან პროკურატურის მუშაკებისათვეის.

1958 წლის 20 სექტემბერს სპეციალურ მანქანაში მჯდომარე მილიციის ოპერატიულმა მუშაკმა 26 კომისრის სახელმბის რაიონის ტერიტორიაზე შენიშვნა საეჭვო პირები, რომლებმაც გააჩერეს რეისზე მყოფი ტაქსი „პობედა“, ჩასხდნენ და გაემართნენ პეტრებავლეს სასაფლაოს მიმართულებით. ოპერატიულმა მუშაკმა მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა ეს ტაქსი. მძარცველებმა პეტრე-პავლეს „სასაფლაოსთან გაძარცვეს მანქანის მძღოლი ბ. ონისიმოვი და ადგილზე მიატოვეს იგი. მათ წამოიყვანეს მანქანა და ისიც დატოვეს ქართველთა ქუჩაზე, მანქანის გასაღებები კი თან წაიღეს. მძარცველებს მილიციის მუშაკები კვალდაკვალ გაყვნენ და დააკავეს თავიანთ ბინაზე. მძარცველებს აღმოჩნდათ ნაძარცვი ფული, გატაცებული მანქანის გასაღებები და ცივი იარაღი. მძარცველები აღმოჩნდნენ ვინმე მინასიანი და მიკირტუმოვი, რომლებიც არავითარ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის არ ეწეოდნენ და თავიანთი შემოსვლის წყაროდ გადაქცეული ჰქონდათ პატიოსან გშრომელ მოქალაქეთა გაძარცვა.

გამოძიების მიერ შეკრებილ მტკიცებათა სათუაქცევლზე მინასიანმა და მიკირტუმოვმა აღიარეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაული და თანამონაწილედ დაასახელეს ვინმე ბაბელუმოვი, წინადნასამართლობის მქონე, რომელიც არა-

ვითარ სასარგებლო შრომას არ ეწეოდა. ამასთანავე მათ ამხილეს ბაბელუმოვი ცარციძის მკვლელობაში. ბაბელუმოვი დაპატიმრებული იქნა. დაზარალებულთ ყველა მძარცველი წარედგინათ ამოსაცნობად და ისინი ამოცნობილნი იქნენ.

დანაშაულის მტკიცებათა სიმძიმის გამო ბაბელუმოვი იძულებული გახდა ერიარებინა მინასიანთან და მიკირტუმოვთან ერთად მის მიერ ჩადენილი დანაშაულებანი: ტაქსების მძღოლთა ძარცვა, წინააღმდეგობის გაწევისას მათი დაჭრა და ცარციძის მკვლელობა.

1958 წლის 17 სექტემბერს ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს მორიგეს აცნობეს, რომ ვინმე პერესლავცევის მიერ სასწავლო დახმარების სავადმყოფოში მიყვანილი იქნა შუბინი, რომელიც დაჭრილი იყო გულმკერდის არეში. პერესლავცევს აღმოჩნდა სისხლიანი დანა. იგი დაკავებული იქნა. გამოძიებით დადგინდა, რომ პერესლავცევი ახლო დამოკიდებულებაში იყო ბაბელუმოვთან, მინასიანთან და მიკირტუმოვთან და აღმოჩნდილი დანა ბაბელუმოვს ეკუთვნოდა. პერესლავცევი იძულებული გახდა ერიარებინა, რომ იგი ბაბელუმოვსა, მინასიანსა და მიკირტუმოვთან ერთად თანამონაწილე იყო რამდენიმე ტაქსის ძარცვაში და შუბინი დაჭრა ბაბელუმოვმა, ვინაიდან შუბინმა უარი განაცხადა განმეორებით გაყოლოდა მას ტაქსის მძღოლთა გაძარცვაში მონაწილეობის მისაღებად. შუბინთან დაპირისპირებისას ბაბელუმოვი იძულებული გახდა ელიარებინა მის მიერ ჩადენილი დანაშაული.

ვინაიდან ცარციძის მკვლელობა და სხვა ტაქსების ძარცვა ჩადენილი იყო ერთი და იგივე პირების მიერ, თბილისის პროკურატურამ ყველა საქმეები გააერთიანა ერთ საქმედ და გამოძიების შემდგომი წარმოება დაავალა ლენინის სახელმბის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებელს დ. ჭოჭას,

რომელმაც მეტად მოკლე დროში შესძლო ბოროტმოქმედთა ყველა მამხილებელი მასალის თავმოყრა. ბრალდებულთა ურთიერთან და დაზარალებულებთან დაპირისპირებამ, დაზარალებულების მიერ ნივთიერმტკიცებათა ამოცნობამ და ყველა იმ საჭირო ღონისძიების გატარებამ, რაც საჭირო იყო ბოროტმოქმედთა მხილებისათვის, უზრუნველყო ის; რომ ყველა დამნაშავემ წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ სცნო.

საშიშ დამნაშავეთა ჯგუფის დროუ-

ლი იზოლაცია და დანაშაულის გახსნა იმან განაპირობა, რომ გამოძიებისა და ოპერატიული ღონისძიებების ჩატარება სწორად იყო დაგეგმილი და ამავე დროს ამ ღონისძიებათა განხორციელების სწორი კოორდინაციის საქმეში თავიანთი ენერგია და ცოდნა არ დაუშურებიათ როგორც პროცესურატურის, ისე მილიციის მუშაკებს.

8. ვებებაძე,

ქალაქ თბილისის პროკურორი,
იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

საქართველოს გენების ღაცვა საყოველთაო სახადეო საკმა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის მეექვესე სესიაზ 1958 წლის 28 ნოემბერს მიიღო კანონი „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“. ასეთი კანონის გამოცემა განპირობებული იყო იმით, რომ ბუნების დაცვისათვის ჭარბობული ღონისძიებები არ იყო დამაკმაყოფილებელი, რაც თავის მხრივ ჯერ კიდევ იწვევდა ბუნების სიმდიდრის გაღარიბებასა და განადგურებას. ტყეებს კი საქართველოს სინამდვილეში უდიდესი მნიშვნელობა იქვთ, როგორც მისი სახალხო მეურნეობისათვის, ისე როგორც წყლის შენახვის, ნიადაგის დაცვისა და ჰერის გაჯანსაღების საშუალებას.

ბუნების დაცვასა და მის მიზანშეწონილ ექსპლოატაციას ყოველთვის ღილი ყურადღება ექცევილა. სწორედ ამ მიზნით არის შეტანილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მთელი რიგი მუხლები, სადაც განსაზღვრულია სისხლის სამართლის წესით იმ პირების დასჯადობის საკითხი, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ბუნების სიმდიდრის მტაცებლობა-განადგურების საქმეში.


ახალციხის რაიონში ბუნების დაცვის საქმეში ჯერ კიდევ არ არის დამყარებული ჯეროვანი წესრიგი. ის პირები, ვისაც ეს საქმე აქვთ მინდობილი, დანაშაულებრივ გულგრილობასა და დაუღევრობას იჩენენ. სწორედ ახალციხის სატყეო მეურნეობის მუშაკების გულგრილობისა და დაუღევრობის შედეგი იყო, რომ 1957 წლის აგვისტოში სატყეო მეურნეობის სოფელ სვირის № 25 კვარტალში გაჩენილი ხანძრის შედეგად 50 ჰექტარი ტყე დაიწვა.

ახალციხის რაიონში ადგილი აქვთ ხევების უნებართვოდ მოჭრის ფაქტებსაც. სოფელ აწყურში მცხოვრებმა იოსებ მუმლაძემ 1958 წლის მარტში აწყურის სატყეოს ფართობში უნებართვოდ მოჭრა მოზარდი ხ; იგი ტყის მცველის მიერ დაკავებული იქნა. იმის ნაცვლად, რომ მუმლაძე დამორჩილებოდა ტყის მცველის მოთხოვნას და გაყოლოდა მას, მუმლაძემ მეტყველეს შეურაცხოფა მიაყენა.

მუმლაძის საქმე განიხილა ახალციხის სახალხო სასამართლომ და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე მუხლით მიუსახა ერთი წლით შრომა-გასწორებითი მუშაობა და ერთი მოზარდი ხის ღირებულების გადახდა.

ამ უკანასკნელ ხანს ჩვენი პრეზიდენტის ფურცლებზე სისტემატურად იძებნდება რესპუბლიკის მოწინავე ადამიანების, დიასახლისების, პონერ-მოსწავლეებისა და სხვათა წერილები. ჩვენი საზოგადოება ესარჩელება „მწვანე მეგობარს“ და მოითხოვს შეზყდეს ტყეების გაკაფვა, სიცოცხლე შეუნარჩუნობ მოზარდეულ ნაძეის ხეებს.

გასული წლების გამოცდილებიდან კარგად ვიცით, რომ ყოველ ახალ წელს ათასობით მოზარდი ნაძვის ხე იჩესტება საახალწლო ნაძვის ხეების მოსაწყლოს. ამიტომ ღრული და მისასალმებელია საქართველოს სსრ მინისტრთა ყობად. მიერ უკანასკნელ ხანს შილებული დადგენილება, როთაც კურძალულია საბჭოს



ნაძვის ხეების მოჭრა. სამაგიეროდ, საახალწლოდ დამზადდება ხელოვნური ნაძვის ხეები, რომლითაც შეიძლება ბუნებრივი ნაძვის ხის შეცვლა. საახალწლო ნაძვის ხედ მხოლოდ ის ნაძვის ხეები გაიყიდება, რომლებიც მოჩეხილია ტყის გასაჯანსაღებლად. ამით გადარჩენილი იქნება ნაძვის ხე და ტყეებს ვიხსნით გაჩანაგებისაგან.

ახალციხის რაიონში ჯეროვანი წესრიგი არ არის დამყარებული ხე-ტყის მასალის დამზადების საქმეშიც. რაიონის სატყეო მეურნეობაში მეტი კონტროლი უნდა გაუწიოს ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ხე-ტყის მოჭრის საკითხში დოლმდე არსებული დარღვევები.

საქართველოს ტყეები მდიდარია თავისი მრავალსახეობრივი ფაუნით; მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბოლო წლებში სანადირო ფაუნა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამის ერთეულთი მიზეზია მასობრივი ბრაკონიერობა, ანუ მონადირეთა და ხშირად შემთხვევით პირების მიერ სანადირო კანონმდებლობის უხეში დარღვევა, რაც დიდ ზარალს აყენებს სამონადირეო მეურნეობას.

ამ მიმართებითაც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია რაიონში ჩატარებული მუშაობა. რაიონის მილიციის განყოფილება არ აწარმოებს ბრძოლას ბრაკონიერების წინააღმდეგ, რის გამოც ბრაკონიერთა გამოაშკარავების შემთხვევები მეტად მცირეა. ამ საქმეში ახალციხის მონადირეთა კავშირის გამგეობა არავითარ დახმარებას არ უშევს მილიციის ორგანოებს.

ჯერ კიდევ ვეცდებით ბუნების მშვენების — ირმების მოკვლის ფაქტებს. ამასწინათ სახალხო სასამართლომ განიხილა ირმებზე მონადირეების: ა. სამსონაძის, ბ. გაჩეჩილაძისა და ა. მელაძის საქმე, რომლებიც სისტემატურად ეწეოდნენ ბრაკონიორობას, კლავდენ ირმებს. შემოწმებისას მათ ბინებში აღმოაჩნდათ ირმის ხორცი, ტყავები და სანადირო მოწყობილობა. სამწუხარო ის არის, რომ ა. სამსონიძე თვითონ სატყეო მეურნეობის მუშავია და მას სხვა მოქალაქეებთან შედარებით კიდევ უფრო მეტად ევალება ირმების დაცვა. სასამართლომ სამსონიძეს და გაჩეჩილაძეს მიუსაჭა თითო წლით შრომა-გამასწორებელი მუშაობა და მათვე დააკისრა 5.000 მანეთი ჯარიმის გადახდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თავის სხდომაზე 1956 წლის 6 ივნისს ლომბიირება გამოიჩინა, როცა მსჯავრდადებულ ა. ი. მელაძეს, რომელსაც ირმებზე ნადირობისათვეის სპეციალურად გაწვრთნილი ორი მონადირე ძალი ყავდა და ბრალი ედებოდა ორი ირმის მოკვლაში და რისთვისაც მას სამართლიანად მიესაჭა პატიმრობა ერთი წლის ვადით, კოლეგიამ სასჯელის ზომა შეუმცირა ერთი წლის ვადით შრომა-გასწორებითი მუშაობით.

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ ჩვენს მდინარეებში და ტბებში მკვეთრად შემცირდა თევზის რაოდენობა. თევზის მარაგის შემცირების მთავარ მიზეზს წარმოადგენს თევზის დანაშაულებრივი მოსპობა ბრაკონიერების მიერ, რომლებიც ფეთქებად და მომწამელელ ნივთიერებებს ხმარობენ. 1958 წლის თებერვალში გიორგი ბებნაძემ, ვალიკ და შოთა აქტორმელიძეებმა და გიორგი ინასარიძემ სოფელ მუსხლან მდინარე მტკვარში თევზის საჭერად გამოიყენეს ასაფეთქებელი ნივთიერება, რაც თევზის მასობრივი გაწყვეტის საშუალებას წარმოადგენს. ოთხივენი დანაშაულის ადგილზე დაკავებული იქნენ და თვითეულ მათგანს სახალხო სასამართლოს განაჩენით თითო წლით შრომა-გასწორებითი მუშაობა მიესაჭა.



1958 წელს თევზჭერის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა შესამნენ-
ვად გაუმჯობესდა. თევზის ჭერის წესების დარღვევისათვის ორი ათასი მანეთით
დაჯარიმებული იქნა ქვემო სხვილისის თრჯონიკიძის სახელობის კოლმეურნე-
ობა, 500 მანეთით ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა, 250-250 მანე-
თით არამ კაზარიანი, არტაშ ნაზარეტიანი, სერგო სარქისიანი, ერვანდ ხაჩატუ-
რიანი, აღვან მქრტიჩიანი, სიმონ კობაიძე. 200-200 მანეთით დაჯარიმდნენ მი-
ხეილ, ვასილ და შალვა გელაშვილები, გრიგოლ თიკანაშვილი, გოგუცა და ლი-
მიტრი ჩინჩალაძები, გერმანე და ბიჭიკო ბუცხრიკიძეები, ბაგრამ კარაკოზიანი
და სხვები. აღნიშნული სახის დანაშაულებანი და დარღვევანი არ გვექნება, თუ
ბრაკონიერების ლიკვიდაციის საქმეში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ფართო
საზოგადოებრიობა.

სწორედ ბუნების დაცვის გაძლიერებისაკენ არის მიმართული „საქართვე-
ლოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი, რითაც საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა ორი თვის ვადაში შეემუშავებინა კანონის დამ-
რღვევთა მიმართ სასჯელის ზომები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსათ-
ვის განსახილველად წარედგინა წინადადებანი სისხლის სამართლის კოდექსში
სათანადო მუხლების დამატების შესახებ.

ჩვენი ბუნების სიმდიდრის დაცვა და მისი სწორი გამოყენება მჭიდროთ
არის დაკავშირებული მომავალ შვიდწლედის დიდებულ პროგრამასთან, რომე-
ლიც დასახულია პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის
მოხსენების მიხედვით.

ბუნების დაცვის კანონის მიღება ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, თუ რა-
დიდ ყურადღებას აქცევენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრო-
მელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ლ. ჯ ღ ა რ ე ბ ა შ ბ,

ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

ვერა „ცდა“ და მისი მნიშვნელობა

პროფ. ი. სურგულაძე

სისხლის სამართალი იცნობს დანაშაულის განხორციელების ისეთ დასჯად სტადიას, როცა დანაშაული სხვადასხვა მიზეზის გამო ბოლომდე არ არის მიყვანილი. მაგალითად, თუ სუბიექტმა მოკვლის მიზნით ესროლა თოფი მეორეს, მაგრამ დააცილა, ან დაჭრა; ან კიდევ: სუბიექტმა განიზრახა უწვი კარადიღან ფულის გატაცება, რისთვისაც მონიწოდმა კარადის საკეტის მოგლეჭა, მაგრამ ვერ შეძლო.

რუსულ ენაზე დანაშაულის ამ სტადიას „покушение“ ეწოდება. ამჟამად ჩვენ გვაიძერებებს სკითხი იმის შესხებ, თუ რა ტერმინი შეესატყვისება რუსულ პოკუშენიე-ს ქართულად.

1920 წელს გამოცემულ „რუსულ-ქართულ იურიდიულ ლექსიკონში“ პოკუშენიე ქართულად ასეა გადმოცემული: პოკუშენიე - ცდა, მცდელობა, ხელ-ყოფა; პოკუშენიე და მცდელობა — მცდელობა დანაშაულის, ბოროტმოქმედებისა და ავ-საქციელის ჩადენისა. პოკუშენიე უბიასადამე, ლექსიკონის მიხედვით, დაუმთავრებელი დანაშაულის შემთხვევა შეიძლება გადმოიცეს ამორჩევით სამი სიტყვით: ცდა, მცდელობა და ხელყოფა. სიტყვა „ხელყოფა“ უფრო შესაფერისი აღმოჩნდა პირატესტის გადმოსაცემად და ამ ცნების სახელწოდებაც დამკვიდრდა.

პროფ. მ. სტროგოვიჩის „სისხლის სამართლის პროცესისა“ და პროფ. ბ. უტევსკის „სისხლის სამართლის“ ქართულ თარგმანში პოკუშენიე გადმოცემულია სიტყვით „მცდელობა“¹.

ამ წერილის მიზანია გამოარკვიოს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელის ორი ტერმინიდან „ცდა“ და „მცდელობა“ უფრო მისაღები. ტერმინი „ცდის“ შესწავლა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდებისა და სხვადასხვა ძეგლების მიხედვით გაძნელებულია იმით, რომ, თუმცა მრავალი ძეგლია გამოცემული და ძლიერ კარგადაც, მაგრამ არა იურისტ გამომცემლის ყურადღებას არ იქცევდა ტერმინი „ცდა“ და „ცდის“ ბუღდესთან დაკავშირებული სხვა სიტყვები. ასეთი სიტყვები გამომცემელს არც შეჰქონდა ძეგლისადმი დართულ ლექსიკონში. ამის გამო ზემოხსენებული ტერმინით დაინტერესებული მკვლევარი იძულებულია ესა თუ ის ძეგლი მთლიანად წაიკითხოს, ყველა ძეგლის ამგვარი

1. სტროგოვიჩი, სისხლის სამართლის პროცესი, 1948 წ.

პროფ. ბ. უტევსკი, სისხლის სამართალი, 1952 წ.

3. საბჭოთა სამართალი.

შესწავლა კი ძნელია. ამიტომ აკად. ა. შანიძის „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია ისტორიის ყველა დარგის შეკლევარისათვის ფასდაუდებელი განძია. სიმფონია შედგენილი უნდა იყოს ყველა მნიშვნელოვანი ძეგლისათვის.

ტერმინი „მცდელობა“ 1920 წელს გამოცემულ სეენებულ ლექსიკონამდე არც ერთ წყაროში არ გხვდება დაუმთავრებელი დანაშაულის მნიშვნელობით. მაგრამ საერთოდ ეს ტერმინი სხვა ცნების გამოსახატავადაც მხოლოდ მე-19 საუკუნეში უნდა იყოს საბოლოოდ ჩამოყალიბებული. სულხან-საბა ორბელიანს აქვს სიტყვა „მცდელი“. „მცდელი ესე არს კაცსა საქმე რამე ენებოს და ნიადაგ მისთვის იჭირვოდეს (ნიადაგ მისთვის მძვრელი)“. ამავე მნიშვნელობით არის ნახმარი ეს სიტყვა სულხანის „სიბრძნე-სიცრუისაში“: „ცოდნის მცდელნი, ე. ი. ცოდნის შეძენისათვის მზრუნველნი“¹.

სიტყვა „მცდელობა“ დავით ჩუბინაშვილს აქვს მოცემული თავის ლექსიკონში: „მცდელი, ზედ. გულს მოდგინე, თავს გამომდები საქმისა; გამომცდელი; განგებ მსინჯავი; ესტატელი, ლინიოპატია — მცდელობა, გულს მოდგინება“ (იხ. დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“).

აკად. ივ. ჯავახიშვილი ხმარობს ტერინებს „ცდასა“ და „მცდელობას“. მაგრამ ამ ტერმინებით არ გადმოგვცემს დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებას.

აკად. ი. ჯავახიშვილის შრომის ერთ-ერთი პარაგრაფის სათაურში ვკითხულობთ: „...გ. მთაწმინდელის ქადაგება და მცდელობა დემოკრატიული წესწყობილების დასამყარებლად“². „მცდელობის“ სუბიექტს აკად. ივ. ჯავახიშვილი „მცდელს“ უწოდებს: „...დიდია ის ღვაწლი, რომელიც გ. მთაწმინდელს, ვითარცა დემოკრატიული რეფორმის პირველს ქადაგებელს და მისი განხორციელების პირველსავე მცდელს ქართველი ერის წინაშე მიუძღვის“³. ი. ჯავახიშვილის განმარტებით „გ. მთაწმინდელის მცდელობას“ საზოგადოების ყველა ფენა ქმაყოფილებით არ შეხვდა. მაგრამ „მისი მოქმედების გაბეჭულობით ყველანი გაკვირვებული ყოფილა“: ამასთანავე „არისტოკრატიული სულისკვეთებით გამსჭვალული სამღვდელოება, მათი თანამოგვარენი და თანამორწმუნენი“ გ. მთაწმინდელის „მი მოქმედებას თავისი წოდების უფლებათა შეურაცხყოფად და ეკლესიის დამაქვეითებელ მოვლენად მიიჩნევდნენ“⁴.

როგორც გხედავთ „მცდელობა“ — ი. ჯავახიშვილს ესმის როგორც მოქმედება, მოღვაწეობა. ამავე მნიშვნელობით ხმარობს იგი სიტყვა „ცდასაც“. „გ. მთაწმინდელის საისტორიო თხზულებათაგან ჩანს, რომ ეფთვიმეს ყოველნარი ცდის, საკმარის დროის განმავლობაში გამოცდის და გულდასმით შერჩევისა და მიუხედავად, მაიც ათონის ქართველთა მონასტერში ბერად შესულ წარჩინებულ და მდიდართა წრეების შვილთა შორის არა ერთი ისეთი პირი აღმოჩენილა, რომელსაც მონასტერშიაც თავისი წოდებისა და წრის ჩვეულებისათვის თავის დანებება ვერ მოუხერხებია“⁵ მაშასადამე, ი. ჯავახიშვილს „ცდა“ და „მცდელობა“ მხოლოდ „მოღვაწეობად“ ესმის.

1. სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, 1938 წ. გვ. 88.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 63.

3. იქვე, გვ. 80.

4. იქვე, გვ. 78.

5. იქვე, გვ. 70.

ტერმინი „ცდა“ ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. ამ სიტყვას „ვეფხისტყაოსანში“ უმთავრესად სიტყვების სტარტის ან კიდევ პიტარების მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის“ ერთერთი ადგილი, სადაც ტარიელმა შეუთვალი როსტევან მეფეს:

„მაშინ თქვენ ჩემი გეწყინა ნახვა მიწისა შენისა,
ცდა შეპყრობისა ავი ჰქმენ, შემოტევება ცხენისა;
მე შენთა სპათა ვაჩვენე ნიშანი რამე წყენისა,
დავხოცე მონა მრავალი, მსახური სრისა თქვენისა“

1505

ტარიელი მეფე როსტევანს აგონებს იმ ამბავს, როცა ის წყლის პირას მტრი-რალი ნახა მეფემ და მოინდომა მისი შეპყრობა. ტარიელი მეფეს უთვლის: შენ ავად მოიქეცი, როცა ჩემი შეპყრობის ცდა მოახდინეო. მაშასადამე, საუბარია შეპყრობის მიზნით თავდასხმის ცდაზე.

თუ აღწერილ შემთხვევას კაზუსის სახით იურიდიულ სფეროში გადავიტანთ და დავუშვებთ, რომ როსტევანი დანაშაულებრივად მოქმედებდა, ან კიდევ როსტევან მეფის მაგიერ კაზუსში ავაზაქს ჩავსვამთ, მაშინ ციტირებულ ადგილას სიტყვა „ცდას“ პირდაპირ დაუმთავრებელი დანაშაულის მნიშვნელობა ეჭნება. ამგვარად, ტერმინ „ცდას“ „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქაში სამოქალაქო უფლება პქონია მოპოვებული. ამ პერიოდის სამართლის წიგნებს რომ ჩვენამდე მოეღწია, რასაკვირველია, ტერმინი „ცდა“ ამ წიგნებში დაუმთავრებელი დანაშაულის მნიშვნელობით იქნებოდა მოცემული.

ვახტანგის სამართლის წიგნი იცნობს დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებას. 57-ე მუხლის მიხედვით „თუ კაცი კაცს არას ემართლებოდეს, მოლალატედ ან გზაზე სადმე, ან სოფლად დამით გამოსასვლელს ადგილს“ სიკვდილის მიზნით ჩაუსაფრდეს, მაგრამ ჩასაფრების ადგილზე აღარ გამოიაროს იმან, ვისიც მოკვლა იყო განზრახული, ჩასაფრებული პასუხს ავებს, რადგნაც „თავის გუნებით სიკვდილი სდომებია, მაგრამ ღმერთია და ბედს მოურჩენია, რომე იმ გზაზე აღარ გამოუვლია, ამისათვის მთელი სისხლი მოლალატემ იმ კაცს მისცეს“. როგორც გხედავთ დაუმთავრებელ დანაშაულს, როგორც დანაშაულის დასჯად სტადიას, ვახტანგის სამართლის წიგნი იცნობს, მაგრამ კანონმდებელი ტერმინ „ცდას“ არ ხმარობს და შეიძლება იმიტომ, რომ აღწერილ შემთხვევაში, ცდას კი არა, მომზადებას გულისხმობს.

ვახტანგის სამართლის წიგნში ტერმინ „ცდას“ არარსებობა შესაძლებელია შემთხვევითი გარემოებითაც აისხნას: კაზუისტიკურ საფუძველზე აგებულ სამართლის წიგნში, როგორიცაა საერთოდ ფეოდალური ეპოქის სამართლის წიგნები და მათ შორის ვახტანგის სამართლის წიგნიც, ასტრაქტული ცნების გამომხატველი იურიდიული ტერმინი უნდა ვეძიოთ ცალკეული კაზუსების აღწერაში, რადგანაც კანონმდებელი არ ცდილობს ზოგადი ცნებების მიხედვით სამართლის წიგნის შედეგნას. ამიტომ ფეოდალური სამართლის წიგნში ძლიერ ხშირად მოცემულია ესა თუ ის იურიდიული ინსტიტუტი, აღწერილია ის იურიდიული რეუიმი, როგორიც ახასიათებს ამ ინსტიტუტს, მაგრამ არ არის მოცემული ინსტიტუტის ამსახველი იურიდიულ-ტექნიკური ტერმინი.

სულხან-საბა არბელიანის „ქართული ლექსიკონი“ სიტყვა „ცდას“ შემდეგნაირად განმარტავს: „ცდა-საქმის შებმა. ცდა არს რაი არა იცოდეს და მის სწავლას ეცადოს; ანუ რაი არა აქუნდეს შოება, მოიჭირეოს და ეგრე ვითარნი“.

მოყვანილ განმარტებაში დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება არ არის მოცემული; ამასთანვე, ამავე განმარტებაში მოცემული სიტყვების — „საქმის შებმის“ შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის უახლოვდება „ცდის“ ისეთ გაეგებას, რომელშიც იგულისხმება საქმის დაწყება, საერთოდ დაუმთავრებელი საქმე.

ორმელიაც იგულისხმება საკუთრივ დაუკავშიროვა, ან კუთრივ დაუკავშიროვა სიტყვა „ცდას“ დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ სიტყვა „ცდას“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. გარეა, მოცადინეობა, 2. სინჯვა, 3. მოცდა, მოლოდინი. ამ განმარტებიდან დაუმთავრებელი დანაშაულის შემცველი ცნება არ არის მოცემული. საყურადღებოა, რომ დ. ჩუბინაშვილი სიტყვა პოკუშე- ნიე-ს გადმოგვცემს სიტყვით „შებეღვა“. იგი იძლევა აგრეთვე პოკუშე- ნიე-ს განმარტებას: „...ვაზნობ... შევეცდები-შევბეღავ, „ზნობა“ დ. ჩუბინა- შვილს განმარტებული აქვს როგორც „ვფიქრობ... — განვიზრახავ“.

როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინაშვილს თავის ლექსიკონში არა აქვს მოცემული ე. ემთავრებელი დანაშაულის გამომხატველი ტერმინი.

„რუსულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით, ომელიც 1937 წელს არის
გამოცემული, სიტყვა პოკუშენი თარგმნილია „შეცადება, შებედვა, ხელის
შემართვა, ცდილობა; ი. ა. უбийство მკვლელობის შეცადება“. როგორც ვხე-
დავთ, ლექსიკონი ხმარობს „ცდილობას“ და „შეცადებას“, ხოლო „ცდას“ კი
არა.

„ქართულ-რუსულ ლექსიკონში“, რომელიც 1950 წელს არის გამოცემული ასევე დიალინისა და ვ. თოფურისას რედაქტორობით „ცდას“ არცერთ შემთხვევაში არა არა არა დაუმთავრებელი დანაშაულის მნიშვნელობა.

ქართ არა უკავშირდებოდა „გუდი“-ით გამოცემულ „ქართულ-რუსულ ლექსიკონის“ ქ. ღათიკაშვილის რედაქციით გამოცემულ „ქართულ-რუსულ ლექსიკონის“ მიხედვით „ცდა“ სხვადასხვა შინაარსით არის წარმოდგენილი, მაგრამ არც ერთი მათგანი დაუმთავრებელ დანაშაულს არ გადმოგვცემს. ამავე ლექსიკონში სიტყვა „შეცალება“ გადათარგმნილია, როგორც попытка.

ჩვენ განვიხილოთ სიტყვები „ცდა“ და „მცდელობა“ და ვნახეთ, რომ მცდელობა დაუმთავრებელი დანაშაულის მნიშვნელობით გაჩნდა ძალიან გვიან. ეს სიტყვა მხოლოდ 1920 წლის ლექსიკონში იხმარება, ამასთანვე ამ შემთხვევაშიც მას „ცდა“ არ გაუდევნია, არამედ ორთავე სიტყვას ხსენებულ ლექსიკონში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.

აკად. ივ. ჯავახიშვილი, ერთიანაიგივე მნიშვნელობით ხმარობს, როგორც
ტარმინ „მკლელობას“, აგრეთვე ტერმინ „ცდასაც“.

ჩვენი აზრით საერთოდ „მცდელობა“, რა შინაარსითაც არ უნდა ვიხსაროთ ის, ნაძალადევი ტერმინია და ამდენად მიუღებელია. დაუმთავრებელი დანაშაულის გაღმოსაცემად უმჯობესი იქნება ვიხმაროთ ტერმინი „ცდა“ კიდევ იმიტომაც, რომ იგი თავისი შინაარსით მოქმედების ერთგზისობას აღნიშნავს და ამიტომ ის უფრო შეეფერება რუსულ პირუ სამართლების „მცდელობა“, რომელშესავალი მომიღობა მოვალეობის მის მრავალზის მიმდინარეობაში.

საკულევ ტერმინთან დაკავშირებით ზოგიერთი წყაროს შესახებ განმარტება მომცა აკად. ა. შანიძემ, რისთვისაც ულრმეს მაღლობას მოვახსენება. ამასთანავე, აკად. ა. შანიძემ გამოთქვა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ორი

ტერმინიდან „ცდა“ და „მცდელობა“ ის გადაჭრით უპირატესობას ანიჭებს. ვირველს ე. ი. „ცდას“.

როგორც ვხედავთ, პროფესორების სტროგოვიჩისა და უტევსკის სახელმძღვანელოების ქართულად მთარგმნელებს არ ჰქონდათ საფუძველი ტერმინი „ცდა“, „მცდელობით“ შეეცვალათ.

ზემოთქმულის გარდა ტერმინი „ცდის“ სასაჩვებლოდ სხვა საბუთიც არის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვახტანგის სამართლის წიგნი იცნობდა დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებას. იგი ჯერ კიდევ ვახტანგის ეპოქამდე იყო ცნობილი ქართულ ფეოდალურ სამართლში.

„ცდის“ ცნება ისტორიულად გვიან ჩნდება და საერთოდ მცირ გაჩენა იურიდიული აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია. „რომაულ სამართლს არ გამოუმუშავებია ცდის შესახებ ზოგადი ცნება და მისთვის უცნობი იყო განსაკუთრებული ტერმინი ამ მოვლენის აღსანიშნავად“¹. ფეოდალურ ეპოქაში „პირველ მაუწყებლად წინასწარმოქმედების დასჯადობისა იყვნენ XII-XIII საუკუნეების იტალიელი იურისტები“ გლოსატორების სახელით ცნობილნი². გერმანიასა და საფრანგეთში ეს ინსტიტუტი წარმოიშვა XIV-XV საუკუნეებში³. რუსეთში ალექსი მიხეილის ძის 1640 წლის დებულებამდე კანონი დუმდა ცდის შესახებ. ქართული სამართლისათვის კი ბექა-ალბულას სამართლის წიგნის (XIV ს.) მიხედვით ცნობილი იყო ცდის ცნება.

ბექა-ალბულას სამართლის წიგნის 134-ე მუხლში ვკითხულობთ: თუ კაცი კაცს „გაემართოს და იგი კაცი ლერთმან მოარჩინის, ექუსი ათასი თეთრი დაუურგოს სიკუდილისა ცდისათვის, სამი ათასი შეყრების ცოდვისათვის“.

ციტირებული მუხლის შინაარსი ასეთია: თუ კაცი კაცს სასიკვდილოდ თავს დაუსხმის, მაგრამ ის, ვისაც თავს დაესხნენ სხვადასხვა მიზეზის გმირ სიკვდილს გადაურჩება, თავდამსხმელი დაისჯება სიკვდილის ცდისათვის. მაშასადმე, ბექა-ალბულას სამართლის წიგნში იცის ცდის ცნება დაუმთავრებელი დანაშაულის შინაარსით და სჯის მას, როგორც დანაშაულებრივი მოქმედების სტადიას.

საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ბექა-ალბულას სამართლის წიგნში ცდის ცნება აღწერით კი არ არის მოცემული, არამედ კანონმდებელი პირდაპირ უთითებს ცდაზე, ე. ი. „ცდა“ უკვე ტექნიკურ-იურიდიულ ტერმინად არის ქცეული. ამ გარემოებას კი წინ უნდა უსწრებდეს ქართული იურიდიული აზროვნების მიერ ცდის ცნების დამუშავება. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, აზროვნების მიერ ცდის ცნების დამუშავება. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სუბიექტური ბრალეულობის პრობლემა X—XII საუკუნეების ქართული იურიდიული აზროვნების მიერ ძლიერ კარგად იყო დამუშავებული და საერთოდ ამ პერიოდის იურიდიული აზროვნება საქართველოში მაღალ დონეზე იდგა, მაშინ გასაგები იქნება ისიც, რომ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის პრობლემაც სათანადოდ ყოფილიყო შესწავლილი.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ ცდის ცნება საქართველოში XIV საუკუნეზე აღრე იქნა შემუშავებული. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ძეგლის

1. А. И. Круглевский, учение о покушении на преступление, 1917, т. I, стр 172.

2. იქვე, გვ. 178, 238, 335.]

3. Владимирский. Буданов, Обзор истории русского права, 1907, стр. 350.



საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკი

გამომცემელი ბეჭა-ალბულას სამართლის წიგნის მითითებულ მუხლს თვლის.
X I საუკუნის სამართლის წიგნის ნაწილად.¹

მაშასადამე, „ცდა“ ძველ ქართულ სამართალში იყო ტექნიკურ-იურიდიული ტერმინი, რომელიც გაღმოგვცემდა დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებას. დღე-საც ამ სიტყვას იგივე მნიშვნელობა აქვს და მისი შეცვლის არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია.

¹. o. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953 წ., გვ. 43-60.

განქორწინების შესახებ¹

გ. მ. სვერდლოვი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოკტორი.

არსებული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფენ, რომ სსრ კავშირში განქორწინება მნიშვნელოვნად ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე ბევრ კაპიტალისტურ სახელმწიფოში, ხოლო თუ შევაღარებთ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილ მდგომარეობას, მაშინ იგი რამდენჯერმე ნაკლები იქნება: თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1953 წელს განქორწინება ყოველ ათას მცხოვრებზე 2,5 იყო, საბჭოთა კავშირში, დაახლოებით იმავე დროისათვის (1955 წ.), ყოველ ათას მცხოვრებზე განქორწინება 0,6 უდრიდა.

მაგრამ ეს საკითხი მუდამ საბჭოთა საზოგადოების მხედველობის არეში უნდა იყოს. ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია შემთხვევები ოჯახის ნგრევისა, რომლებიც განისაზღვრებიან არა მარტო ცხოვრების მატერიალური პირობებით (განსაკუთრებით ხშირად ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი საბინაო პირობებით, რაც მრავალრიცხვან ოჯახურ უთანხმოებას იწვევს), არამედ ოჯახისადმი და ოჯახის წევრის მოვალეობისადმი ფუქსავატური დამოკიდებულების სუბიექტური ფაქტორებით, პირად ცხოვრებაში „აბსოლუტური“, „განუსაზღვრელი“ თავისუფლების ყოველი ჯურის მოყვარულთა მორალური გახრმნილებით.

* * *

ოჯახისადმი ადამიანთა დამოკიდებულებაზე ბევრი რამ ახდენს გავლენას. მცირე მნიშვნელობა როდი აქვს იმასაც, თუ როგორ არის აგებული კანონი განქორწინების შესახებ. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი განქორწინების შესახებ კანონმდებლობის პრობლემებს მიაკუთვნებდა დიდმნივნენელოვან სახელმწიფო საკითხებს, რომლებიც „საერთო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების“ მიერ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი.

როცა მივმართავთ ქორწინების შეწყვეტის საკანონმდებლო რეგულირებას, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, გავერკვეთ საკითხში, თუ რა მიზანს ისახავს და უნდა ისახავდეს კანონი განქორწინების შესახებ. საკმაოდ გავრცელებულია აზრი, რომ განქორწინების შესახებ კანონის დანიშნულება თითქოს შემოიფარგლება მხოლოდ ერთი მიზნით — მოაწესრიგოს მოქალაქეთა კონკრეტული ოჯახური ურთიერთობა. ხშირად სრულიადაც არ ითვალისწინებენ განქორწინების კანონის ზოგად გამაფრთხილებელ, აღმზრდელობით, პრევენციულ მნიშვნელობას.

ზეპირ გამონათქვამებში და პრესაში ჩვენ ზოგჯერ ვხვდებით ასეთ მსჯე-

¹. იძეჭდება შემოკლებით.

ლობას: მოქმედი კანონით დაწესებულმა განქორწინების სასამართლო წევმი ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება, იგი არავითარ როლს არ ასრულებს ოჯახის განმტკიცებაში, უნდა უარი ვთქვათ მასზე. მაგრამ ამასთან საბუთად მოჰყავთ კონკრეტული სასამართლო საქმეების ან ცხოვრების სიტუაციის ერთი, ორი ან რამდენიმე მაგალითი, რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ მხარეები არ დაემორჩილნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ ადამიანებს განსაქორწინებლად საერთოდ არ მიუმართავთ სასამართლოსათვის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უსამართლოა, საქმეს აჭიანურებს და სხვ.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის შესანიშნავი სიტყვები: „საზოგადოებრივი მოვლენების სფეროში არ ასებობს იმაზე უფრო გავრცელებული და უფრო უსაფუძვლო ხერხი, როგორიცაა ცალკეული ფაქტების ამოგლეჭა, მაგალითებით თამაში. მაგალითების შერჩევა საზოგადოდ ძალიან აღვილია, მაგრამ ამას არც არავითარი მნიშვნელობა აქვს, ანდა ის წმინდა უარყოფითი ხასიათისა იქნება, ვინაიდან მთელი საქმე ცალკეულ შემთხვევათა სიტორიულ კონკრეტულ ვითარებაში მდგომარეობს. ფაქტები, თუ მათ ავიღებთ მათს მთლიანობაში, მათს კავშირში, არათუ „გიუტი“ რამ, არამედ უსათუოდ დამამტკიცებელი საბუთიც არის. წვრილმანი ფაქტები, თუ ისინი აღებულია მთლიანის გარეშე, კავშირის გარეშე, თუ ისინი ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მოგონილია, სწორედ რომ მხოლოდ სათამაშოს ან კიდევ რაღაც უარეს რამეს წარმოადგენენ“¹.

განქორწინების საყანონმდებლო რეგულირების შესახებ გამონათქვამებში ზოგჯერ გვესმის, სასამართლოს ამოცანა ქორწინების დარღვევის საქმეში შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომ დაადასტუროს — ქორწინება მკვდარია. სასამართლო მომხდარი ფაქტის წინაშე აღმოჩნდება და მან ეს ფაქტი უნდა დაადასტუროს. ამასთან იმოშებები მარქსის ცნობილ სიტყვებს: „განქორწინება მხოლოდ ფაქტის დადგენაა: მოცუმული ქორწინება მომკვდარი ქორწინებაა. მისი არსებობა მხოლოდ მოჩვენებითობა და მოტყუებაა“².

სადაც არ არის, განქორწინების საქმეში სასამართლოს ამოცანას შეადგენს, აგრეთვე, ფაქტის დადასტურება, მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ მას ჩამოვაცილოთ საკითხის ეთიკური, მორალური მხარე, სამართლიანობისა და ჯეროვნობის საკითხები, ადამიანთა ქცევის შეფასების საკითხები? არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ მარქსის სიტყვები იმავე სტატიდან: „თუ კანონმდებლობას არ შეუძლია დეკრეტით დააკანონოს ზეობა, მაშინ მას უფრო ნაკლებად შეუძლია უზნეობა. უფლებად გამოაცხადოს“³.

ჩვენ გვვინაია, რომ ქორწინების დარღვევის საქმეების სასამართლო პრაქტიკის შესახებ სსრკ უმაღლესი სასამართლოს 1949 წლის 16 სექტემბრის პლენურის ცნობილ დადგენილებაში უაღრესად დროულად და დამაჯერებლად იყო ნათქვამი განქორწინების მოქმედ კანონზე დამყარებული სასამართლო პრაქტიკის ზოგად აღმზრდელობით მნიშვნელობაზე, ამ პრაქტიკის მნიშვნელობაზე ხალხში კომუნისტური მორალის ნორმების განმტკიცებისათვის.

ამ საკითხში უნდა დავეყრდნოთ ზოგიერთ ზოგად თეორიულ და ზოგად პოლიტიკურ მოსაზრებას. სოციალისტური სახელმწიფო სრულიადაც მიზნად

1. ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 23, გვ. 359.

2. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხ. ტ. 1, გვ. 163.

3. იქვე, გვ. 162.

არ ისახავს მოქალაქეთა ყველა პირადი ურთიერთობის რეგლამენტაციას. მშენებამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ, როცა პირად ცხოვრებაში აღამიანის ქცევა არღვევს მოზარდი თაობის, საზოგადოების, საზოგადოებრივი მორალის ინტერესებს, მაშინ სახელმწიფო სამართლისათვის ხელმისაწვდომი საშუალებებით ერევა ამ ურთიერთობაში და ცდილობს ადამიანთა ქცევა სათანადო სახით წარმართოს, რათა შეძლებისძაგვარად აღვეთოს საზოგადოებისათვის არასასურველი მოვლენები.

ამისათვის ყოველთვის საკმარისად ეფექტური როდია ის საშუალებები, რომლებიც სამართალს აქვს, ისინი ყოველთვის მახვილი და სრულყოფილი. როდი არიან, რომ სრული წარმატების იმედი გვქონდეს. მაგრამ დიდი შეცდომაა ასეთ კანონთა პოლიტიკურ-უფლებრივი მხარეების უარყოფა და დაკინიბება.

იმის დასამტკიცებლად, რომ ამ კანონებს შეუძლიათ საერთო გაფრთხილების მიზნებს ემსახურონ, რომ მათ სათანადოდ შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ცხოვრებაზე, ყოფაზე და მართლაც ზემოქმედებები მათზე, საჭიროა მივმართოთ ზოგიერთ ისტორიულ მონაცემს, აგრეთვე ჩვენს სინამდვილეს.

ცნობილია, მაგალითად, რომ 1917—1918 წლების კანონები განქორწინების შესახებ, რომლებიც ვ. ი. ლენინის სიცოცხლეში იქნა მიღებული, ქორწინების დარღვევისათვის აწესებდნენ განქორწინების სასამართლო ფორმას, თუ განქორწინებას მხოლოდ ერთი მხარე მოითხოვდა. ასეთ შემთხვევაში განქორწინებისათვის მიმართვა დაუშვებელი იყო. მართალია, მაშინ დაწესებული სასამართლო წესი დიდად განსხვავდებოდა ახლანდელისაგან — სასამართლოს მაშინ უფლება არ ჰქონდა უარი ეთქვა განქორწინებაზე. მაგრამ კანონი მაინც ვალდებულს ხდიდა მისულიყვნენ სასამართლოში, — სწორედ სასამართლოში, და არა ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც რეგისტრაციის მხოლოდ ტექნიკურ მპერაციას აწარმოებდა. ამით კანონი ხაზს უსვამდა, რომ სახელმწიფო გულგრილი არ იყო განქორწინების საკითხისადმი, კანონი ისწრაფვოდა გარკვეულად შეეხლუდა დაუსაბუთებელი განქორწინებანი. და ამას ცხადად ადასტურებენ შემდეგ მომხდარი ამბები. როდესაც 1926 წელს სრულიად გაუქმდა ქორწინების დარღვევის სასამართლო წესი და განქორწინების ყველა საქმე ფორმდებოდა მხოლოდ გამარტივებული რეგისტრაციით მმაჩრი, მკვეთრად გაიზარდა განქორწინების რაოდენობა. იმ დროის მონაცემები შეტყველებენ, რომ მაგალითად მოსკოვში განქორწინების რიცხვმა 1927 წელს (განქორწინების ახალი წესის დროს) 1926 წელთან შედარებით 4,5-ჯერ იმატა, ლენინგრადში — 3-ჯერ. ხოლო თუ ავიღებთ განქორწინებებს ცალმხრივი განცხადებით, ე. ი. განქორწინებათა იმ ნაწილს, რომელთაც უმთავრესად შეეხო რეფორმა (რადგან განქორწინება ორმხრივი შეთანხმებით რეფორმამდეც შეიძლებოდა გაფორმებულიყო არა სასამართლოს, არამედ მიმაჩრი მიერაც), მაშინ მათი რაოდენობის ზრდა უფრო მნიშვნელოვანი იქნება. ლენინგრადში, მაგალითად, ამ განქორწინებათა რიცხვი 10,5-ჯერ გაიზარდა.

ჩვენ გვერდს ვერ აეუვლით ამ ფაქტებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩვენს სინამდვილეში.

მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში სხვა მომენტიც იყო, როცა ცხადი გახდა კანონის გავლენა განქორწინების გარცელებაზე, მაგრამ უკვე საწინააღმდეგო მიმართულებით. 1936 წლის 27 ივნისს გამოცემულ იქნა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახორციელოს დადგენილება, რომელმაც, როგორც მაშინ იყო ნათქვამი, „ოჯახისა და ოჯახური მოვა-

ლეობისადმი ფუქსავატურ დამოკიდებულებასთან ბრძოლის მიზნით“, შემოტყოფილი როგორც ცნობილია, ზოგიერთი შემაკავებელი მომენტი ქორწინების დარღვევის წესში. და აი, იმ მონაცემებით, რომლებიც ჩვენთან გამოქვეყნდნენ დასახელებული კანონის გამოცემის შემდეგ, განქორწინებათა რაოდენობა 1938 წელს 1936 წელთან შედარებით (როდესაც უფრო გამარტივებული წესი მოქმედებდა) შეცირდა სსრკ-ში 35,8 პროცენტით, მათ შორის რსფსრ-ში — 42,3 პროცენტით, უკრაინის სსრ-ში — 34,7 პროცენტით, ბელორუსის სსრ-ში — 44,1 პროცენტით¹.

და, ბოლოს, კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც უკვე ჩვენს დღეებს ეხება. ომამდე განქორწინება სსრკ-ში ყოველ ათას მცხოვრებზე 1,1 უდრიდა. 1955 წელს შესაბამისი მონაცემია 0,6, ე. ი. თოთქმის ოჯერ ნაკლები². კ. პ. გორშენინმა განქორწინების ეს შემცირება სავსებით სწორად დაუკავშირა 1944 წლის 3 ივნისის ბრძანებულების გავლენას. განქორწინების რიცხვის შემცირება, ამზობდა იგი, „განსაკუთრებით შესამჩნევია, თუ განქორწინების შესახებ უკანასკნელ მონაცემებს შევადარებთ იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივნისის ბრძანებულების გამოქვეყნებამდე, ბრძანებულებისა, რომელმაც განსაზღვრული შემაკავებელი საწყისები დაწესა“³.

* * *

ამბობენ: ქორწინების დარღვევის სასამართლო წესის არაეფექტურობის დადასტურება ის არის, რომ უკანასკნელ წლებში არ ჩანს განქორწინების რაოდენობის შემცირებაო. მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთ ფორმებში, იმგვარად დამუშავებული განზოგადებული მონაცემები, რაც საშუალებას მოგვცემდა გვემსხელა მთელ რიგ კითარებებზე, რომლებც გავლენას აქდენენ განქორწინების რიცხვის გაზრდასა ან შემცირებაზე. განქორწინების გავრცელებაზე ხომ ბევრი გარემოება მოქმედებს, მათ შორის დროებითი, წარმავალი გარემოებანი. გარდა ამისა, სანდო არ არის ის დასკვნები, რომლებიც შეიძლება გამოტანილ იქნას იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც დროის მცირე მონაკვეთს შეეხებიან. ისეთი კანონების მოქმედება, როგორიც არის კანონები ქორწინებისა და ოჯახის შესახებ, განკუთვნილია მათი სტაბილური, ხანგრძლივი გამოყენებისათვის, იმისათვის, რომ ადამიანები შეეჩინონ სათანადო ქცევას, ქცევის სათანადო შეფასებას. და, ბოლოს, — და ეს შეიძლება მთავარი იყოს — ქორწინებისა და განქორწინების შესახებ კანონების მოქმედება მულავნდება არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა ქორწინება განქორწინებით მთავრდება, არამედ უფრო მეტად იმ მილიონობით ქორწინებაში, რომლებიც კეთილდღეობენ და განქორწინებით არ მთავრდებიან. და როცა ამბობენ, განქორწინება კიდევ ხშირია, ხომ ისიც უნდა დაამტკიცონ, რომ მათი რიცხვი მნიშვნელოვნად მეტი აღარ იქნებოდა, თუ უარს ვიტყოდით განქორწინების არსებულ წესზე.

1. «Большевик», 1939, № 15-16, стр. 112.

2. იხ. „ქალთა თანასწორუფლებისნობა სსრკ-ში. ქალთა საერთაშორისო

სემინარის მასალები“, გვ. 209.

3. იქვე, გვ. 68.

მაგრამ არსებობს ასეთი მოსაზრებაც: ქორწინების დარღვევის სასამართლო წესი საქმეს აჭიანურებს, ქმნის „განქორწინების დავიდარაბას“, ჩვენ კი გაჭიანურების, გაჯანგლების წინააღმდეგი ვართო. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვესაჭიროება განქორწინების პროცესის ზედმეტი, გაუმართლებელი გართულება: არსებული წესები მართლაც უნდა გადაისინჯოს და აღმოფხერილ უნდა იქნას პროცედურის ზედმეტად გადატვირთვა.

მაგრამ კიდევ ერთი მოსაზრება არსებობს: რისთვის გვესაჭიროება განქორწინების სასამართლო წესი, თუ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოები უმეტეს შემთხვევაში აკმაყოფილებენ განქორწინების მოთხოვნებს? ამგვარი მსჯელობა უგულებელყოფს იმას, რომ ასეთი მდგომარეობა შეიძლება მეტყველებელს სწორედ კანონის დადგით გავლენაზე, იმაზე, რომ ახლა სარჩელებს განქორწინების შესახებ წარადგენენ მაშინ, როცა არსებობს მართლაც სერიოზული საფუძველი განქორწინებისათვის¹. ხოლო მოქმედი კანონი სრულიადაც არ ავალებს სასამართლოს უარი უთხრას განქორწინებაზე მაშინ, როცა განქორწინება ძართლაც აუცილებელია.

გარდა ამისა, უხდა კაოგად გავერკვეთ თვით ამ მტკიცებაში, რომ თითქოს საზოგადოდ კმაყოფილდება განქორწინების სარჩელები. ავილოთ, მაგალითად, მონაცემები, რომლებიც მოყვანილია ვ. მ. ოსტროუხოვას სტატიაში². მოსკოვში განქორწინებაზე უარს ეუბნებოდნენ 4% შემთხვევაში (წინა წლებში განქორწინებაზე უარს ეუბნებოდნენ უფრო ხშირად, უარის თქმის პროცენტი 10-მდე აღწევდა). ეს იმას ნიშნავს, რომ 100-დან 4 შემთხვევაში სასამართლო ახლა უარს ეუბნება განქორწინებაზე, რადგან მიაჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილება იქნებოდა არასერიოზული, მოუფიქრებელი, იქნებ უზნეო, ბავშვების ინტერესების მკვეთრად დამრღვევი და სხვა მოქმედების სანქციონირება.

ყოველივე ეს თავისთავად სრულიადაც ცოტა არ არის იმისათვის, რომ დავფიქრდეთ, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ასეთი განქორწინების საქმეები მმაჩის რეგისტრატორის კალმის მიუკერძოებელ შეხედულებას დავუქვემდებაროთ? მაგრამ ეს ციფრები უფრო მეტ შეიშვნელობას იძენენ, თუ შემდეგ გარემოებას გავითვალისწინებთ. განქორწინების ყოველი 100 საქმიან, როგორც ეს დადასტურებულია მრავალი გამოკვლევებით, 60-დან 80 საქმემდე ეს ისეთებია, რომლის დროსაც ორმხრივი თანხმობაა განქორწინებაზე და სასამართლო საქმეს ყოველთვის განქორწინების სასარგებლოდ სწყვეტს. მაშასადამე, განქორწინებაზე უარის თქმა არსებითად უნდა მიეკუთვნოს განქორწინების საქმის არა მთელ 100 პროცენტს, არამედ მხოლოდ იმ 40-20 პროცენტს, ყადაც განქორწინებას მოითხოვს მხოლოდ ერთი მხარე, ხოლო მეორე მხარეს ზრაგვერ განქორწინების საჭინააღმდეგო ძლიერი საბუთი მოჰყავს. ამრიგად, თუ უარის თქმის დონეს ვიანგარიშებთ იმ საქმეებთან შეფარდებით, სადაც მხოლოდ უარს ეუბნებიან განქორწინებაზე, მაშინ განქორწინება იქნება არა 5, არა 10, არა 13%, არამედ გაცილებით მეტი.

ზემოთქმულიდან ცხადია: განქორწინების კანონი ისეთი უნდა იყოს, რომ მან სამართლისათვის ხელმისაწვდომი საშუალებებით ძნელი გახადოს ქორწინებით („Советское государство и право“, 1957, № 17, стр. 97).

^{2*} იქვე.

1. სწორედ ასე მართებულად განმარტა ეს ფაქტი რსფსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ვ. მ. ოსტროუხოვამ მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკაზე შეფარდებით („Советское государство и право“, 1957, № 17, стр. 97).

ბისა და იჯახისადმი ფუქსავატური დამოკიდებულებით გამოწვეული ოჯახის ნერევა და რომ, მეორე მხრივ, დაბრკოლება არ შეუქმნას განქორწინებას მაშინ, როდესაც სასამისოდ სერიოზული 1 უუძველი არსებობს. ამას ყველაზე მეტად ქორწინების დარღვევის სასამართლო ფორმა უპასუხებს.

განქორწინების სარეგისტრაციო სისტემაზე დაიოუნება სახელმწიფოს ოჯახის განმტკიცების მიზნით ადამიანებზე ზემოქმედების საშუალებას წაართმევდა, დაუკარგავდა შესაძლებლობას, რომ სამართლის მექანიზმიც სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების აღმოსაფეხვრელად გამოეყენებინათ. მმაჩში რევსტრაციის „არაშემფასებელი“ სისტემა ხშირ შემთხვევაში იქნებოდა უსულგულო „უზნეობის დადასტურება“, რომლის შესახებაც სწერდა მარქსი.

* * *

მაგრამ ასეთი თვალსაზრისიც არსებობს: უნდა შევინარჩუნოთ განქორწინების სასამართლო ფორმა, მაგრამ უარი ვთქვათ სასამართლო ფორმაზე და მმაჩში რეგისტრაციით დაკამაყოფილდეთ განქორწინების იმ შემთხვევაში, ოთცა ადგილი აქვს სასამართლოების მიერ ქორწინების დარღვევის საქმეთა განხილვის წესების 1944 წლის 27 ნოემბრის ინსტრუქციის 16-ა პარაგრაფით გათვალისწინებულ საქმეს, ე. ი. სულით ავადმყოფებთან, 3 წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდადებულებთან და უგზო-უკვლოდ დაკარგულებთან. განქორწინების შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, ამ წინადადების იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია სულით ავადმყოფებთან და თავისუფლებააღკვეთილებთან განქორწინებაზე, საფუძვლად უდევს ერთი თეორიული შეცდომა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სულით ავადმყოფობა და განსაზღვრული სახსრ მსჯავრდადება განხილულია როგორც ერთგვარი აბსოლუტური საფუძველი განქორწინებისათვის. საქმარისია მმაჩში მიიტანოთ ქალალი იმის შესახებ, რომ თქვენი მეუღლე ქრონიკულად სულით ავადმყოფია ან მსჯავრდადებული იყო განსაზღვრული ვადით თავისუფლების აღკვეთით, რომ მმაჩის მუშავი სხვა აღარა გქითხოს, არც არა შეამოწმოს და რეგისტრაციაში გაატაროს ქორწინება.

მართებულია ამ საკითხისადმი ასეთი მიღომა? ნუთუ სულით მძიმე დაავადებასაც კი, თვით სულით ქრონიკულ ავადმყოფობას ყოველთვის და უკლებლივ შეუძლია გამოიწვიოს განქორწინება? ჩვენი აზრით, ასეთი მსჯელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ განქორწინების სამართლიდან სავსებით ამოვიდებთ ეთიკის კრიტერიუმს. ხოლო თუ მას დავტოვებთ, მაშინ საჭირო აღარ იქნება ფანტაზიის ძლიერი დაბატვა, რათა წარმოვიდგინოთ ცხოვრების სიტუაცია, როცა წასვლის ლეგალზიზაცია შეიძლება არაზნეობრივობის ლეგალიზაცია გახდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსნოთ ერთი მონაკვეთი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განსაზღვრებებიდან, რომელიც ნათქვამია, რომ ერთ-ერთ სარჩელში ქორწინების დარღვევის მოთხოვნა ისახავდა „მხოლოდ იმ მიზანს, რომ თვითან მოეცილებინა ავადმყოფი ცოლისადმი მორალური და მატერიალური დახმარების მოვალეობა და არ დახმარებოდა მას ჯანმრთელობის აღდგენაში... მოსარჩელის განზრახვა — განქორწინების გზით მოიცილოს ავადმყოფი ცოლი — არა მარტო არ შეიძლება განქორწინების საფუძველი იყოს, არამედ პირიქით, გაყიცხის ღირსია, რადგან ერთი მეუღლის ასეთი დამოკიდებულება მეორისადმი, რომელიც მძიმე მდგო-

მარეობაში აღმოჩნდა, ეწინააღმდეგება სოციალისტური მორალის პრინციპებს¹.

უაღრესად მძიმე ქრონიკული სულით ავადმყოფობის დროსაც კი შეიძლება იყოს სხვადასხვა სტადია და პერიოდი, პიროვნების დაცემისა და გარემოსთან კონტაქტის დაკარგვის სხვადასხვა საფეხური. შეიძლება ისეთ შემთხვევასაც ჰქონდეს ადგილი, როცა თვით ავადმყოფი მეუღლისაგან წასვლა საბედისწერო აღმოჩნდეს ავადმყოფობის მიმდინარეობისათვის. შეიძლება ისიც მოხდეს, რომ განქორწინების წინააღმდეგ მოქმედებდეს ბავშვების მორალური ტანჯვა და ა. შ. ეს, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს სულით ავადმყოფობა არ შეიძლება საფუძველი იყოს განქორწინებისა. უეჭველია, არის შემთხვევები — და ძალიან ხშირიც, — როცა ასეთი ქრორწინების შენარჩუნება იქნებოდა ზედმეტი წვალება როგორც მეორე მეუღლისათვის, ისე ბავშვებისათვისაც. ყველა ეს გარემოება შეიძლება ზედმიწევნით გაითვალისწინოს სასამართლომ, მაგრამ ნუ შეეცდება კანონში ერთი მნიშვნელობით გადაწყვიტოს ურთულესი პრობლემა, მათ შორის ურთულესი ეთიკური პრობლემაც, რომლის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ზედმიწევნით აღირიცხება ცხოვრების ცალკეული შემთხვევის ყველა კონკრეტული ვითარება.

არანაკლებ სადაცოდ მიგვაჩნია ის, რომ მმარებს გადაეცეთ იმ პირებთან განქორწინების საქმეები, რომლებიც თავისუფლებააღკვეთილნი არიან. განასწორი იქნებოდა მხარი დაგვეჭირა აზრისათვის, რომ ადამიანის მიერ ჩადენილმა დანაშაულმა, რაც განსაზღვრული ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება, უეჭველად უნდა გამოიწვიოს განქორწინებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უფლების ჩამორთმევა? ადამიანს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული და სასჯელს იხდის, როდი ვუყურებთ როგორც „ხელიდან წასულს“, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იგი დაუბრუნდება ნორმალურ შრომითს ცხოვრებას, — ხოლო ოჯახური ცხოვრების დარგში ჩვენ რატომღაც უნდა მიგვაჩნდეს, რომ მას შეიძლება წავართვათ ოჯახი ისე, რომ არც კი შევეკითხოთ ამის შესახებ.

თავისუფლებააღკვეთილ პირებთან განქორწინების საკითხის გადაწყვეტა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს მთელი რიგი გარემოებისდა მიხედვით. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი სარჩელი განიხილება მსჯავრდადებულის დაბრუნებამდე რამდენიმე კვირით ან თვით აღრე. ნუთუ მოსამართლეს არ აღეძვრება სურვილი უთხრას მოსარჩელეს: „მოიცა, გეორგი, ცოტა, ჩვენ ეს საკითხი იმ ადამიანის თანამდებობით განვიხილოთ“. რა თქმა უნდა, უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ დანაშაულის ჩადენა მეტად სერიოზული საფუძველია განქორწინებისათვის. მაგრამ ამასთანავე განქორწინების ეს საფუძველი არ შეიძლება აბსოლუტური საფუძველი იყოს, და იგი განხილულ უნდა იქნას საქმის ყველა სხვა გარემოებასთან მჭიდრო კავშირში (მეუღლეთა ურთიერთობის ხასიათი, როგორ გავლენას მოახდენს განქორწინება ბავშვთა ინტერესებზე და სხვ.).

რაც შეეხება უგზო-უკვლებოდ დაკარგულთან განქორწინებას, აქ მართლაც უაღრესად სერიოზული მოსაზრებებია სასამართლოს გარეშე განქორწინების სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში განქორწინებამდე ხომ სწარმოებს უგზო-უკვლებოდ დაკარგვის ფაქტის ზედმიწევნით შემოწმება, მაგრამ აქაც შესაძლებელია ერთგვარი დამატებითი შემოწმება უკვე ქორწინების დარღვევის პროცეს-

¹. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1955, № 1.

ში — ხომ არ გამოჩენილა პიროვნება განქორწინებისათვის საქმის აღმდეგობის მომენტში. ასეთ შემთხვევებს კი ადგილი აქვთ. მაგალითად, მოსკოვის საქალაქო სასამართლოში იყო შემთხვევა, როცა განქორწინების საქმე შეწყვეტილ იქნა უზრუნველობ დაკარგულად მიჩნეული პიროვნების გამოცხადებით. მაგრამ თუ ამ მოსაზრებასაც უკუ ვაგდებთ, მაინც გვრჩება ეჭვი, განა საჭიროა მცირერიცხვანი შემთხვევებისათვის (ხოლო მშვიდობის პერიოდში ასეთი ფაქტები, ბუნებრივია, დიდად არ არის გავრცელებული) მოვახდინოთ გამონაკლისი ზოგადი დებულებიდან იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში განქორწინების საქმეები ნებადართულია სასამართლო გარანტის პირობებში.

* * *

განქორწინების სასამართლო ფორმის შენარჩუნების პირობებში იბადება კითხვა, როგორ უნდა განისაზღვროს განქორწინების საფუძველი კანონში.

არსებობს განქორწინების საფუძვლის განსაზღვრის სამი წესი:

1) მეტად თუ ნაკლებად მყაცრად და კატეგორიულად გამოხატული განქორწინების კონკრეტული საფუძვლების (საბაბი, მიზეზი) ამომწურავი სიის მითითება კანონში. ასეთი წესი დამახსიათებელია უმეტესი ბურუუაზიული ქვეყნების კანონმდებლობისათვის.

2) განქორწინების საფუძვლების არა ამომწურავი, არმედ დაახლოებით სიის მითითება კანონში. ასეთი წესი ცნობილია ევროპის ზოგიერთი სოციალისტური სახელმწიფოს (მაგ. ალბანეთის) კანონისათვის.

3) კანონში განქორწინების საფუძვლის მითითება მხოლოდ ზოგადი პრინციპის სახით („ქორწინების დარღვევის უცილებლობა“, „ქორწინების ღრმად დარღვევა“ და სხვა), რომლის ღროსაც სასამართლომ ვთავრებათა მთელი ერთობლივობის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს საკითხი — არსებობს სამისო საფუძველი თუ არა. ასეთი მეთოდი დამახსიათებელია საბჭოთა კანონისათვის და საზღვარგარეთის ბევრი სოციალისტური სახელმწიფოსათვის (პოლონეთი, ჩეხელოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ჩვენთან საერთოა აზრი პირველი წესის მიუღებლობის შესახებ. ეს ფორმალისტური წესია, რომელიც საშუალებას არ იძლევა შევწყვიტოთ ქორწინება მაშინ, როცა საამისოდ კანონით გაუთვალისწინებელი საფუძველი არსებობს, და გვაძლევს განვაჭორწინოთ მაშინ, როცა განქორწინება არ არის საჭირო.

მიუღებლად მიგვაჩნია მეორე წესიც — განქორწინების საფუძვლის მიახლოებითი სიის წესი¹. კანონში რამდენიმე კონკრეტული, თუნდაც დაახლოებითი სიით გამოხატული საფუძვლის მითითების არსებობა იწვევს მას, რომ მოსამართლეები მათ განიხილავთ როგორც განქორწინების აბსოლუტურ საფუძველს, რაც იწვევს აქედან გამომდინარე ყველა არასასურველ შედეგს.

ყველაზე მისაღებია, ალბათ, მესამე წესი, ე. ი. კანონში მხოლოდ ქორწინების დარღვევისათვის ზოგადი პრინციპის მითითება და სასამართლოებისათვის იმის უფლების მინიჭება, რომ გარემოებათა მთელი ერთობლიობის გათვალისწინებით გადაწყვიტონ განქორწინების საკითხი.


¹. იურიდიულ ლიტერატურაში მას იცავენ მ. ტ. ორილოროგა, („Советское государство и право“, 1957, № 1, стр. 114) და ი. ს. გურევიჩი („Советское государство и право“, 1956, № 9, стр. 62-63).

რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამ მეთოდსაც თავისი ჩრდილოვანი მხარეები აქვს. იგი ქმნის პრაქტიკის სხვადასხვაობის საფრთხეს და შიშს, რომ ერთი სასამართლო საფუძვლიანად ჩასთვლის ისეთ განქორწინებას, რომელსაც სხვა სასამართლოები უსაფუძვლოდ მიიჩნევენ. ასეთი საფრთხე მართლაც არსებობს თეორიულად. მაგრამ, ჯერ ერთი, ჯერჯერობით არა გვაქვს რაიმე ისეთი ცნობა, რომელიც შიუთითებდეს, რომ სხვადასხვა მოსამართლენი სხვადასხვანაირად სწყვეტენ ასეთ საკითხებს. მეორეც, ამ სპეციფიკურ საქმეებში, სადაც განსაკუთრებით არის საჭირო საქმის თავისებურებისა და კონკრეტული ვითარების აღრიცხვა, სხვადასხვაობის საშიშროების აღმოფხერა უმჯობესია მივანდოთ უმაღლესი სასამართლო ორგანოების ოპერატორულ მითითებებს, რომლებიც დროდაღრო შეიძლება გამოცემულ იქნან (იმათ მსგავსად, რომლებიც მითითებული იყვნენ „ქორწინების დარღვევის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წლის 16 სექტემბრის დადგენილებაში).

კანონში არ უნდა შევიტანოთ განქორწინების საფუძველთა რაიმე სია, არა მედ, როგორც ჩეენ გვვინია, საჭიროა გამოვიყენოთ გამოცდილება საზღვარგარეთის ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნისა, სადაც ქორწინების დარღვევის ზოგად პრინციპს თან ურთავენ ტალკეულ სახელმძღვანელო ახსნა-განმარტებებს, რომლებიც თავინთ სწყისს დანაშაულის გაგებიდან იღებენ. დანაშაული მოცემული არ არის როგორც განქორწინების საფუძველი, რასაც ადგილი აქვს განქორწინების შესახებ ბურკუზიულ კანონმდებლობაში, მაგრამ იგი მოხსენებულია როგორც ისეთი გარემოება, რომლის დროსაც უარს ეუბნებიან განქორწინებაზე. კონკრეტულად ეს ასე გამოიყურება: პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის კანონებში, მაგალითად, გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ქორწინების დარღვევაში დამნაშავე მეუღლეს არ შეუძლია მოითხოვოს ქორწინების დარღვევა, თუ საკუთარ დანაშაულს იმოწმებს, ხოლო მეორე მეუღლე წინააღმდეგია განქორწინებისა. და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ ამას საზოგადოების ინტერესი მოითხოვს და მეუღლები დიდი ხანია ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ქორწინება ირღვევა დამნაშავე მეუღლის მოთხოვნით და მეორე მეუღლის თანხმობის უქონლად.

ჩეენ მართებულად მიგვაჩნია საკითხის ასეთი გადაწყვეტა. იგი განქორწინების საქმის გადაწყვეტისას საკმარისად წინ სწერე ადამიანთა ქცევაში ეთიკური მხარისადმი შეფასებითს მიღვინობას და, მეორე მხრივ, სასამართლოს წინადადებას აღმევს ანგარიში გაუწიოს საქმის ფაქტიურ მდგომარეობას, უკუ აგდებს რა ამ საქმეში თვითნებობას არა მარტო მოსამარჩელის, არამედ მოპასუხის მხრივაც.

ამასთან სერიოზული ყურადღების ღირსად მიგვაჩნია ის, რომ საზღვარგარეთის ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყანაში დანაშაულის პრინციპის იყენებენ განქორწინების უფლებრივი შედეგების შესახებ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. მაგალითად, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის კანონმდებლობანი შეიცავენ ისეთ ნორმებს, რომლებიც მეუღლის უფლებას მეორე მეუღლისაგან მიიღონ სარჩო და მეუღლეთა საერთო ქონებიდან წილის მიღების უფლებას უქვემდებარებენ იმ მეუღლის ქცევის ხასიათს, რომელიც შესაბამის მოთხოვნის აყენებს. ამასთან შესაძლებელია საკეთებით ან ნაშილობრივი უარის თქმა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ დადგენილ იქნა ამ მეუღლის დანაშაულებრივი, ანტიმორალური საქციელი. კანონში ასეთი მითითე-



ბის შეტანა, ვფიქრობთ, უფრო მეტად შეუწყობდა ხელს ოჯახურ ურთიერთობაში სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დანერგვას, ვიდრე მეუღლის ყველა ასეთი უფლების ამსოლუტიზაცია, რასაც ადგილი აქვს მოქმედ სამართლში.

და, ბოლოს, უნდა აღინიშნოს მეტად სერიოზული ყურადღების ღირსი კიდევ ერთი მითითება, რომელიც 1955 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემულ განქორწინების შესახებ დადგენილებაში თან ერთვის ქორწინების დარღვევის საერთო პრინციპს. ამ დადგენილებაში ნათქვამია, რომ ქორწინება იმ შემთხვევაში ირღვევა, თუ საამისოდ სერიოზული საფუძველი არსებობს, თუ იგი მეუღლებასთვის, ბავშვებისათვის და საზოგადოებისათვის უაზრო გახდა, ამასთან სასამართლომ უნდა შეამოწმოს, განქორწინება მეორე მეუღლისათვის ხომ არ იქნება უდიდესი სიმკაცრე და ეს კრიტერიუმი, იმ მოსამართლებისადმი გადაცემული, რომლებიც განქორწინების საკითხებს სწყვეტენ, ჩვენ ძვირფასად და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია როგორც კრიტერიუმი, რომელიც სოციალისტური ჰუმანიზმის ცნებებს განეკუთვნება.

* * *

1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების მოქმედების 14 წელზე მეტი ხნის განვალობაში ყოველთვის ერთი და იგივე ფაქტი ირკვევა: როგორც უკვე ალვანიშნეთ, განქორწინებათა ის საქმეები, სადაც ორივე მხარე ქორწინების დარღვევის მომხედა, სასამართლო პრაქტიკაში შეადგენენ ჭარბ ნაწილს (60-დან 80 პროცენტამდე) და თითქმის ყველა ამ შემთხვევაში საჭმე განქორწინების გადაწყვეტილებით მთავრდება.

უკვე 1946 წლიდან ჩვენს პრესაში გამოოქვამენ აზრს, რომ ასეთი პრაქტიკა ყველაზე მეტად უბასუხებს ქორწინებისა და განქორწინების შესახებ სოციალისტური კანონის აზრსა და არსს და რომ ეს უნდა გამოიხატოს თვით კანონში: განქორწინებაზე თვითსუფალი და ურყევი ურთიერთ თანხმობა საკმარის საფუძვლად უნდა იქნას მიჩნეული განქორწინებისათვის¹. ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ გამოვიდნენ მთელი რიგი იურისტები; ყოველ შემთხვევაში ექვს დისერტაციაში ეს დებულება კამათის საგანი გახდა². ხოლო ბ. ს. ანტიმონოვი და ა. ი. პერგამენტი 1954 წელს ამასაც კი ამტკიცებდნენ: წინადაღება კანონში იმის მითითების შესახებ, რომ ურთიერთ თანხმობა საფუძველია განქორწინებისათვის, 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების არსებით დებულების — ქორწინების მხოლოდ სასამართლო წესით დარღვევის პრინციპის რევიზიას წარმოადგენსომ³.

მაგრამ ცხოვრებისეული ლოგიკის, ფაქტების ლოგიკის ზემოქმედებით სულ უფრო მეტი ადამიანი იზარებს ამ თვალსაზრისს. საინტერესო მოსაზრებები წამოაყენა ს. სალოვმა. იგი სწერს, განქორწინებაზე ურთიერთ შეთანხმებისადმი სათანადო მნიშვნელობის მიუნიჭებლობა იმას იწვევს, რომ მხარეები იგონებენ ადამიანის ღირსების დამამცირებელ, მტრული დამკიდებულების

1. იხ. გ. ბ. სვერდლოვის სტატიები („Советское государство и право“, 1946, № 7, „Социалистическая законность“, 1953, № 9)

2. იხ. ბ. ქ. ტაბოლიცევის, ბ. ს. მიტროხინის, ი. ბ. მორეენის, ე. ა. პორეს, ვ. გ. ბარიშნიკვის, მ. ტ. ორიოდორგა დისერტაციები საოჯახო სამართლის საკითხებზე.

3. «Социалистическая законность», 1954, № 9, стр. 30.



არარსებულ ფაქტებს, სასამართლოები ერევიან ინტიმურ ურთიერთობაში და სხვ¹. ურთიერთ თანხმობა განქორწინების საფუძვლად მიაჩნია ი. ს. გურევიჩს².

საინტერესოა ამ საკითხში ა. ი. პერგამენტის შეხედულებათა ევოლუცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინადადება იმის შესახებ, რომ ურთიერთ თანხმობა აღიარებული ყოფილიყო განქორწინების საფუძვლად, ა. ი. პერგამენტს ადრე მიაჩნდა 1944 წლის 8 ივნისის ბრძანებულების დაუშვებელ „რევიზიად“. ახლა კი იგი განქორწინებაზე ურთიერთ თანხმობას არა თუ განქორწინების საფუძვლად მიიჩნევს, არამედ წინადადებას იძლევა ყველა ასეთი საქმე ამოღებულ იქნას სასამართლოდან და გადაეცეს მმაჩის ორგანოებს. მართალია, ა. ი. პერგამენტი იქვე დასძენს, რომ მმაჩის ორგანოებს ურთიერთ თანხმობით განქორწინების საქმეები მხოლოდ მაშინ უნდა გადაეცეთ, როცა მეუღლები უშვილონი არიანო³.

ჩვენი აზრით, ეს უკვე მეორე უკიდურესობაა, რომელიც, ალბათ, არ უნდა მივიღოთ. რად არის სასურველი განქორწინების სასამართლო ფორმა მაშინაც. როცა არსებობს ურთიერთ თანხმობა განქორწინებაზე? შემაკავებელი ელემენტები, რომლებსაც განქორწინების სასამართლო პროცედურა შეიცავს, შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს იმ შემთხვევებისთვისაც, როცა განქორწინება მეუღლეთა ურთიერთ შეთანხმების შედეგია. სასამართლო პროცედურის გარეცელება ასეთ შემთხვევაშიც იძლევა იმის დიდ გარანტიას, რომ განქორწინებაზე თვით ურთიერთ შეთანხმებას საფუძვლად ედება მართლაც სერიოზული, მოფიქრებული მოტივები და ურყევი გადაწყვეტილება. შემდეგ, სასამართლო წესი შესაძლებლობას იძლევა სიმართლის დიდი გარანტით დაგრძელუნდეთ, რომ ეს თანხმობა მართლაც თავისუფალი და ძალდაუტანებელია. და, ბოლოს, ჩვენ საფუძველი არ გვაქვს უარი ვთქვათ იმაზე, რომ განქორწინებაზე ურთიერთ თანხმობის არსებობისას შევეცადოთ მხარეების შერიგებას.

რაც შეეხება შენიშვნას იმის შესახებ, რომ მმაჩის გადაეცეს მხოლოდ ურთიერთ თანხმობით განქორწინების ის საქმეები, როდესაც მეუღლებს შვილი არა ჰყავთ, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ ამ წინადადების მიუღებლობა თუნდაც მისი დასაბუთებილან სჩანს. იგი მით არის დასაბუთებული, რომ იმოწმებენ ოჯახის მხოლოდ ერთ ფუნქციას — აღზრდის ფუნქციას. მაგრამ არ უნდა დავიკიწყოთ, რომ ოჯახს სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც აქვს: მატერიალური და მორალური ურთიერთდახმარების, შთამომავლობის გაგრძელების ფუნქციები. ჩვენ არაიშვიათად შეიძლება დავინტერესდეთ ისეთი მეუღლების ქორწინების შენარჩუნებითაც, რომელთაც შვილები კიდევ ეყოლებათ, და ისეთებისაც, რომელთაც შვილები აღარ ეყოლებათ.

ქორწინების დარღვევის სასამართლო პროცედურის შენარჩუნებას უნდა მოჰყვეს არსებული წესის მთელი რიგი სერიოზული პროცესუალური ცვლილებები. არსებობს მრავალი მოსაზრება იმის სასარგებლოდ, რომ გაუქმდეს განქორწინების პროცესის ორ ინსტანციას შორის არსებული ახლანდელი სხვადასხვაობა. ეს საქმეები წარმატებით შეიძლება განხილულ იქნას ერთ ინსტანციაში. თუ რომელში — ეს უნდა გადაწყვიტონ რესპუბლიკის კანონებმა (კერძო,

¹. «Советская юстиция» 1957, № 6, стр. 47.

². „Советское государство и право“, 1956, № 9, стр. 62. ურთიერთ თანხმობით განქორწინების ინსტიტუტის სასარგებლოდ მეტად საინტერესო მოსაზრებებს ანვითარებს.

³. მევორაზე ზემოთ აღნიშნულ სტატიაში.

³. «Советская юстиция», 1957, № 4, стр. 38.

⁴. საბჭოთა სამართლი.

სასამართლოების ტერიტორიული განლაგების მიხედვით). გონივრულად გვეჩვენება წინადაღება, რომ განქორწინების პროცესს, რომელიც არა ორ, არამედ ერთ ინსტანციაში მიმდინარეობს, ჰქონდეს ორი სტადია, ხოლო კანონში დაწესებულ იქნას ამ ორი სტადიის გამყოფი განსაზღვრული ვადა.

უნდა აღმოითხვრას დღეს მოქმედი წესის ის ნაკლი, რომლის ძალითაც სასამართლოებს ებადებათ ეჭვი, აქვთ განა უფლება საქმის მიხედვით გაათვავისუფლონ ესა თუ ის მხარე ან ორივე მხარე კანონით დაწესებული გადასახადისაგან, რაც განქორწინების საქმესთან არის დაკავშირებული. სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს გადასახადების საკითხი გადაჭრას მხარეების ქცევისა და მათი მატერიალური მდგომარეობის მიხედვით. კანონში ნათლად უნდა იყოს ნათევამი, რომ ამ საკითხშიაც სასამართლოს უფლება აქვს ხარჯები დაწერის იმ მეუღლეს, რომელსაც ბრალი მიუძღვის განქორწინებაში.

უნდა შეიცვალოს ქორწინების დარღვევის საქმეთა განსაზღობის ნორმები იმ მოსაზრებით, რომ არ შეიქმნას გაუმართლებელი სიძნელეები კეთილსინდისიერი, განქორწინებაში უდანაშაულო მეუღლისათვის.

შეიძლება მოხდეს განქორწინების პროცედურის სხვა ცვლილებები და გამარტივებანი. მაგრამ ყველა ეს ცვლილება უნდა დაემორჩილოს ერთ იდეას: ნუ გავაადვილებთ დაუსაბუთებელ განქორწინებას და ხელს ნუ შევუშლით სამართლიან, აუცილებელ განქორწინებას.

* * *

განქორწინების მთავარი საკითხების — განქორწინების ცორმისა და განქორწინების საფუძვლის — საკანონმდებლო რეგულირება უნდა იყოს საერთო სახელმწიფო, საკავშირო ხელისუფლების საგანი. ეს გამომდინარეობს ვ. ი. ლენინის პირდაპირი მითითებებიდან იმის შესახებ, რომ განქორწინების შესახებ კანონმდებლობა მიეკუთვნოს საერთო სახელმწიფო ხელისუფლებას. ეს გამომდინარეობს საკითხის არსიდან. საერთო საკავშირო კანონში ქორწინების დარღვევის საკვანძო პრობლემების გადაჭრის მიუთითებლობამ შეიძლება გამოიწვიოს არასაკურველი სხვადასხვაობა რესპუბლიკების მიხედვით, რაც თავის მხრივ განაპირობებს არსასურველ მოვლენებს, იმის მსგავს მოვლენებს, რომლებიც არსებობენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, საღაც განქორწინების ადგილობრივ კანონმდებლობებში არსებითი განსხვავების ნიადაგზე იქმნება თავისებური „განქორწინებათა გეოგრაფია“, რომელიც განქორწინების მისაღებად აღამიანებს აიძულებს, ერთი ადგილიდან გაღასახლდნენ სხვაგან და სხვ.

რა ფორმით არის მიზანშეწონილი განქორწინების შესახებ მოქმედი კანონის შეცვლა? საჭიროა თუ არა გამოიცეს ამ საკითხზე განსაკუთრებული საკანონმდებლო აქტი, როგორც ამას ზოგიერთები გვთავაზობენ, თუ იგი ჩავატაროთ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საერთო საკავშირო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელთა გამოცემაც გათვალისწინებულია სსრკ კონსტიტუციით? მეორე გზა უფრო სწორად მიგვჩნია. განქორწინების საკითხი ორგანულად არის დაკავშირებული საოჯახო სამართლის სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან (ე. წ. ფაქტიური ქორწინების, ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობის, მეუღლეთა ქონებრივი უფლების, ბავშვების და სხვა საკითხებთან). ამიტომ უფრო გონივრული იქნებოდა, რომ საოჯახო სამართლის ყველა საკითხი გადავვიტარ ერთდროულად ქორწინებისა და საოჯახო სამართლის საერთო საკავშირო „საფუძვლებში“, რომელიც სასურველია რაც შეიძლება მალე გამოიცეს.

ჩინადავწმანი ახალი კანონების გადასაცემი

საქართველოს სსრ სამოქადაცო სამართლის კოდექსის პრევეზის შეგვენისათვის

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომელიც შემუშავებული და სამოქმედოდ შემოღებული იქნა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირველ პერიოდში, რამდენადმე მოძველდა და მთლიანად ვერ ასახავს ჩვეულების სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდის საზოგადოებრივ-უფლებრივ ურთიერთობას.

„ამჟამად, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ აშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადას ვ ლ ი ს გზით განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველნაირად განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავიდაცვა მისი მტრების იგრესიული მოქმედებისაგან“.

ამ ღიადი ამოცანების შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის მომავალმა კო-

დექსმა ნათლად და სრულყოფილად უნდა ასახოს და საკანონმდებლო წესით განამტკიცოს საბჭოთა საზოგადოების ეს ახალი ურთიერთობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის მეექვსე სესიის დაღვენილებით მკვეთრად იქნა გაფართოებული მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო უფლებები. სასამართლოთა მოწყობის, სასამართლო წარმოების, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსების შემუშავება და მიღება მიეკუთვნა მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მომზადებასა და შემუშავებასთან დაკავშირებით დ. ი. კურსკისადმი გაგზავნილ წერილში კატეგორიულად მოითხოვდა:

„1. იუსტიციის სახალხო კომისარმა პირადად უნდა აღევნოს თვილყური და შეამოწმოს, სახელმობრ ვინ აგებს პასუხს სამოქალაქო კოდექსის ყოველი მნიშვნელოვანი განყოფილების გამო.

2. უსათუოდ აღებულ უნდა იქნეს ყველაფერი, რაც კი რამ არსებობს და სავლეთ ევროპის ქვეყნების ლიტერა-

ტურასა და გამოცდილებაში მშრომელ-
თა დასაცავად!“¹

საქართველოს სსრ სამოქალაქო სა-
მართლის ახალი კოდექსის შემუშავები-
სას ფართოდ უნდა იქნას გამოყენებუ-
ლი სოციალისტური მშენებლობისა და
სოციალისტური კანონიერების შეფარ-
დების უმდიდრესი გამოცდილება.

ჩვენის აზრით საქართველოს სსრ
სამოქალაქო სამართლის მომავალი კო-
დექსის სისტემა წარმოდგენილი უნდა
იქნას შემდეგი სახით:

1. ზოგადი ნაწილი;
2. საკუთრების უფლება;
3. ვალდებულების სამართალი;
4. ვალდებულებათა სახეები;
5. საავტორო სამართალი;
6. მემკვიდრეობის სამართალი.

კოდექსის პირველი კარი — ზოგადი
ნაწილი — უნდა შეიცავდეს შემდეგ
თავებს: 1. ძირითადი დებულებანი;
2. პირები (მოქალაქენი და იურიდიული
პირები); 3. სამოქალაქო უფლებების
და ვალდებულებების წარმოშობის სა-
ფუძვლები; 4. გარიგებანი; 5. წარმო-
მაღენლობა; 6. სამოქალაქო უფლების
დაცვა; 7. ვადების გამოთვლა და 8.
სასარჩელო ხანდაზმულობა.

კოდექსის მე-2 კარი — საკუთრების
უფლება: 1. საერთო დებულებანი, 2.
სახელმწიფო საკუთრების უფლება; 3.
კონკრეტული საკოლმეტურნეო საკუთ-
რების უფლება; 4. პირადი საკუთრების
უფლება; 5. საერთო წილობრივი და
საერთო საკუთრების უფლება; 6. სა-
კუთრების უფლების წარმოშობა და
მოსპობა; 7. საკუთრების უფლების
დაცვა.

კოდექსის მე-3 კარი — ვალდებულე-
ბის სამართალი: 1. ვალდებულების
ცნება და ვალდებულებათა წარმოშო-
ბის საფუძვლები; 2. ვალდებულების

შესრულება და პასუხისმგებლობა² ვალდებულების შეუსრულებლობისათვის;
3. მოთხოვნის დათმობა და ვალდებუ-
ლების გადატანა; 4. ვალდებულების
უზრუნველყოფა; 5. ვალდებულების
მოსპობა.

კოდექსის მე-4 კარი — ვალდებულე-
ბათა სახეები: 1. ყიდვა-გაყიდვის ხელ-
შეკრულება; 2. გაცვლის ხელშეკრულე-
ბა; 3. ჩუქების ხელშეკრულება; 4. სეს-
ხის ხელშეკრულება; 5. ნარდად მუშაო-
ბის ხელშეკრულება; 6. ქონების ქირავ-
ნობის ხელშეკრულება; 7. ბინის ქირავ-
ნობის ხელშეკრულება; 8. ქონებით
უფასოდ სარგებლობის ხელშეკრულე-
ბა; 9. გარდაცვალებამდე შენახვის ხელ-
შეკრულება; 10. მინდობილობის ხელ-
შეკრულება; 11. კომისიის ხელშეკრუ-
ლება; 12. მინდობილობის გარეშე
სხვისი საქმის წარმოების გამო წარმო-
შობილი ვალდებულება; 13. ქონების
შენახვის ხელშეკრულება; 14. ამხანაგო-
ბის ხელშეკრულება; 15. კონკურსის
გამოცხადება სამუშაოს საუკეთესოდ
შესრულებისათვის; 16. ჯილდოს მი-
ცემის საჯაროდ დაპირება; 17. მიყენე-
ბული ზიანით წარმოშობილი ვალდებუ-
ლებანი; 18. ქონების უსაფუქვლოდ შე-
ძენით წარმოშობილი ვალდებულებანი.

მე-5 კარი-საავტორო სამართალი:
1. საავტორო უფლება; 2. საავტორო
ხელშეკრულება.

მე-6 კარი-მემკვიდრეობის სამართა-
ლი.

საქონლის მიწოდება, ტრანსპორტი,
კაპიტალური მშენებლობა, დაზღვევა,
კავშირებამულობა, საკრედიტო ოპერა-
ტორები, საგარეო ვაჭრობა, გამომგონებ-
ლობა და უცხოელ მოქალაქეთა უფლე-
ბები მოწესრიგებული იქნება სსრ კავ-
შირის კანონმდებლობით.

კოდექსის შემუშავებისას განსაკუთ-
რებული ყურადღება უნდა დაეთმოს

¹ გ. ი. ლეინი, თხ. ტ. 33, გვ. 229.



საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ისე-
თი ფუნქციელოვანების ინსტიტუტების
საფუძვლიანად დამუშავებას, როგორი-
ცაა გარიგებანი, საკუთრების უფლება
და საკუთრებასთან მცირდოდ დაკავში-
რებული მემკვიდრეობის უფლება.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად
გარიგება, ე. ი. მოქმედება მიმართული
სამოქალაქო - უფლებრივ დამკიდე-
ბულებათა დამყარების, შეცვლის ან მო-
სპობისათვის, შეიძლება იყოს ცალ-
მხრივი და ურთიერთობრივი (ხელშეკ-
რულება). გარიგების ასეთი განსაზღვ-
რა არ შეიძლება ჩაითვალოს ამომწუ-
რავად. მოცემული განსაზღვრა არ შეი-
ცავს გარიგების ისეთ აუცილებელ პი-
რობას, როგორიცაა მხარეთა ნების გა-
მოვლინების ფორმა. მხარეთა ნება
წარმოადგენს გარიგების შინაარსს. ამის
გამო გარიგების ცნება აუცილებლად
უნდა შეიცავდეს მხარეთა თავისუფალ
ნებას.

ჩვენის აზრით, გარიგებად ჩაითვლე-
ბა მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა
თავისუფალი ნების გამოვლინება, რო-
მელიც მიმართულია სამოქალაქო უფ-
ლებების და ვალდებულებების დამყა-
რების, შეცვლის ან მოსპობისათვის. გა-
რიგება შეიძლება იყოს ცალმხრივი და
ორმხრივი (ხელშეკრულება).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსა-
ხურებს გარიგების ბათილობის საკით-
ხები. ბათილად აღიარებული უნდა იქ-
ნას გარიგება დადებული მხარეთა თა-
ვისუფალი ნების გამოვლინების გა-
რეშე, არარსებულ საგანზე, კანონის
საწინააღმდეგო ან კანონისათვის გვერ-
დის ახვევით, აგრეთვე სახელმწიფოსა-
თვის აშკარა საზიანოდ. ასეთი ხასიათის
გარიგებანი აბსოლუტურ ბათილ გარი-
გებებად არის ცნობილი მისი დადგების
მომენტიდან და მათი ბათილად აღიარე-
ბის მოთხოვნა შეუძლია ყოველ პირს,
ამასთან ასეთი მოთხოვნა ვადით არ
არის შეზღუდული.

ბათილია გარიგება დადებული ისეთი
პირის მიერ, რომელიც სავსებით მოკ-
ლებულია ქმედობაუნარიანობას ან გა-
რიგების მომენტში ისეთ მდგომარეო-
ბაშია, რომ არ შეუძლია შეიცნოს თა-
ვისი მოქმედების მნიშვნელობა, აგრეთ-
ვე მოტყუების, მუქარის, ძალადობის,
ან უკიდურესი გაჭირვების გამოყენე-
ბით.

ზოგიერთი ასეთი გარიგება ბათილად
შეიძლება გამოცხადებულ იქნას რო-
გორც მისი დადგების მომენტიდან, ისე
მომავალი დროისათვისაც. ასეთი ხასია-
თის გარიგებათა შეცილების უფლება
შეიძლება ჰქონდეს როგორც დაინტე-
რესებულ პირს, ისე ყოველ მოქალაქეს.
ამის მიხედვით სათანადო გარიგების
ბათილობის საკითხი დაექვემდებარება
აბსოლუტური ან შედარებითი ბათი-
ლობის წესებს.

როგორც წესი, გარიგების გაბათილე-
ბას აქვს უკუქცევითი ძალა და მაშა-
სადამე ისპობა ცველა ის შედეგი, რაც
ასეთმა გარიგებამ წარმოშვა. გარიგების
ბათილად ცნობას ძალა აქვს მესამე პი-
რის მიმართაც, რომელმაც ამ გარიგე-
ბის შედეგად რამე უფლება მოიპოვა;
მაგრამ ამ დებულებას აქვს თავისი გა-
მონაკლისებიც.

მაგალითად, ბათილია გარიგება და-
დებული მოტყუების შედეგად, მაგრამ
თუ მესამე პირმა შეიძინა ქონება წინა
გარიგების კეთილსინდისიერი მონაწი-
ლისაგან, პასუხისმგებლობა მას არ უნ-
და დაეკისროს იმის გამო, რომ წინა
გარიგება ბათილად იქნა ცნობილი. მე-
სამე პირმა შეძენილი ქონება უნდა და-
აბრუნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ
მან ქონება შეიძინა ისეთი პირისაგან,
რომელმაც ქონება თვითონ მოტყუებით
მიიღო, რადგანაც ასეთ შემთხვევაში
მესამე პირზე ქონება გადასულია მან-
კიერი გარიგების საფუძველზე.

ორივე შემთხვევაში სახეზეა გარიგე-



გის ბათილობა, მაგრამ შედეგი კი სხვა-
დასხვა არის.

ძალადობის შედეგად დადებული გა-
რიგება ბათილია ყველა თავის უფლებ-
რივი შედეგებით, დამოუკიდებლად იმი-
სა, თუ ვის მიერ (მხარეები, გარეშე პი-
რი) არის ჩადენილი ძალადობა.

მუქარის გამოყენებით დადებული გა-
რიგება ბათილად უნდა იქნას ცნობილი,
მაგრამ აქაც გასათვალისწინებელია ზო-
გიერთი პირობა, რაც ასეთ გარიგებას
შეიძლება თან ახლდეს.

მუქარა მიმართული უნდა იყოს იმი-
საკენ, რომ დაიღოს ფორმალურად კა-
ნონიერი გარიგება, რადგანაც არაკანო-
ნიერი გარიგება თავისთვალი ბათილი
იქნება; მუქარა უმართებულო საშუა-
ლებით უნდა ხორციელდებოდეს და
დაზარალებულისათვის რეალური სა-
ჭიშროების სახე უნდა ქონდეს. ამას-
თან, წარმოშობილი დავის გადაწყვეტის
მომენტისათვის მხარეებს შეიძლება შე-
სრულებული ჰქონდეთ გარიგებით გა-
თვალისწინებული ვალდებულებები
მთლიანად ან ნაწილობრივ. ასეთ შემ-
თხვევაში, თუ პირვანდელი მდგომარე-
ობის აღდენა უფრო მეტ ვნებას გა-
მოიწვევს, მიზანშეწონილია გარიგების
ბათილად ცნობა (მოქმედების მოსპო-
ბა) მომავალი დროისათვის, ე. ი. გარი-
გების ბათილობას შეიძლება არ მიეცეს
უკუკუვევითი ძალა. ამასთან მხარეთა
მორის მდგომარეობის გასათანაბრებ-
ლად უნდა მოხდეს ანგარიშსწორება.

ბათილია აგრეთვე უკიდურესი გა-
ჭირვების გამო დადებული გარიგება. გარიგების ბათილად ცნობისათვის ამ
მოტივის გამოყენება შეიძლება მხო-
ლოდ თვით გარიგების ბუნების მიხედ-
ვით; მაგალთად, გაჭირვების მოტივით
არ შეიძლება ჩუქების ან დაზღვევის და
სხვ. ხელშეკრულების გაბათილება. სა-
ერთოდ ასეთი მოტივით გარიგების ბა-
თილად გამოცხადება განსაკუთრებუ-
ლი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს. უნ-

და დამტკიცდეს, რომ დაზარალებული,
გაჭირვების გამო, თავისუფლად არ მო-
ქმედებდა და იძულებული იყო თავის-
თვის საზიანო გარიგება დაედო; ზიანი
თვალსაჩინო უნდა იყოს, მაგრამ, თუნ-
დაც ყველა ეს მომენტები სახეზე იყოს,
არასწორი იქნება ყველა ასეთი გარი-
გების გაბათილება მისი დადების დღი-
დან, რადგანაც ზოგიერთ შემთხვევაში
გარიგების გამოსწორება დაზარალებუ-
ლისათვის შეიძლება სათანაბო კომპენ-
საციის გადახდით იმ პირის მიერ, რო-
მელმაც დაზარალებულის უკიდურესი
გაჭირვებით ისარგებლა. ასეთ შემთხვე-
ვაში გარიგება ბათილად არ ჩაითვლება
და დაზარალებულს არ შეიძლება მიე-
ცეს ქონების გამოთხოვის უფლება.

ზემოღმოყვანილი მოსაზრებათა გა-
მო მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო სამარ-
თლის მომავალი კოდექსით გათვალის-
წინებული უნდა იქნას გარიგების ბა-
თილობა როგორც მისი დადების მო-
მენტიდან, ისე მომავალი დროისათვის.

ამჟამად მოქმედი სამოქალაქო სა-
მართლის კოდექსის მიხედვით გარიგე-
ბის შეცილება არ შეიძლება შემცილებ-
ლის ქონებრივი ინტერესის გარეშე.
ასეთი წესი ეწინააღმდეგება საბჭოთა
სამართლის ჰუმანიურობისა და დემო-
კრატიულობის პრინციპებს. დაშვებუ-
ლი უნდა იქნას სასამართლოს წესით
გარიგების მთლიანად ან ნაწილობრივ
ბათილად აღიარება ყოველი პირის
მოთხოვნით, დამოუკიდებლად შემ-
ცილებლის ქონებრივი ინტერესისა.

მოსაზრების მოთხოვნა შეიძლება
ერთდროულად შეიცავდეს, როგორც
გარიგების ბათილად აღიარებას, ისე
ქონების გამოთხოვას ან ვალდებულე-
ბის შესრულებას; ხოლო ცალკეულ შე-
მთხვევაში კი მოსაზრების მოთხოვნა
შეიძლება შეიცავდეს მარტოოდენ გა-
რიგების ბათილად აღიარებას. ასეთი
საზრელი შესაძლებელია კანონსაჭინა-
ალმდევონ გარიგებისა და სახელმწიფო-

სათვის აშკარა საზიანო გარიგების მიმართ.

ამ გარიგებათა მიმართ შეცილების სუციექტად შეიძლება იყოს ყოველი პირი, დამოუკიდებლად მისი ქონებრივი ინტერესისა. მაგრამ შედარებით ბათილ გარიგებების მიმართაც დაინტერესებულ პირს შეუძლია წარადგინოს სარჩელი მარტოოდენ გარიგების გაბათილებაზე.

ასეთი სარჩელის წარდგენას შეიძლება გარკვეული პრეტიკული პროცესუალური მნიშვნელობაც ჰქონდეს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან ერთად მოსარჩელე მოითხოვს ქონების დაბრუნებას, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნას იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე არის მოთავსებული ქონება ან მისი ძირითადი ნაწილი. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოსარჩელე მოითხოვს მხრილოდ გარიგების ბათილად ცნობას, სარჩელი, საერთო წესის თანახმად, განიხილება სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გარიგების ბათილობიდან გამომდინარე მოთხოვნა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებული უნდა იქნას ქონების გამოთხოვისაგან (ვინდიკაციისაგან), რადგანაც სავინდიკაციო სარჩელი ხანდაზმულობით იფარება, ხოლო ზოგიერთი გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნა ვადით არ არის შეზღუდული. მაგალითად, თუ ქონებაზე, რომელიც ძალარობის შედეგად არა-ვიდა მესამე პირზე, აღმრულია წმინდა სავინდიკაციო სარჩელი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მესაკუთრეს შეიძლება ასეთ სარჩელზე უარი ეთქვას, ხოლო თუ ქონება მოთხოვნილია გარიგების ბათილობის საბაზით, ხანდაზმულობა არ გავრცელდება, ვინაიდან ძალარობა ყველა შემთხვევაში წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომე-

ლიც სპობს მისი მოქმედებით წარმოშობილ ყოველგვარ სამოქალაქო უფლებრივ შედეგს.

ვინდიკაციის წესით არ შეიძლება საკარა ვაჭრობით გაყიდული ქონების გამოთხოვა, ხოლო საჯარო ვაჭრობის ბათილად ცნობის შემთხვევაში მესაკუთრეს შეუძლია გამოითხოვოს თავისი ქონება სხვისი უკანონო მფლობელობიდან.

ვინდიკაციის წესით შეიძლება მხრილოდ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ქონების (ნივთის) გამოთხოვა, რაც გამომდინარეობს სავინდიკაციო სარჩელის ბუნებიდან და რომელიც განუშორებელია ნივთისაგან, ხოლო იმისათვის, რომ უფლება თან სდევდეს ნივთს, უკანასკნელი ინდივიდუალური უნდა იყოს,

მაგრამ არ არსებობს ჩაიმე დაბრკოლება იმისათვის, რომ გარიგების ან რაიმე უფლების დამდგენი აქტის ბათილად ცნობის შედეგად აღდგენილი იქნას პირვანდელი მდგომარეობა მესაკუთრისათვის გვარობითი ნიშნით განსაზღვრული ნივთის დაბრუნებისათვის, უკეთუ ეს ქონება სახეზე არის.

ამრიგად, გარიგებისა ან ინდივიდუალური აღმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შედეგად აღმრული სარჩელი უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე წმინდა სავინდიკაციო სარჩელი. არის საწინააღმდეგო შემთხვევაც, როდესაც საჯარო ხასიათის აქტის ბათილობა მესაკუთრეს ნაკლებად უზრუნველყოფს, ვიდრე სავინდიკაციო სარჩელი. მაგალითად, რეაბილიტირებულ პირს აღარა აქვს სანივთო უფლება იმ ჩამორთმეულ ქონებაზე, რომლის ღირებულებაც შეუსულია სახელმწიფო ბიუჯეტში, ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს მხრილოდ ქონების ღირებულება.

აღნიშნულიდან ჩანს, თუ როგორ არ ემთხვევა ქონების ჩვეულებრივ ვინდიკაციას გარიგების ან აღმინისტრაციუ-

ლი აქტის გაბათილებიდან გამომდინარე ვინდიკაცია.

სავინდიკაციო სარჩელის საფუძვლები მოცემულია სსრ კავშირის სამოქალაქო კანონმდებლობის ძირითადი საწყისების პროექტის 32-ე მუხლში, რომლის თანახმად მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს თავისი ქონება სასუყიდლით გასხვისებული სხვა პირის მიერ იმ შემთხვევაში, თუ ქონება მესაკუთრეს წაერთვა, დაეკარგა ან მისი ნების გარეშე გავიდა მისი მულობელობიდან. მაშასადამე, საწინააღმდეგო მსჯელობით შეიძლება დაგასკვნათ, რომ მესაკუთრეს შეუძლია, არა მარტო ჩამოთვლილ შემთხვევებში, არამედ ყველა პირობებში გამოითხოვოს თავისი ქონება, თუ უკანასკნელი სხვა პირის მიერ უსასყიდლოდ იქნა გასხვისებული. სახელმწიფო ორგანიზაციებს კი აქვთ შეუზღუდველი სავინდიკაციო სარჩელის უფლება.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით ბათილი გარიგების მონაწილე მეცარების უფლება არა აქვთ მოსოთხოვონ მესამე პირის ქონების ნატურით დაბრუნება. ეს მოსაზრება არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად. ზემოდ უკვე აღნიშნულია, რომ გარიგების ბათილად ცნობის შედეგად მესაკუთრეს რჩება სავინდიკაციო სარჩელის უფლება მესამე პირის მიმართ, მაგრამ მესამე პირი ვერ აგებს პასუხს იმ შემთხვევაში, თუ მას ქონება სახეზე არ აღმოაჩნდა. ამ შემთხვევაში მესაკუთრის მიმართ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ქონების შემძებს და არა მესამე პირს.

თუ მიღებული იქნა დებულება, რომ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს, ქონების ნატურით დაბრუნება მესამე პირისაგან, ხოლო ქონების ღირებულების გადახდა გამსხვისებლისაგან და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირისაგან ქონების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, მაშინ არა-

კეთილსინდისიერი შემძენის მიმართ ქონების ღირებულების ანაზღაურების შესახებ სარჩელის წარსაღვენად მესაკუთრები უნდა დამტკიცოს, რომ მიუხედავად მის მიერ მესამე პირის მიმართ მიღებული ღონისძიებებისა, ვერ შესძლო ქონების ნატურით დაბრუნება. ცხადია, რომ მოცემული საკითხის ასეთი გადაწყვეტა უსამართლო იქნებოდა.

ასეთი შედეგის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაშვებული იქნას ერთი-დაიგივე საფუძვლით ალტერნატიული სარჩელის აღმდებრის შესაძლებლობა.

ამრიგად, თვით მოცემული უფლებრივი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს მესაკუთრისათვის ორი სარჩელის აღმდებრის შესაძლებლობა, მესამე პირისაგან ქონების ნატურით ჩამორთმევის შესახებ, ან ქონების გამსხვისებლისაგან ქონების ღირებულების ანაზღაურების შესახებ.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით სამოქალაქო სამართლის მომავალი კოდექსით სავინდიკაციო სარჩელის ბედი შემდეგნაირად უნდა იქნას გადაწყვეტილი:

ა) პასუხისმგებლობა გვარობითი ნიშით განსაზღვრული ნივთის ან უტილიზებული ქონების ღირებულების ანაზღაურებისათვის უნდა დაეკისროს ქონების შემძებს, უკეთუ ასეთი გადაცემული არ არის მესამე პირისათვის;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრის ქონება გასხვისებულია კეთილსინდისიერი პირის მიერ არაკეთილსინდისიერ პირზე, რომელმაც ეს ქონება მოიხმარა, მისი ღირებულება უნდა აანაზღაუროს მესამე პირმა, ხოლო თუ ეს უკანასკნელი კეთილსინდისიერია, მაშინ ანაზღაურება უნდა დაეკისროს პირველ შემძებს;

გ) იმ ქონებაზე, რომელიც მესამე პირის ხელშია და რომლის გამოთხოვაც მისგან შესაძლებელია, მესაკუთრეს შეუძლია წარუდგინოს სარჩელი მესამე

პირს ქონების ნატურით დაბრუნებაზე, ან არაკეთილსინდისიერ გამსხვისებელს ქონების ღირებულების ანაზღაურებაზე (ალტერნატიული სარჩევი). ერთი სარჩევის წარდგენა სპობს მეორე სარჩელის ალძრის შესაძლებლობას;

(დ) მესამე პირისაგან გამოთხვილი ქონების დაზიანებული სახით დაბრუნების შემთხვევაში, ზარალი მესაკუთრეს უნდა გადაუხადოს მესამე პირმა, თუ იგი არაკეთილსინდისიერია, წინააღმდეგ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება ეკისრება ქონების გამსხვისებელს;

(ე) მესამე პირი, რომელმაც ქონება ფსასყიდლოდ შეიძინა, ვალდებულია მესაკუთრეს დაუბრუნოს ქონება; თუ მან ან მასზე ქონების გადამცემა იცოდნენ, რომ ქონება სხვა პირს ეკუთვნის.

— . —

მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად კანონით მემკვიდრეებად ითვლებან გარდაცვალებულის შვილები (მათ შორის შვილად აყვანილები), მეუღლე, მშობლები, ძმები, დები და აგრეთვე სხვა შრომისუნარმოკლებული პირები, რომლებიც გარდაცვალებულის ქმაყოფაზე იმყოფებოდნენ არანაკლებ ერთი წლისა მის გარდაცვალებამდე.

შრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების შესაბამისად მიზანშეწონილად უნდა იქნას ცნობილი კანონით მემკვიდრეთა წრის გაფართოება:

(ა) უპირველესად ყოვლისა, კანონით მემკვიდრეთა წრეს უნდა მიეკუთვნონ აგრეთვე გარდაცვალებულის ბაბუა და ბებია, არა როგორც ქმაყოფაზე მყოფი პირები, არამედ სისხლით ნათესაობის პრინციპის მიხედვით. ამასთან, სამკვიდრო ქონების მემკვიდრეთა შორის ძალზე ღამისუცმაცების თავიდან აცილების მიზნით, მართებულად უნდა ჩაითვალოს ამ პირების სამემკვიდრეოდ გა-

მოწვევა წარმომადგენლობის უფლების საფუძველზე. სამკვიდროს დამტოვებლის ბაბუა და ბებია სამემკვიდრეოდ გამოწვეული უნდა იქნან წარმომადგენლობის უფლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი შვილი (სამკვიდროს დამტოვებლის მშობელი) მემკვიდრეობის გახსნამდე გარდაიცვალა, და მიიღებენ სამკვიდრო ქონებიდან თანასწორ საფუძველზე იმ ნაწილს, რაც ერგებოდა მათ გარდაცვლილ შვილს მემკვიდრეობის გახსნის მომენტში ცოცხალი რომ ყოფილიყო.

ეს დებულება იმ მოსაზრებითაც უნდა ჩაითვალოს გამართლებულად, რომ საბჭოთა საოჯახო სამართლის ნორმების თანახმად, ბებია და ბაბუა ვალდებული არიან შეინახონ თავისი არასრულწლოვანი და შრომისუნარმოკლებული შვილიშვილი, უკეთუ მშობლებს, ძმებსა და დებს მისი შენახვა არ შეუძლიათ, და, პირიქით, შვილიშვილსაც ეკისრება ბაბუასა და ბების შენახვის ვალდებულება, უკეთუ შვილს არ შეუძლია მათი შენახვა.

(ბ) კანონით მემკვიდრეებად უნდა ჩაითვალონ აგრეთვე გარდაცვალებულის ძმისა და ღის შვილები. ამასთან მათი სამემკვიდრეოდ გამოწვევა უნდა სწარმოებდეს წარმომადგენლობის უფლებით. თუ გარდაცვალებულს არ ღარენია დები და ძმები, ან მათ კანონით დაგენილი წესით დაკარგეს მემკვიდრეობის უფლება, იმ შემთხვევაში თანასწორ საფუძველზე სამემკვიდრეოდ გამოიწვევიან ამ პირთა შვილები (სამკვიდროს დამტოვებლის ძმისა და ღის შვილები).

(გ) ამჟამად მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი შვილად ამყვანს არ აღიარებს კანონით მემკვიდრედ, თუმცა საბჭოთა საოჯახო სამართლის მიხედვით შვილად ამყვანი შვილად აყვანილისა და მისი შთამომავლობის მიმართ იქნება ყველა პირად და ქონებრივ

უფლება-მოვალეობას, როგორც შთა-
მომავლობითი ნათესავი, ე. ი. შვილად
აყვანის ფაქტის ძალით, შვილად ამყვა-
ნი იკავებს შვილად აყვანილის მშობ-
ლების აღგილს თავისი უფლებრივი ხა-
სიათის შედეგების შერივ. ამის გამო
შვილად ამყვანი უნდა მიეკუთვნოს კა-
ნონით მემკვიდრეთა წრეს. შვილად აყ-
ვანილის გარდაცვალების შემთხვევაში
შვილად ამყვანი სამემკვიდრეოდ გა-
მოწვეული უნდა იქნას ისეთივე წესით,
როგორც ეს კანონით დაწესებულია
მშობლებისათვის.

დ) საქართველოს სსრ სამოქალაქო
სამართლის კოდექსის 418 მუხლის შე-
ნიშვნის თანახმად, მემკვიდრედ შეიძ-
ლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომე-
ლიც ცოცხალია სამკვიდროს დამტო-
ვებლის გარდაცვალების მომენტისათ-
ვის და აგრეთვე სამკვიდროს დამტო-
ვებლის შვილი, რომელიც მის სიცოცხ-
ლეში ჩაისახა, ხოლო დაიბადა მისი
გარდაცვალების შემდეგ. კანონით მემ-
კვიდრეთა წრის გაფართოვებასთან და-
კავშირებით ამ ნორმის ასეთი ფორმუ-
ლირებით დატოვებისათვის არავითარი
კანონიერი საფუძველი არ არსებობს,
რადგან პრაქტიკაში შეიძლება ადგილი
ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როცა სამკ-
ვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში
მის დედას ან დედინაცვალს ჩაისახა
შვილი, ე. ი. სამკვიდროს დამტოვებ-
ლის მომავალი ძმა ან და, ხოლო დაიბა-
და სამკვიდროს დამტოვებლის გარდა-
ცვალების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში,
უკეთ არ არსებობენ პირველი და მეო-
რე თანრიგის კანონით მემკვიდრეები ან
მათ ყველამ უარი განაცხადეს მემკვიდ-
რების მიღებაზე, სამემკვიდრეოდ შე-
იძლება გამოწვეული იქნას სამკვიდროს
დამტოვებლის ძმა ან და, რომელიც მის
სიცოცხლეში ჩაისახა, ხოლო მისი გარ-
დაცვალების შემდეგ დაიბადა.

ამის გამო საქართველოს სსრ სამოქა-
ლაქო სამართლის კოდექსის 418 მუხ-

ლის შენიშვნა უნდა შეიცვალოს იმ მი-
მართულებით, რომ მემკვიდრე და შეიძ-
ლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომე-
ლიც ცოცხალია სამკვიდროს დამტო-
ვებლის გარდაცვალების მომენტისათ-
ვის და აგრეთვე ის პირი, რომელიც სა-
მკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში
ჩაისახა, ხოლო დაიბადა მისი გარდაც-
ვალების შემდეგ, დამოუკიდებლად
იმისა, ახლადდაბადებული პირი შვილია
სამკვიდროს დამტოვებლისა თუ არა.

ე) საკანონმდებლო წესით შემოღე-
ბული უნდა იქნას სამკვიდრო ქონების
საგალდებულო წილის ინსტიტუტი
გარდაცვალებულის არასრულწლოვანი
შვილიშვილებისა და შვილიშვილის
შვილების სასარგებლოდ; ე. ი. უკეთ
სამკვიდროს დამტოვებლის შვილი, რო-
მელსაც საანდერძო განკარგულებით
ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება,
გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნამ-
დე, მისი არასრულწლოვანი შვილები
(მოანდერძის შვილიშვილები) სამემკ-
ვიდრეოდ გამოწვეული უნდა იქნან
წარმომადგენლობის უფლებით საერთო
საფუძველზე.

ასეთივე წესით, თუ სამკვიდროს და-
მტოვებლის სრულწლოვანი შვილიშვი-
ლი, რომელსაც საანდერძო განკარგუ-
ლებით ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფ-
ლება, გარდაიცვალა მემკვიდრეობის
გახსნამდე, მისი არასრულწლოვანი შვი-
ლები (მოანდერძის შვილიშვილის შვი-
ლები) სამემკვიდრეოდ გამოწვეული
უნდა იქნან წარმომადგენლობის უფ-
ლებით საერთო საფუძველზე.

მსგავსი წესები უნდა შეეფარდოს
გარდაცვალებულის შვილად აყვანილის
არასრულწლოვან შვილიშვილებს და
შვილიშვილის შვილებს.

ვ) იმისათვის, რომ სამკვიდროს დამ-
ტოვებელმა მთელი თავისი პირადი ქო-
ნების ფულად ანაბრად გადაჭრევის სა-
შუალებით არ შესძლოს თავის არა-
სრულწლოვან შვილებს და სხვა შრო-

მისუნარმოქლებულ მემკვიდრეებს მო-
უსპოს მემკვიდრეობის უფლება მათ-
თვის კანონით დაწესებულ საგალდებუ-
ლო სამკვიდრო წილზე და სრულიად
გარანტირებული იქნას ამ უფლების
რეალურად განხორციელება, სამოქა-
ლაქო სამართლის მომავალ კოდექსში,
ამჟამად მოქმედ სამოქალაქო სამართ-
ლის კოდექსის 436 მუხლის შინაარსი
ფორმულირებული უნდა იქნას შემდეგ-
ნაირად: „სახელმწიფო შემნახველ სა-
ლაროსა და სახელმწიფო ბანკის სათა-
ნადო განყოფილებაში ფულადი და ფა-

სიანი ქალალდების სახით შეტანილი
ანაბარი, როგორც გარდაცვალებულის
ქონებრივი უფლება, უნდა ჩაითვალოს
სამკვიდრო მასის შემაღენლობაში და
მას მეანაბრის გარდაცვალების შემთხ-
ვევისათვის უნდა შეეფარდოს მემკვიდ-
რების სამართლის ნორმები ყოველ-
გვარი გამონაკლისის გარეშე“.

- ს. ჯაფარიძე,
გ. თარხენიშვილი,
პ. ხოჭოლავა.

განზრახა მკვდეღობის ჩროს განცხადებების დასჯაღობის შესახებ

კომუნისტური პარტიის ზრუნვის საგანს მუდამ წარმოადგენდა და წარმოადგენს საბჭოთა დემოკრატიის, ნამდვილი, სრულყოფილი დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება.

განუხრელად ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა გასაფართოებლად მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ყოველივე ამან თავისი გამოსახულება პპოვა საკანონმდებლო დარგშიც. ამიტომ იყო, რომ მთელი ჩვენი ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას, როცა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1957 წლის 12 ოქტომბერის მიიღო კანონი მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო კომპეტენციის გაფართოების შესახებ, რითაც მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება მიეცათ სრულად გაითვალისწინონ კანონმდებლობაში თავიანთი ეროვნული, საყოფაცხოვრებო და სხვა თავისებურებანი.

სოციალისტური კანონიერების განტკიცების გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახალ, საერთო-საკავშირო კანონებს, რომლებიც ამასწინად მიიღო სსრ უმაღლესმა საბჭომ. ეს კანონები შეიცავენ დებულებებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესა-

ხებ პრინციპულ და ძირითად საკითხებზე. ამით გათვალისწინებულია სსრ კავშირის მასშტაბით ძირითადი საკითხების ერთნაირად გადაჭრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და მთელ რიგ სხვა საკითხებში, დამოუკიდებლად ეროვნული და აღგილობრივი თავისებურებებისა.

ახალი კანონი, სასჯელის უკიდურეს ზომად ღრიებით, მის სრულ გაუქმებამდე აწესებს სიკვდილით დასჯას — დახვრეტის. საბჭოთა სახელმწიფო სიკვდილით დასჯას ყოველთვის იხილავდა როგორც ღრიებით და გამონაკლის უკიდურეს ზომას. კანონის თანახმად სასჯელის ეს ზომა გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაული (სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, დივერსია, ტერორისტული აქტი, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში და ბანდიტიზმი).

იმასთან დაკავშირებით, რომ ახლა ყველა მოკავშირე რესპუბლიკები გაჩაღებულია საკანონმდებლო მუშაობა სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შექმნისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევჩერდეთ საკითხებ განზრახ მკვლელობის დროს განუცხადებლობის დასჯადობის შესახებ.

საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლება განზრახ მკვლელობა.

გათვალისწინებულ იქნა რა აღნიშნული დანაშაულის სოციალური საშიშროება და მშრომელთა სურვილები, სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა

ჯერ კიდევ 1954 წლის 30 აპრილს გამოსცა ბრძანებულება „განზრას მკვლელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, სადაც აღნიშნულია, რომ განზრას მკვლელობა ჩადენილი დამამდიმებელ გარემოებაში ისხება სასჯელის უმაღლესი ზომით — დახვრეტით.

მიუხედავად იმისა, რომ განზრას მკვლელობის დანაშაული სოციალურად დიდ საშიშროებას წარმოადგენს, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით მისი განუცხადებლობა არ ისხება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლში აღნიშნულია, რომ „ჩადენილი ან ჩასადენად გამზადებული დანაშაულის განუცხადებლობას სოციალური დაცვის ღონისძიება შეეფარდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, რაც სისხლის სამართლის კოდექსით სპეციალურადაა გათვალისწინებული“. განზრას მკვლელობის ღროს კი ასეთი გათვალისწინებული არ არის.

საქართველოს სსრ ახალი რესტუბლიკური კოდექსის შემუშავების დროს, ჩვენის აზრით, გათვალისწინებული უნდა იქნას დასჯადობა განზრას მკვლელობის განუცხადებლობისათვის, ვინაიდან იგი დიდ ზიანს აყენებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას და მართლშესაჭულების ინტერესებს.

ზემოდმოყვანილი მოსაზრების განსამტკიცებლად საილუსტრაციოდ მოვიყვანთ პრატიკულ მაგალითს, რაც ქობულეთის რაიონის სინამდვილეში მოხდა:

მოქალაქე რიზა ელიაშის-ძე კახიძეს, მისი ბიძის აზიზ ოსმანის-ძე კახიძის კუთვნილი საბარევ ავტომანქანა № გ. 97 — 37-ით 1958 წლის 5 თებერვალს, ღამით, ქობულეთის რაიონის სოფელ ზალიდან გადაყავდა მგზავრები: უსუფ ოსმანის -ძე დიასა-მიძე, რიზა მედიალის-ძე გოგოლიშვი-

ლი და ნოდარ ემინის-ძე ლორთქიფანიძე. ქალაქ ქობულეთში ლენინის ქუჩაზე რ. ე. კახიძემ განაცითარა დაუშვებელი სისწრავე, უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები და ავტომანქანა დააჯახა მოქალაქე ალექსანდრე გიორგის-ძე ხელაძეს, რომელიც ადგილზევმ გარდაიცვალა. ავტომონავარდემ მიმაღვა მოასწრო.

ა. ხელაძის სიკედილის ფაქტი ცნობილი იყო ავტომანქანაში მსხლომთათვის, მაგრამ რ. კახიძის მიერ ჩადენილი დანაშაული მათ მიერ განცხადებული არ იქნა. ეჭვის ნიადაგზე ხელაძის მკვლელობისათვის დააპატიმრეს ქობულეთის რაიონის ვილარის წამლოვან მცენარეთა მეურნეობის დირექტორი უ. ნაკაიძე, მაგრამ წინასწარი გამოძიების სტადიაში საქმე წარმოებით იქნა მოსპობილი ბრალდების დაუდასტურებლობის გამო.

ის გარემოება, რომ ხელაძის მკვლელობა ჩადენილი იყო კახიძის მიერ, გაიხსნა 23 აგვისტოს სხვა მონაცემების საფუძველზე. წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ავტომანქანაში მსხლომშა პირებმა ფაქტის შესახებ იცოდნენ, მაგრამ არ განცხადეს. რ. ე. კახიძის ბრალდება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით და სათანადო სსჯელიც დაედო, ხოლო დიასამიძე, ლორთქიფანიძე და გოგოლიშვილი დაუსჯელი დარჩენენ, რადგან სისხლის სამართლის კოდექსით განზრას მკვლელობის განუცხადებლობა არ ისხება. ამ პირთა მიერ დანაშაულის განუცხადებლობა კონკრეტულ შემთხვევაში მიგვაჩნია მართლმასაჭულების ორგანოების სწორი მუშაობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად და იგი უნდა ისჯებოდეს.

О. მიშაუთაშვილი

ქობულეთის რაიონურატურის გამოძიებელი, მესამე კლასის იურისტი.

1957 წლის 31 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული იქნა ახალი დებულება შრომითი დავების განხილვის წესის შესახებ. ამ დებულების მიხედვით შრომითი ხასიათის დავა განიხილება: 1) საწარმოსთან ან დაწესებულებასთან არსებულ შრომითი დავის განმხილველ კომისიაში; 2) პროფესიული კავშირების საფაპრიქო, საქარხნო, აღგილობრივ კომიტეტებში; 3) სახალხო სა-სამართლოში; 4) აღმინისტრაციული დაქვემდებარების წესით ზემდგომ ორგანიზაციების შესახებ.

ზემოაღნიშვნულ დებულებასთან ერთად შრომითი დავის განხილვისას უმთავრესად უნდა გიხელმძღვანელოთ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, ხოლო საქმის არსებითად გადაწყვეტისას შრომის მოქმედი კანონმდებლობით.

ამ წერილში ჩვენ ვეხებით შრომის
საქმეთა განხილვასთან დაკავშირებულ
პროცესუალური საკითხების ერთ
ჯგუფს; სახელდობრ: საქმეთა განხილ-
ვის ვაღებს, მესამე პირთა მონაწილე-
ობას და სხვ. ამასთან ერთად აღსანიშ-
ნავია, რომ ზოგიერთი პროცესუალუ-
რი საკითხის განხილვას მივყავროთ
მოქმედ სამოქალაქო სამართლის პრო-
ცესუალურ კანონმდებლობაში. ცვლი-
ლებათა შეტანის საჭირო დაკვირვე-
ბაში.

1957 წლის 31 იანვრის დებულება
შრომით დავის განხილვის წესის შე-
სახებ ითვალისწინებს შრომის საქმეთა

განხილვისათვის დაწესებულ ვადებსა
და ამგვარ საქმეებზე გმოტანილ გა-
დაწყვეტილებათა და დადგენილებათა
გასაჩინოების ვალებს.

შრომის დავათა განმხილველი კომი-
სია გალდებულია შრომის საქმე გან-
ხილოს განცხადების მიღებიდან 5
დღის გადაში. კომისიის სხდომის ოქ-
მის ასლი არაუგვიანეს 3 ღლისა გალა-
ეცემა აღგილებამს და საწარმოს (დაწე-
სებულების) აღმინისტრაციას. სხდო-
მის ოქმის ამონაწერი ამავე ვადაში გა-
დაეცემა, ან ფოსტით გაეგზავნება და-
ინტერესებულ მუშაქს (იხ. დებულების
14, 22-ე მუხლი).

თუ შრომითი დავის განხილვისას
კომისიაში მიღწეული არ იქნა მხარეთა
შეთანხმება, მუშაკს უფლება აქვს 10
დღის ვადაში მიმართოს ადგილოონის
დავის გადაჭრის შესახებ. დაინტერე-
სებულ მუშაკს შეუძლია ამავე ვადაში
გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილე-
ბა პროფესიული კავშირების საფაპრი-
კო, საქართვო, ადგილობრივ კომიტეტი-
ში. ეს ვადა გამოითვლება იმ დღიდან,
როდესაც მუშაკს ჩაბარდა კომისიის
სხდომის ოქმის მონაცერი.

საფასტრიკო, საქართველო, ადგილობრივი კომიტეტები მოვალენი არიან თავიანთ სხდომებზე, ღროულად, 7 დღის ვადაში განხილონ განცხადებები და საჩინოები შრომითი დავის შესახებ.

თუ მუშაკი არ ეთანხმება აღგილ-
კომის დადგენილებას შრომითი დავის
შესახებ, მას შეუძლია მიმართოს გან-
ცხადებით შრომითი დავის განსახილ-

ველად სახალხო სასამართლოს, აღგილკომის დადგენილების მიღებიდან 10 დღის ვადაში (იხ. დებულების 23, 28, 31-ე მუხლი).

სსრ კავშირის სახკომისაბჭოს, საკ. კპ. (ბ) ც. კ-ისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილების მეოთხე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო ორგანოების ვალდებულებას უმართებულოდ მოხსნის საქმე განხილონ საჩივრის შემოსვლის დღიდან 5 დღის ვანაცლობაში.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო ორგანოებში შრომის საქმეთა განხილვისათვის 7 დღის ვადას (საქმის მიღების დღიდან).

მაშასადამე, სასამართლო ორგანოებში შრომის საქმეთა განხილვისათვის დაწესებულია ორი ვადა: 1) 5 დღე უმართებულოდ მოხსნილი მუშაკების საქმეთა განსახილველად; 2) 7 დღე — ყველა დანარჩენი შრომის საქმეთა განსახილველად.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, სამოქალაქო სამართლისა და მათ შორის შრომის სამართლის საქმეებზეც საკასაციო საჩივრისა და საკასაციო პროტესტის შესატანად დაწესებულია 15 დღის ვადა გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან (საქართველოს სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 271-ე მუხლი). ყველა ამ ვადის დაცვა ევალებათ როგორც შრომითი დავის საქმის აღმდეგრელ პირებს, ისე შრომითი დაცების განხილველ ორგანოებსაც.

თუ ავიღებთ ყველა ამ ვადების საერთო ხანგრძლივობის მაქსიმუმს, შრომის დავის დაწყებიდან დამთავრებამდე პირველად ორგანოებსა და სასამართლო ინსტანციებში (საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვის გარდა) კანონით დაწესებული თვითეული ვადის ერთმანეთზე მიმატების შედეგად

მივიღებთ ($5 + 3 + 10 + 7 + 10 + 7 + 15 + 7 = 64$ დღეს, ან $(5+3+10+5+10+5+15+5)$; 58 დღეს).

ამას თუ კიდევ დაემატება 3 დღეც საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 181-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც შრომის საქმეზე სასამართლო ორგანო აცნობებს მხარეთ 3 დღის ვადაში დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა, მივიღებთ ან 67 ან 61 დღეს.

შრომითი დავის გადაწყვეტის დაყოვნების შემთხვევაში ზემოაღნიშული ყველა ვადის გამოყენებისას შესაძლებელია საშუალოდ ორმა თვეშ განვლოს (ისიც მხოლოდ საკასაციო წარმოების ჩათვლით), რაც არ შეიძლება გაჟიანურებულად არ მივიჩნიოთ. პროცესუალური ვადების ხანგრძლივობა ამავე დროს არ უნდა იყოს დაშორებული იძულებითი განაცლურის ანაზღაურების კანონით განსაზღვრული 20 დღის ხანგრძლივობასთან. თუ მხარეებიც და შრომის დავათა განმხილველი ორგანოებიც დაწესებული ვადების მინიმუმს იცავენ და არ აღწევენ კანონიერი ვადით განსაზღვრულ უკანასკნელ დღეს, საქმის დამთავრებას მაინც ანდომებენ საშუალოდ ერთ თვეზე მეტს.

ამგვარად, შრომის საქმის, როგორც სამომზადებლო, ისე სასამართლო წესით წარმოება სხვადასხვა ორგანოებში, ვადების მაქსიმუმისა და მინიმუმის დაცვის ორივე შემთხვევაში, საერთო დღეთა რაოდენობით ბევრად აღმატება უმართებულოდ დათხოვნისათვის განსაზღვრული იძულებითი განაცლური დროის ხელფასის ანაზღაურებას.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწყნილად მიგვაჩნია შემოკლდეს შრომის დავათა როგორც განხილვის, ისე ამ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა გასაჩივრების ვადები. შრომის დავათა განმხილ-



ველ ყველა ორგანოში საქმის განხილვის ვადა განისაზღვროს 3 დღით, ხოლო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებისა და დადგენილების გასაჩივრების ვადა — 5 დღით. და ამიტომ, სამოქალაქო სამართლის საპროცესო ნორმების კოდიფიკაციასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა ვასაჩივრების 15 დღის ვადას, შენიშვნის სახით დაემატოს, რომ „შრომის საქმეზე“ გამოტანილ გადაწყვეტილებათა საყვარციო გასაჩივრებისათვის და საკასაციო გაპროტესტებისათვის დაწესებულია 5 დღის ვადა“.

მუშავის უსაფუძვლოდ დათხოვნის საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია საკითხი აღმინისტრაციის — იმ წარმომადგენლის მესამე პირად გამოწვევისა, რომელსაც მუშავის უკანონოდ დათხოვნაში ბრალი მიუძღვის.

ამ საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება გათვალისწინებულია, ერთის მხრივ, შრომისა და პროცესუალური კანონმდებლობით და, მეორეს მხრივ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სპეციალური დადგენილებით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 13 სექტემბრის № 13 დადგენილება (სამოქალაქო შრომის საქმეზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ) სასამართლო ორგანოებისაგან ხაზგასმით მოითხოვს უმართებულოდ დათხოვნილ მუშავთა თანამდებობაზე ან სამუშაოზე აღდგნის საქმების განხილვისას იხელმძღვანელონ რსფსრ სამოქ. საპრ. კოდექსის 172-ა მუხლითა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის შესაბამისი მუხლებით (საქართველოს სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 169 მუხლი) და ამის საფუძველზე საკუთარი ინიციატივით ჩააბან მესამე პირად

მოპასუხე მხარეზე ის თანამდებობის პირი, რომლის განკარგულებითაც მოხდა უსაფუძვლო დათხოვნა. ბრალეული თანამდებობის პირი ვალდებულია „გადაუხადოს დაწესებულებას ან საწარმოს ზარალი, გამოწვეული დათხოვნილი მუშავისათვის იძულებითი განაცდურის გადახდით. თანამდებობის პირისათვის ამ შემთხვევაში გადასახდელად მისჯილი თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისივე სამითვის ხელფასს“.

საქართველოს სსრ სამოქ. სამ. საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის, ისევე როგორც რსფსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 172-ა მუხლის მოთხოვნა მოკლებულია კატეგორიულობას, რადგანაც ამ პროცესუალური ნორმის აზრით „სახალხო სასამართლოს შეუძლია მის მიერ განსახილველ შრომის საქმეში უკანონოდ დათხოვნილი მომუშავის თანამდებობაზე თუ სამუშაოზე აღდგნის შესახებ თავისი ინიციატივით ჩააბას მესამე პირად მოპასუხის მხარეზე სახელმწიფო დაწესებულებისა და კოოპერაციული თუ საზოგადოებრივი საწარმოს ის თანამდებობის პირი, რომელმაც მომუშავე დაითხოვა“. (ხაზგასმა ჩვენია — ე. 6.).

ჩვენის აზრით, უფრო მართებული იქნებოდა ამ მუხლის შემდეგნაირად შეცვლა: „სახალხო სასამართლო მოვალეა (და არა შეუძლია. — ე. 6.). მის მიერ განსახილველ შრომის საქმეში უკანონოდ დათხოვნილი მომუშავის თანამდებობაზე თუ სამუშაოზე აღდგნის შესახებ აუცილებლად (და არა თავისი ინიციატივით — ე. 6.) ჩააბას მესამე პირად მოპასუხის მხარეზე სახელმწიფო დაწესებულებისა და კოოპერაციული თუ საზოგადოებრივი საწარმოს ის თანამდებობის პირი, რომელმაც მომუშავე დაითხოვა. თანამდებობის პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით მუშავის უმართებულოდ დათხოვნაში, სასამართლომ უნდა დაა-

კისროს ვალდებულება აუნაზღაუროს საწარმოს ან დაწესებულებას ზარალი, რაც ამ უკანასკნელს მიყენებული აქვს უმართებულოდ დათხოვნილი მუშავი-სათვის იძულებითი განაცდურის გა-დახდით. აღნიშნული ააზღაურება არ უნდა აღემატებოდეს ამ თანამდებო-ბის პირის სამი თვის ხელფასს“.

ასეთი შესწორებების შეტანა აუცი-ლებულია. რადგანაც: 1) სსრ კავშირის ცავისა და სახკომისაბჭოს 1928 წლის 29 აგვისტოს დადგენილებით მიღებული წესები (რომლის 72-ე მუხლი ითვა-ლისწინებდა სამი თვის ხელფასის ფარ-გლებში თანამდებობის პირთა მატე-რიალურ პასუხისმგებლობას) მთლია-

ნად გაუქმებულია 1957 წლის 31 იან-ვრის დებულებით; 2) საქართველოს სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 169-ე მუხლში საკსებით გამორიცხულია ასე-თი პასუხისმგებლობის ფარგლები; 3) იძულებითი განაცდურის ანაზღაურე-ბის გადამჭრელ ღონისძიებად უნდა გახდეს უმართებულოდ დათხოვნილი მუშავის თავის უფლებებში აღდგენას-თან ერთად, ამასთან დაკავშირებული ხარჯების საბოლოოდ დაკისრება იმ თანამდებობის პირზე, რომელსაც ბრა-ლი მიუძღვის მუშავის უკანონოდ და-ტხოვნაში.

დოც. ვ. ნებივ.

საუკაეპი სახარხო მსაჯებელთან

საბჭოთა სამოქადაგო სამართლის პროცესის ძირითადი ცნებები

საბჭოთა სასამართლო სამოქალაქო საქმეების გადაწყვეტისას ფრიად მნიშვნელოვან ამოცანებს ასრულებს. იგი ყოველმხრივ იცავს სოციალისტურ საკუთრებას და მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, მოქალაქეთა პირად და ქონებრივ უფლებებს, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების, წარმოებათა, კოლგეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების უფლებებს. ამასთანავე სასამართლო ხელს უწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, ზრდის მოქალაქეებს კანონების განუხრელი შესრულებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

წინა საუბრებში უკვე აღინიშნა, რომ სასამართლოს საქმიანობას არსებითი თავისებურებანი გააჩნია, რაც იმაში გამოიხატება, რომ საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი წინასწარ და ზუსტადაა განსაზღვრული პროცესუალური კანონით და მოსამართლეს არ შეუძლია მისი შეცვლა ან დარღვევა თავისი შეხედულებისამებრ. მაგრამ მართლმსაჭულების განხორციელების კანონით დადგენილი ფორმა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს თვითმიზანს. პირიქით, მხოლოდ მისი განუხრელი შესრულება იძლევა საქმის გარჩევაში ყველა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მტკიცებათა ოღონჩინა და შემოწმების, ჭეშმარიტების დადგენისა და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის გარანტიას.

სხვადასხვა აქტებში მოცემულია ის წესები და იურიდიული ნორმები, რომელიც სასამართლომ და პროცესის სხვა მონაწილეებმა უნდა დაიცვან.:

ამგარი აქტი, უპირველესად ყოვლისა, არის სსრკ კონსტიტუცია, რომლის 102-112 მუხლებში განმტკიცებულია საბჭოთა სასამართლოს ორგანიზაციისა და მოღვაწეობის საფუძვლები, აგრეთვე 1958 წელს მიღებული კანონი სსრკ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლების შესახებ, რომელიც შეიცავს მთელ რიგ ნორმებს სამოქალაქო პროცესის შესახებ, სხვა კანონები და აგრეთვე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები.

თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოსათვის ყველაზე სრულ საკანონმდებლო აქტს, რომელიც მთლიანად მიერკვნება სამოქალაქო საქმეების სასამართლო წარმოებას, თანმიმდევრულად და გარკვეული სისტემით გადმოგვცემს მათი განხილვის წესს, წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. რსფსრ-ში ასეთი კოდექსი არსებობს 1923 წლიდან.

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სასამართლო წარმოებას საფუძვლად უდევს ზოგიერთი საერთო საწყისები ანუ პრინციპები, რომლებიც მოცემულია ზემოდდასახელებულ საკანონმდებლო აქტებში. ამ პრინციპების ცოდნა სასამართლოს მუშაკებს შესაძლებლობას ძლევს კარგად ათვისონ სამართლებრივი ნორმები და სწორად გა-

მოყვენონ ისინი ცხოვრების კონკრეტულ შემთხვევებში. მოქალაქეებს კი, რომლებიც იურისპრუდენციის დარგში არ მოღვაწეობენ, ძირითადი პრინციპების ცოდნა შესაძლებლობას უქმნის სწორად გაერკვნენ და იმოქმედონ პროცესის ყველა ეტაპზე.

სსრ კონსტიტუციაში და კანონში სასამართლო წყობილების შესახებ ჩამოყალიბებულია სასამართლოს მუშაობის ორგანიზაციის პრინციპები, რომლებიც ერთნაირად გამოიყენება სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვისას. ამ პრინციპებს მიეკუთვნება მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ, რომელიც არჩევითია, კოლეგიალურია, სახალხო მსაჯულების მონაწილეობით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი დამორჩილება მხოლოდ კანონისადმი, საქმეების განხილვა საჯაროდ (გარდა იშვიათი გამონაკლისისა), სასამართლოს წარმოება ეროვნულ ენაზე, ყველა მოქალაქისათვის ერთიანი და თანასწორი სასამართლოს არსებობა. სამოქალაქო დავების განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო მოღვაწეობის დანარჩენ პრინციპებზე, რომელთა შინაარსი დამახსიათებელია მხოლოდ სამოქალაქო პროცესისათვის, საჭიროა ცალკე ითვას.

შხარები მიმართავენ რა სასამართლო დაცვას, თავისუფლად განკარგავენ თავის მატერიალურ უფლებას, მაგრამ ეს განკარგვა წარმოებს სასამართლოს კონტროლის ქვეშ და პროცესში პრკურატურის აქტიური მონაწილეობით. მაგალითად, რსთარ სსსკ მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლო იწყებს საქმის განხილვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ არსებობს დაინტერესებული პირის განცხადება, მაგრამ პრკურორს უფლება აქვს აღძრას ყოველი საქმე, თუ ამას სახელმწიფოს ან მშრომელთა ინტერესები მოითხოვენ.

პროცესის დაწყების შემდეგ მოსარჩელეს უფლება აქვს გაზარდოს ან შემციროს თავისი მოთხოვნა, საერთოდ უარი სთქვას თავის მოთხოვნებზე, მოპასუხესთან მორიგდეს. მაგრამ მხარეთა განკარგვითი მოქმედებანი სასამართლოსათვის სრულიადაც არ არის სავალდებულო. სარჩელზე უარის თქმასა და ისეთ მორიგებას, რომლებიც კანონს ეწინააღმდეგებიან, არსებითად ლახავენ ვინებებს უფლებებს ან მოხდენილი არიან მოტყუების, ძალადობის, მუქარის, შეცდომაში შეყვანის საშუალებით, სასამართლო მხედველობაში არ იღებს და აგრძელებს საქმის არსებით განხილვას. მხარეთა თავისუფლება განკარგონ თავისი უფლებები, მაგრამ სასამართლო კონტროლის ქვეშ, შეაღგენს დისპოზიტიურობის პრინციპის არსს.

თვითეულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ერთერთ ძირითად გარანტიას წარმოადგენს საბჭოთა სამოქალაქო სასამართლოს შეჯიბრებითი ხსიათი. შეჯიბრებითობა — ეს შედავებას, შებრძოლებასა და გამარჯვებისაკენ სწრაფვას ნიშნავს. ასე ხდება ჩვეულებრივ სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვისას.

შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე მხარეები და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროცესში; წარმოადგენენ მტკიცებებს, შემოაქვთ სხვადასხვა შუამდგომლობები, აზრს გამოსთქვამენ ამა თუ იმ საკითხზე, რომელიც პროცესს ეხება, მაგრამ საბჭოთა შეჯიბრებითობის პრინციპის მთავარ ნიშანს სასამართლოს ინიციატივა წარმოადგენს. ჩვენს სასამართლოს არ შეუძლია გულგრილად ადევნოს თვალყური მხარეთა შებრძოლებას. იგი ვალდებულია დააღინის ჭეშმარიტება და ამიტომ, თუ არსებული მასალები საკმარისი არ არის, სასამართლო წინადაღებას აძლევს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცება-



ნი ან აგროვებს მათ თავისი ინიციატივით.

პროცესის მხარეები, მოსარჩელე და მოპასუხე თანასწორუფლებიანი არიან, მათ ეძლევათ ერთნაირი შესაძლებლობანი თავისი ინტერესების დასაცავად. მაგრამ აღამიანები თავისიანთი პირადი თვისებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ საბჭოთა კანონი ავალებს სასამართლოს დახმარება გაუწიოს მხარეებს, განუმარტოს მათ თავიანთი უფლებები და თვალყური ადევნოს, რომ არ დაირღვეს მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი; რომ მხარეთა მიერ იურიდიულ საკითხებში გაურკვევლობა, მცირე ცოდნა და სხვა ამგვარი გარემოება არ იქნას გამოყენებული მათ საზარალოდ (რსფსრ სსსკ მე-5 მუხლი).

სასამართლო განხილვის პროცესში მიცემული მხარეთა განმარტებანი, მოწმეთა ჩვენებები, პროკურორის დასკვნა და ა. შ. ზეპირსიტყვიერად გადმოიცემა, წერილობითი მტკიცებანი და სასამართლოში შემოტანილი სხვა დოკუმენტები ქვეყნდება სხდომის დროს. ამას მოითხოვს ზეპირსიტყვიერების პრინციპი, რომელიც საშუალებას აძლევს მხარეებს აქტიური მონაწილეობას მიღონ მასალების განხილვაში, სასამართლოს კი — პირადი კონტაქტი დაამყაროს პროცესის მონაწილეებთან.

საქმეზე ჭეშმარიტების გამოვლინებისათვის აუცილებელია მოსამართლეებმა პირადად აღიქვან და გამოიკვლიონ ის მტკიცებანი, რომელთა საფუძველზე მათ გადაწყვეტილება გამოაქვთ. ამის გარანტიას უშუალობის პრინციპი წარმოადგენს. სასამართლოს არ შეუძლია, მაგალითად, დაავალოს რომელიმე თანამდებობის პირს დაკითხოს მოწმეები ან გაეცნოს დოკუმენტებს და შემდგომ ამის შესახებ მოახსენოს სასამართლოს. ამგვარ მოქმედებებს იგი თვითონ აწარ-

მოებს. მხოლოდ გამონაკლისის სახით, კანონის მიერ პირდაპირ მითითებულ შემთხვევებშია დაშვებული უშუალობის პრინციპის გვერდის ავლა. ასე მაგალითად, მოწმეების დაკითხვას, რომლებიც იმ ქალაქის ფარგლებს გარეთ ცხოვრიბენ, სადაც განიხილება საქმე, აწარმოებს მათ საცხოვრებელ ადგილას არსებული სასამართლო (რსფსრ სსსკ 139-ე მუხლი).

დაწყებული საქმის დამთავრებამდე ან მისი განხილვის გადადებამდე სასამართლოს არა აქვს უფლება განიხილოს სხვა სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმე. იმ შემთხვევაში, თუ საქმის გარჩევა გადაიღო, მისი შემდგომი განხილვა თავიდან უნდა წარმოებდეს. განუწყვეტლობის პრინციპი ამახვილებს მოსამართლეთა ყურადღებას ერთ პროცესზე და შესაძლებლობას აძლევს მათ წარმატებით შეასრულონ აღმზრდელობითი ამოცანები.

ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს გააჩნიათ ფართო შესაძლებლობა მიმართონ სასამართლოს შელახული ან სადავოდ გახდილი უფლებების დასაცავად. ამასთანავე, უნდა არსებობდეს ზოგიერთი პირობა, რომელთა დაცვა საჭიროა რათა წარმოშენების პროცესი, ნორმალურად განვითარდეს და დამთავრდეს გადაწყვეტილების გამოტანით. ასეთი პირობები ძირითადად შემდეგია: უპირველესად ყოვლისა მხარეები უფლებაუნარიანნი უნდა იყვნენ.

მოქ. მასლენიცინამ წარადგინა სარჩელი ხელფასის გადახდევინების შესახებ და მოპასუხედ სასაღილო მიუთითა, სადაც იგი ოფიციანტად მუშაობდა, იმ დროს, როდესაც ამ სასაღილოს საერთოდ არ გააჩნდა სარჩელების წარდგენისა, და მათზე პასუხისმგების უფლება, ხოლო სინამდვილეში მოპასუხე შეიძლება ყოფილყოყ მხოლოდ ქალაქის სასაღილოების ტრესტი.

სასამართლოებს არ შეუძლიათ განიჭილონ ისეთი დავები, რომელთა განხილვა კინონის პირდაპირი მითითებით უნდა აწარმოონ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოებმა.

მოქალაქე ჩერნიშენკომ მიმართა სასამართლოს სარჩელით იმ სახლზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ, რომელიც მან ქალაქის აღმასკომის კომუნალური განყოფილების ნებართვის გარეშე აავო. სასამართლო სარჩელის განხილვას არ შეუდგა, ვინაიდან თვითნებურად აგებულ შენობებზე საკუთრების უფლების საკითხს სწყვეტებ მშრობელთა დებუტატების აღილობრივი საბჭოები და ასეთი საქმეები სასამართლოს კომპეტენციაში არ შედიან¹.

სამოქალაქო სამართლის პროცესში არსებობს მტკიცე წესი: თუ სასამართლომ განიხილა საქმე და მასზე ან გადაწყვეტილება გამოიტანა ან სარჩელზე უარისთვე დაამტკიცა ან მორიგება მოხდა, იგივე დავა სასამართლოს მიერ კვლავ არ შეიძლება იქნას განხილული (რსფსრ სსკ მე-2 მუხლი), თუ ეს აქტები გაუქმებული არ არის. მოქალაქე აირუმიანმა და მოქალაქე ტრიანმა სასამართლოს სხდომაზე დადეს მორიგებითი შეთანხმება ხეხილების ღირებულების შესახებ და სასამართლომ ეს შეთანხმება დაამტკიცა, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ მოსარჩელემ დამატებით მოსთხოვა მოპასუხეს 2.406 მანეთი იმავე ხეებისათვის. სსრკ უმაღლესმა სასამართლომ ეს საქმე წარმოებით მოსპონოვა.

სასამართლოებს ხშირად უხდებათ შრომითი დავების გადაწყვეტა. სასამართლოში ასეთი დავა შეიძლება მოხვდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი განიხილა წარმოება, დაწესებულებასა ან

ორგანიზაციაში არსებულმა შრომითი დავების კომისიამ და შემდგომ პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, აღვილობრივმა კომიტეტმა.

სატრანსპორტო ორგანიზაციები და კავშირგაბმულობის ორგანოები ფუნქციების შესრულებისას ზოგჯერ უშვებენ ტვირთის, ამანათებისა და სხვათა დაკარგვას ან დაზიანებას. ამიტომ ამ ორგანიზაციებსა და მათ კლიენტებს შორის წარმოიშვება დავები, მაგრამ სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე კანონი ავალდებულებს კლიენტს თავისი მოთხოვნით უშუალოდ მიმართოს რკინიგზას ან კავშირგაბმულობის ორგანოს.

სასამართლოს კომპეტენციაში შედის ისეთი საქმეებიც, საღაც არ არსებობს არც მოსარჩელე და არც მოპასუხე. მაგალითად, სასამართლო იხილავს მოქალაქეთა განცხადებებს იმ პირთა ნათესაური ურთიერთობის დადგენის შესახებ, რომლებიც კანონიერ მემკვიდრეთა წრეში შედიან, ისევე ადგენს ფაქტს კმაყოფაზე ყოფნის შესახებ და სხვა. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს წინაშე გამოდის განმცხადებელი და აგრეთვე გამოიძახებიან მოქალაქენი და იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც საქმის შედეგით არიან დაინტერესებული. მოქალაქე სილვესტროვამ შეიტანა განცხადება სასამართლოში ფრონტზე უგზოუკვლოდ დაკარგული კუხარენკოს მისი მეუღლედ ცნობის შესახებ. სასამართლომ იცოდა, რომ ამ ფაქტის დადგენა მოსარჩელეს ესაჭიროებოდა პენსიის მისაღებად. ამისდა მიუხედავად, სასამართლომ არ აცნობა სამხედრო კომისარიატს საქმის განხილვის შესახებ და დაპატიჟოფილა ეს განცხადება. შემდგომში გამოვლინდა კუხარენკოს ფრონტზე უგზოუკვლოდ და

1. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1955, № 2, стр. 34—35

2. დე ვე ჟურნალი, 1951, № 4, გვ. 45—46

კარგვის შესახებ ცნობების შეცდომი-
თობა.¹

იშვიათი არაა, როდესაც პროცესში
ერთ მხარეზე რამოდენიმე პირი გამო-
დის. ჩვენი კანონი უშვებს სარჩელის
წარდგენას რამოდენიმე მოსარჩელის
მერ ან რამოდენიმე მოპასუხის მი-
მართ, ამავე დროს თვითოულ მათგანს
მხარის ყველა უფლებები გააჩნია და
პროცესში სხვებისაგან დამოუკიდებ-
ლად გამოდის (რსფსრ სსკ 164-ე მუხ-
ლი).

მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება სხვა-
ვარი შემთხვევებიც. მაგალითად, მო-
ქალაქებმა ნაზაროვმა, ბუზინსკიდ და
სხვებმა წარუდგინეს სარჩელი მოქალა-
ქე პიშვებს მის სახელზე გაცემული სა-
გამომგონებლო მოწმობის ანულირები-
სა და გამოგონების ავტორებად მათი
ცნობის შესახებ. პროცესის დაწყების
შემდეგ სასამართლოს სარჩელით მიმა-
რთა ქარხანამ, რომელიც გამოგონებას
ქარხნის გამოგონებად თვლიდა². რსფსრ
სსკ 169-ე მუხლის თანახმად ქარხანა
ამ შემთხვევაში წარმოადგენს მესამე
პირს, რომელსაც დამოუკიდებელი მო-
თხოვნა გააჩნია დავის საგნის მიმართ.

საქმის განხილვის დროს შეიძლება
გამოირკვეს, რომ სარჩელი წარმოდგე-
ნილია არა იმ პირის მიერ, რომელსაც
ეკუთვნის მოთხოვნის უფლება, ან არა
იმ პირის მიმართ, რომელიც ვალდებუ-
ლია პასუხი აგოს მოცემულ მოთხოვნა-
ზე. საბჭოთა მეურნეობამ წარუდგინა
სარჩელი მოქალაქე მორიზონს გამოსა-
ხლების შესახებ. მაგრამ სასამართლოს
სხდომაზე გამოირკვა, რომ მოქალაქე
მორიზონის მიერ დაკავებული სახლი
ეკუთვნის არა საბჭოთა მეურნეობას, ა-
რამედ აღვილობრივ საბჭოს, და აქედან
გამომდინარე, მხოლოდ ამ უკანასკნელს
შეუძლია მოითხოვოს მოპასუხის გამო-
სახლება.³ პროცესში არასათანადო მხა-

რის გამოვლენის შემთხვევაში სასამარ-
თლოს უფლება აქვს მოსარჩელის თან-
ხმობით შეცვალოს იგი სათანადო მხა-
რით (რსფსრ სსკ 166-ე მუხლი).

იმ შემთხვევებში, როდესაც საქმეზე
გამოტანილ გადაწყვეტილებას შეუძლია
გავლენა მოახდინოს ერთერთი მხარის
ურთიერთობაზე რომელიმე მოქალაქესა
ან ორგანიზაციასთან, სასამართლო მათ
იწვევს პროცესში მონაწილეობის მისა-
ღებად, ან ისინი თვითონ ებმევიან პრო-
ცესში, როგორც მესამე პირები დამოუ-
კიდებელი მოთხოვნების გარეშე
(რსფსრ სსკ 167 და 168 მუხლები).

აღრე უკვე ითქვა პროცესურობრის უფ-
ლებაზე ყოველგვარი სარჩელის წარდ-
გენის შესახებ. გარდა ამისა, პროცე-
სურობის ჩაებას უკვე დაწყებულ
პროცესში თავისი ინიციატივით (რსფსრ
სსკ მე-2 მუხლი) ან სასამართლოს წი-
ნადადებით (რსფსრ სსკ მე-2 მუხლი).

დასასრულს განვიხილავთ საკითხს
მტკიცებების შესახებ. ჰეშმარიტების
დაგენა ნიშანის — დავადგინოთ თუ
სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებულ
რომელ ფაქტებს ქონდა სინამდვილეში
ადგილი. როგორც წესი ეს წარსულის
ფაქტებია და ამიტომ სასამართლო იძუ-
ლებულია მიმართოს მტკიცებას, ე. ი.
საშუალებებს, რომელთა დახმარებით
სასამართლო ადგენს საქმის გადაწყვე-
ტისათვის აუცილებელ ფაქტებს. მტკი-
ცებათა სახეები ზუსტადა განსაზღვრუ-
ლი კანონით. მათ მიეკუთვნებათ: მხა-
რეთა და მოწმეების ჩვენებები, წერი-
ლობითი და ნივთიერი მტკიცებები, ექს-
პრეტთა დასკვნები.

მოწმედ შეიძლება იყოს ყოველი პი-
რი, რომლისთვისაც ცნობილია საქმეს-
თან დაკავშირებული რაიმე გარემოება.
არ შეიძლება დაკითხონ მოწმეების სა-
ხით მოქალაქეები, რომელთაც თავისი
ფსიქიურ ან ფიზიკურ ნაკლოვანებათა

1. „Судебная практика Верховного Суда ССР“, 1952, № 9, стр. 45—16.

2. იგივე უზრნალი, 1954, № 6, გვ. 35—39.

3. იგივე უზრნალი, 1953, № 1 გვ. 38—39.

გამო უნარი არ შესწევთ სწორად აღიქ-
ვან ფაქტები ან მათ შესახებ სწორი
ჩვენებები მისცენ.

სამოქალაქო სამართლის პროცესში
განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება
წერილობითი მტკიცებანი: სხვადასხვა
სახის აქტები, დოკუმენტები, საქმიანი
და პირადი ხსიათის წერილები, რომ-
ლებიც შეიცავენ საქმისათვის მნიშვნე-
ლობის მქონე მონაცემებს.

ნივთიერ მტკიცებებს წარმოადგენენ
საგნები, რომლის საშუალებით შეიძლე-
ბა დადგენილი იქნას საქმისათვის მნიშ-
ვნელობის მქონე ფაქტები. ამიტომ
მნიშვნელოვანია მათი გარეგანი შეხე-
დულება, ხარისხი, რაიმე ნიშნები, გან-
საზღვრული საგნების თვით არსებობაც
კი. ნივთიერი მტკიცებანი ან სასამარ-
თლოში წარედგინება, ან მათ დათვალი-
ერებასა და გამოკვლევას სასამართლო

აწარმოებს მათ ადგილსამყოფელის მი-
ხედვით.

და ბოლოს, საქმის განხილვის დროს
წამოჭრილ ისეთი საკითხების გასარკვე-
ვად, რომლებიც სპეციალურ ცოდნას
საჭიროებენ მეცნიერების, ტექნიკის,
ხელოვნებისა ან ხელოსნობის დარგში
სასამართლო ნიშნავს ექსპერტებს იმ
პირთა წრიდან, რომლებსაც ისეთი ცოდ-
ნა გააჩნიათ. ექსპერტების დასკვნას სა-
სამართლო აფასებს იმავე წესით, რო-
გორც სხვა სახის მტკიცებებს. ეს საერ-
თო წესი კი გულისხმობს, რომ მტკიცე-
ბათა შეფასებას მოსამართლეები ახდე-
ნენ შინაგანი რწმენის საფუძველზე.
რომელიც ემყარება სასამართლო სხდო-
მაზე საქმის ყველა გარემოებების ყო-
ველმხრივ და ობიექტურად განხილვის
მათ ერთობლიობაში.

მეტელი კონფიდენციალური მოსალებები

აქვს თუ არა უფლება დედას მიმართოს სასამართლოს სარჩელით და
მოითხოვოს იმ ბავშვის შესანახი ალიმენტის მიღება, რომელიც მას
შეეძინა არარეგისტრირებულ ქორწინებაში?

დედას არ აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს იმ ბავშვის შესანახი ალიმენტის მიღება, რომელიც მას შეეძინა 1944 წლის 8 ივნისის შემდეგ არარეგისტრირებულ ქორწინებაში.

ასეთი ბავშვის შესანახად და აღსაზრდელად მარტოხელა დედას ეძლევა სახელმწიფო დახმარება ბავშვის თორმეტი წლის ასაკის მიღწევაში.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში ბავშვი შობილი იმ დედის მიერ, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფება, ჩაიწერება დედის გვარზე და მამის სახელი ეძლევა დედის მითითებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივნისის ბრძანებულების 21 მუხლი).

ის გარემოება, რომ ბავშვი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში გატარებულია კანონის ამ მოთხოვნის დარღვევით, დედას არ აძლევს უფლებას მიმართოს სარჩელით სასამართლოს და მოითხოვოს ბავშვის შესანახი ალიმენტის მიღება.

უკეთუ დედა კანონით დაღვენილი წესით დაქორწინდება იმ პირთან, რომლისგანაც მას ბავშვი შეეძინა და ამასთან აღნიშნული პირი თავს სცნობს ბავშვის მამად, ბავშვი ყოველმხრივ უთანაბრდება კანონიერ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს. ასეთ შემთხვევაში დედის სარჩელს ბავშვის შესანახი ალიმენტის მიღების შესახებ სასამართლო განიხილავს საერთო საფუძველზე.

შეიძლება თუ არა შეეცვალოთ გვარი ბავშვებს მშობელთა განქორწინების
შემთხვევაში?

შეიძლებს ეძლევათ მშობლების გვარი, თუ მშობლებს საერთო გვარი აქვთ.

თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შეიძლებს მშობელთა შეთანხმებით ეძლევათ მამის ან დედის გვარი. უთანამოებს შემთხვევაში სამეურვეო და სამზღველო ორგანო მისცემს ბავშვს მამის ან დედის გვარს. მეუღლეოთ განქორწინებისას ბავშვებს რჩებათ დაბადების რეგისტრაციისას მიცემული გვარი (საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 42 მუხლი).

ჩაითვლებიან თუ არა კანონით მემკვიდრეებად გარდაცვალებულის შემთხვევაში და ძმები

კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვალებულის შვილები (მათ შორის შვილად აყვანილები), შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები, მეულე, მშობლები, დები, ძმები, აგრეთვე სხვა შრომისუუნარო პირები, რომლებიც გარდაცვალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ არა ნაკლებ ერთი წლისა მის გარდაცვალებამდე. ამასთან, უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით კანონით მემკვიდრეები განიყოფებიან სამ ჯგუფად:

პირველი ჯგუფის კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან შვილები (მათ შორის შვილად აყვანილები), მეულე, შრომისუუნარო მშობლები, აგრეთვე სხვა შრომისუუნარო პირები, რომლებიც გარდაცვალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ არანაკლებ ერთი წლისა მის გარდაცვალებამდე.

თუ შვილი გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნამდე, მისი წილი ქონება გადაეცემა მის შვილებს (სამქვიდროს დამტოვებლის შვილიშვილები), ამ უკანასკნელთა გარდაცვალების შემთხვევაში — მათ შვილებს (სამქვიდროს დამტოვებლის შვილიშვილის შვილებს).

მეორე ჯგუფის კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვალებულის შრომისუუნარიანი მშობლები. ამ ჯგუფის მემკვიდრეები მიიღებენ გარდაცვალებულის ქონებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი ჯგუფის კანონით მემკვიდრეები არ არსებობენ, ან მათ კანონით დადგენილი წესით არ მიიღეს გარდაცვალებულის ქონება.

მესამე ჯგუფის კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვალებულის დები და ძმები. ამ ჯგუფის მემკვიდრეები გარდაცვალებულის ქონებას მიღებენ ისეთ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობენ პირველი და მეორე ჯგუფის კანონით მემკვიდრეები ან მათ არ მიიღეს გარდაცვალებულის ქონება.

თვითეული ჯგუფის კანონით მემკვიდრეთა შორის სამქვიდრო ქონება ნაწილდება თანასწორწილად. ამას გარდა სახლის მოწყობილობა, ფუფუნების საგნების გამოკლებით თანასწორ საფუძველზე ნაწილდება იმ მემკვიდრეთა შორის, რომლებიც გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ.

შეუძლია თუ არა იმ მოქალაქეს, რომელსაც ჰყავს შვილები, მეულე და შვილები თავისი ქონება ანდერძით გადასცეს დებს ან ძმებს?

ყველა მოქალაქეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან ამ ქონების გარკვეული ნაწილი ანდერძით გადასცეს კანონით მემკვიდრეთა შორის ერთს ან რემონტინმე პირს, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი ჯგუფის მემკვიდრე არის აღნიშნული პირი.

ამრიგად, მოქალაქეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვოს დებს და ძმებს და ქონების წილის გარეშე დასტოვოს პირველი და მეორე ჯგუფის კანონით მემკვიდრეები. ამასთან მოანდერძეს არ შეუძლია თავის არასრულწლოვან შვილებს და სხვა შრომისუუნარო მემკვიდრეებს ჩამოართვას მემკვიდრეობის უფლება ქონების იმ წილზე, რომელიც მათ უნდა მიეღოთ კანონით მემკვიდრეობის დროს.



**შეუძლია თუ არა სასამართლოს განიხილოს საქმე შვილად აყვანის ფაქტის
დადგენის შესახებ?**

შვილად აყვანილის ან შვილად ამყვანის გარდაცვალების შემდეგ, თუ მათ
სიცოცხლეში შვილად აყვანა სათანადოდ არ ყოფილა გაფორმებული, საქმე
შვილად აყვანის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოში არ შეიძლება იქნას
განჩილული.

ამასთან, თუ შვილად აყვანა თავის ღროზე სათანადოდ იყო გაფორმებუ-
ლი, მაგრამ ჩანაწერი განადგურდა ან დაიკარგა, ამ შემთხვევაში საქმეს შვილად
აყვანის რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ განიხილავს სასამართლო.

**ჩაითვლება თუ არა შვილად აყვანილი თავისი წარმოშობით ნათესავების
შემკვიდრედ?**

შვილად აყვანილი და მისი შთამომავლობა შვილად ამყვანის მიმართ შეი-
ძლის ყველა პირად და ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს, როგორც შთამო-
მავლობითი ნათესავები. ამავე ღროს შვილად აყვანილი და მისი შთამომავლობა
კარგავს ყველა უფლებას და მოვალეობას თავისი შთამომავლობით ნათესავების
მიმართ. კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად შვილად აყვანილი არ ითვლება
თავისი წარმოშობითი ნათესავების (მშობლების, ძმების, დების) მემკვიდრედ.

შვილად აყვანილი და მისი შთამომავლობა ითვლება შვილად ამყვანის მემ-
კვიდრედ.

**პენსიის დასანიშნავად შრომის სტაჟის მოწმეების ჩვენებით დადგენის
ახალი წესები**

პენსიის მიღების უფლების დადგენისას შრომის სტაჟის დამატებიცებელ
ძირითად საბუთს შრომის წიგნაკი წარმოადგენს. გარდა ამისა, მიღება აგრეთვე
სხვა საბუთებიც, მაგალითად შრომის სიები, ცნობები, მოწმობები, გაცემული
სამუშაო ადგილებიდან და სხვ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშრომელის სტაჟი საბუთებით მთლიანად არ
მტკიცდება და შეუძლებელია მათი მიღება საჭარბოს ან დაწესებულების სრუ-
ლი ლიკვიდაციის ან საარქივო მონაცემების უქონლობის გამო, პენსიის დასა-
ნიშნავად საჭირო დანაკლისი სტაჟი შეიძლება დადგენილი იქნას ორი მოწმის
ჩვენების საფუძველზე; ამასთან აუცილებელია, რომ ერთერთი მოწმე იცნობდეს
განმცხადებელს ერთ საჭარბოში, დაწესებულებაში ან ერთ სისტემაში ერთად
მუშაობით და საბუთით დაამტკიცოს თავისი მუშაობის ფაქტი იმ პერიოდში,
როდესაც განმცხადებელი მუშაობდა მასთან ერთად. მაგრამ მოწმეს არ მოეთხო-
ვება საბუთებით ამტკიცოს თავისი მუშაობა მთელ იმ პერიოდში, რასაც ამტკი-
ცებს განმცხადებელი.

სსრკ მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტის
1958 წლის 4 ივნისს განმარტების თანახმად მოწმეების ჩვენებით შრომის სტა-
ჟი შეიძლება დამტკიცებული იქნას ისეთ შემთხვევებში, როდესაც პენსიის და-
სანიშნავად საჭირო შრომის სტაჟის არანაკლებ ნახევრისა დამტკიცებულია სა-
ბუთებით.

განვმარტოთ მაგალითით: მუშაკმა მიმართა სოციალურ უზრუნველყოფის

ვანკოფილებას მოხუცებულობით პენსიის დასანიშნავად. საბუთებით დამტკიცა 12½ წლის შრომის სტაჟი, დანარჩენი 12½ წლის შრომის სტაჟი დამტკიცა მოწმეების ჩვენებით, რამდენადაც დაწესებულება, სადაც ის მუშაობდა, ლიკვიდირებულ იქნა და არც არქიში აღმოჩნდა სათანადო მასალა.

განმცხადებელს მოხუცებულობის პენსია უნდა დაენიშნოს საერთო წორებით.

ეს წესი უნდა იქნას გამოყენებული აგრეთვე შეღავათიანი პირობებით ან შეღავათიანი ოდენობით პენსიის დანიშნვის დროსაც.

საკითხის ნათელსაყოფად მოვიყვანთ 2 მაგალითს:

55 წლის ელექტროშემდულებელმა მოხუცებულობით პენსიაზე გადასასვლად წარადგინა შრომის წიგნაკი, რომლის ჩანაწერებით მტკიცდება შრომის სტაჟი ელექტროშემდულებლის პროფესიით 6 წელი და 3 თვე, ხოლო სხვა პროფესიით მუშაობისა 12½ წელი. ამავე დროს მოწმეების ჩვენებით დადგინდა შრომის სტაჟი ელექტროშემდულებლის პროფესიით მუშაობისა — 6 წელი და 3 თვე.

განმცხადებელს დაენიშნება მოხუცებულობით პენსია შეღავათიანი პირობებით № 2 სიით, რადგანაც ელექტროშემდულებლის პროფესია გათვალისწინებულია აღნიშნული სიის 32-ე განაყოფით.

50 წლის მეშახტე მნგრეველმა მოხუცებულობით პენსიაზე გადასასვლად წარადგინა შრომის წიგნაკი, რომლის ჩანაწერებით დადასტურდა 5 წლის მუშაობის სტაჟი მნგრეველის პროფესიით და 10 წლის სტაჟი საერთო სამუშაოებზე, ხოლო მოწმეების ჩვენებით დადასტურდა 5 წელი მნგრეველად მუშაობის სტაჟი. მას უნდა დაენიშნოს მოხუცებულობით პენსია შეღავათიანი პირობებით.

პენსიების არასრული სტაჟით დანიშნისას მოწმეების ჩვენებით შეიძლება დადგნილი იქნას იმავე ხანგრძლივობის სტაჟი, როგორიც დამტკიცებულია საბუთებით.

მოხუცებულობით პენსიები არასრული სტაჟით დაენიშნებათ მუშებს და მოსამსახურებს, რომლებმაც მუშაობის პერიოდში მიაღწიეს მათვის პენსიის დასანიშნავად საჭირო ასაკს, მათგაცმა 60 წელს, ქალმა 55 წელს და აქვთ მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 5 წლისა, მათ შორის არა ნაკლებ 3 წლისა უშუალოდ პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე.

მაგალითად, მუშა-ქალს 55 წლის ასაკში აქვს საერთო შრომის სტაჟი 10 წელი, აქედან 3 წელი უშუალოდ პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე. ღოკუმენტებით დამტკიცებულია 5 წლის შრომის სტაჟი, დანარჩენი 5 წელი დადგნილია მოწმეების ჩვენებით. განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს მოხუცებულობით პენსია არასრული სტაჟით.

თუ ამავე განმცხადებელმა მიმართა მოხუცებულობით პენსიის დასანიშნავად უკვე არა მუშაობის პერიოდში, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, ამ შემთხვევაშიაც მას შეუძლია მიიღოს მოხუცებულობის პენსია, თანახმად სსრკ მინისტრთა საბჭოს შრომის და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტის 1958 წლის ივლისის განმარტებისა.

ამ განმარტებასთან დაკავშირებით პენსიების დანიშნის შესახებ წინა გადაწყვეტილებების გადასახვა არ წარმოებს.

შრომის სტაჟის დადგენაზე მოწმეებად არ შეიძლება დაშვებული იქნან ის მოქალაქეები, რომლებიც განმცხადებელთან ახლო ნათესაურ ურთიერთობაში ან მის კმაყოფაზე იმყოფებიან.

იმ შემთხვევაში, თუ მოწმეები ცხოვრობენ სხვა რაიონებსა ან ქალაქებში, სოციალური უზრუნველყოფის ის რაიონული განყოფილება, რომელსაც მუშაკ-მა მიმართა პენსიის დასანიშნავად, ანდობს მოწმეთა დაკითხვას რაიონულ სოც-უზრუნველყოფის იმ განყოფილებას, სადაც მოწმეები ცხოვრობენ.

საკავშირო თაობირი საგჭოთა დამოკავილის განვითარებისა და სოციალური კანონიერების განვითარების საკითხებზე

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ და მ. გ. ლომინოსიფის სახელმის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა 1958 წლის 17-20 ნოემბერს ქ. მოსკოვში მასწავლებელთა კავშირის იურიდიულ უმაღლეს სასწავლებელთა მუშაკების სამეცნიერო თათბირი თემაზე: „საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარება და სოციალისტური კანონიერების განვითარება“.

თათბირის მიზანი იყო სოციალისტური კანონიერების საკითხების განხილვა იურიდიულ მეცნიერების ცალკეული დარგების მიხედვით თა სახელმწიფო ბოიი საქმიანობის სხადასხვა სფეროში მათი გამოვლინების თვალსაზრისით.

საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი პროფესორი დ. ს. კარევი, თათბირში მონაწილეობის მისამებად მოიწვა არა მარტო საბჭოთა კავშირის იურიდიული უმაღლესი სასწავლებლებისა და საამეცნიერო-კალევითი დაწესებულებების წარმომადგენლები, არამედ პროფესიურატურისა და იუსტიციის დარგის პრაქტიკული მუშაკებიც. თათბირშე მიპარიტებულ იყვნენ აგრეთვე სტუმრები მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნებიდან — პოლონეთიდან, ჩეხსლოვაკიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან, გერმანიის დემოკრატული რესპუბლიკიდან.

საქართველოდან თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სტალინის სახელმისის თბილისის უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანმა დოცენტმა გ. ინწერელომა.

თათბირშე მოეწყო რჩი პლენარული სხდომა, ხოლო ძირითადი მუშაობა წარმოებდა სხვადასხვა დარგობრივი სექციების მიხედვით. სულ მუშაობდა 9 ასეთი სექცია.

პლენარულ სხდომაში თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს პროფ. ნ. გ. ოლექსანდროვის მოხსენება, „საბჭოთა დემოკრატია და სოციალისტური კანონიერება კომუნიზმში თანდათან წობით გადასვლის პერიოდში“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დემოკრატიის განვითარება და კანონიერების განმტკიცება ერთაან პროცესს წარმოადგენს, რაც იმის მტკიცებული დამახასიათებელია სოციალისტური წყობილებისათვის. საბჭოთა დემოკრატია ასა და სოციალისტური კანონიერებას შორის ურთიერთკავშირი იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტური კანონიერება, როგორც მოქალაქეთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციათა დემოკრატიული უფლებების განხორციელების უკილებელი პირობა, წარმოადგენს საბჭოთა დემოკრატიის უზრუნველყოფისა და შემდგომი განვითარების ერთერთ უმთავრეს საშუალებას, ხოლო მეორეს მხრივ, საბჭოთა დემოკრატია, რომელიც უზრუნველყოფს კანონდებლობის ჭეშმარიტად სახალხო ხასიათს და მშრომელთა ფართო მასების მიერ კანონების შესრულებაზე საზოგადოებრივი. კანტროლის განხორციელების შესაძლებლობას, — წარმოადგენს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანეს პირობას.

სოციალისტური კანონიერება, აღნიშნა მომხსენებელმა, გამოდის, ჯერ ერთი, როგორც სახელმწიფო პარატის საქმიანობის პრინციპი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ორგანები ახორციელებენ თავანთ ფუნქციებს კანონით მკაცრად დაგენილ ფარგლებში და განუხრელად იცავენ მოქალაქეთა და მათ საზოგადოებრივ თრგანიზაციათა უფლებებს. გარდა ამისა, კანონიერება გამოდის როგორც მთელი მოსახლეობის ჯერადის ცეკვის პრინციპი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მოქალაქე ვალდებულია ზესტად იცავდეს კანონებსა და მათ საფუძვლზე გამოცემულ კანონქვემდებარე აქტებს.

ამრიგად, სკვერის მომხსენებელი, სოციალისტური კანონიერება არის სახელმწიფო მმართველობისა და მართლმასაჯულების პრინციპიც და მოქალაქეთა ქცევის პრინციპიც. კანონიერების განმტკიცება ნიშანას იმ რეჟიმის გამარტინას, რომლის დროსაც სამართლის დარღვევებს ან



სულ არ ექნება ადგილი, ან კიდევ იშვიათად ექნება ადგილი, დროულად გამოვლინდება და შეფეხად მოყვება დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობა.

მეორე მოხსენება პლენარულ სტატუსზე, რომელიც გაკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. ს. რომაშ-კინმა, ესებორა სოციალისტური კანონიერების საკითხებს ვარშავის საერთაშორისო კონფერენციაზე. ეს სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა 1958 წლის სექტემბერში სოციალისტურ ქვეყნებში კანონიერების მდგრადირების საკითხებზე.

ვარშავის კონფერენციამ, აღნიშნა მომხსენებელმა, დაადასტურა სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების იურიდიული მეცნიერების წარმომადგენლების სრული ერთიანობა სოციალისტური კანონიერების შინაარსისა და დანიშნულების გაგების საკითხში. კონფერენციის მონაწილე სოციალისტური ქვეყნების ყველა წარმომადგენლმა ერთსულოვნად უარყო ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორის რ. ლუკინის მოხსენებაში („კანონიერება იუგოსლავიში“) მოკემული თვალსაზრისი, რითც ნათელყო სახელმწიფოს საკითხში იუგოსლაველი რევზიონისტების კონცეფციის გაკორტება.

კონფერენციაზე გადაჭრით იქნა დაგმობილი ზოგიერთი ბურუჟაზიული იურისტის მიერ წამოყენებული თეზისი იმის შესახებ, თოთქოს სოციალისტური კანონიერება არ გულისხმობდეს საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესების პარმონიულ შეთავსებას. პირიქით, სოციალისტური კანონიერების განსაზღვრაუში, საბჭოთა იურისტების აზრით, შეტანილი უნდა იქნას მითითება მოქადაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. სწორედ ასეთი განსაზღვრა იყო წამოყენებული კონფერენციაზე საბჭოთა იურისტების დელეგაციის წევრის პროფ. ვ. გ. ჩხიფავაძის მოხსენებაში.

ამს. რომაშ-კინმა შემდეგ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ კონფერენციამ დადასტურა სოციალისტური ქვეყნების იურისტების მიერ სახელმწიფოსა და სამართლოს თეორიის პრობლემების ერთობლივ დამუშავების, სოციალისტური ქვეყნების იურიდიული სამეცნიერო საზოგადოებრიობის მომადლების ურთიერთობის შემდეგ არ გაიცილოს აუცილებლობა.

სახელმწიფოსა და სამართლის ორინის სექციის ხაზით საინტერესო მოხსენება გაკეთა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოკუმენტმა ა. გ. ლაშინმა თემაზე „სოციალისტური სახელმწიფოს დემოკრატიზმი“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოციალისტუ-

რი დემოკრატიზმის განვითარება ნიშნავს საპოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სულ უფრო მზარდ დემოკრატიზაციას, მოქალაქების სუბიექტურ უფლებათა მატერიალური გარანტირების განვითარებულ ზრდას. პროლეტარიატის დიქტატურის სისტემის განვითარებას და მისი პოლიტიკური რეაბიტი შემდგომი დემოკრატიზაციის მატერიალური, ამბობს იგი, საბჭოთა სახელმწიფოს ფორმის განვითარება მისი ამოკანებისა და ფუნქციების შეცვლათან დაკავშირებით და აგრძელებულ ზშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებაში.

პერმის უნივერსიტეტის დოცენტმა ა. ვ. რიბინმა თავის მოხსენებაში „საზოგადოებრიობის როლი სოციალისტური კანონიერებისათვის ბრძოლაში“, აღნიშნა, რომ საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა კანონიერების განმტკიცების საქმეში სოციალისტური დემოკრატიის შემსარტულ ხალხური ბუნების მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს, მაგრამ ამ საქმეში მოული რიგი ნაკლოვანებები არსებობს. ერთერთ ნაკლოს, რომელიც ხელს უშლის სოციალისტურ კანონიერების უზრუნველყოფაში საზოგადოებრიობის უფრო ქმედით მონაწილეობას, მომხსენებლის აზრით წარმოადგენს საბჭოთა სამართლის არასაქმარისი პროპაგანდა. გარდა მისა, საჭიროა უფრო მეტი მუშაობა კანონიერების დარღვევის მიზეზების შესწავლისათვის, ისეთი უარყოფითი მოვლენების თავიდან აცილება, როგორიცაა მაგალითად ბიუროკრატიზმი შემომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმეში, ზოგიერთი სახელმწიფოს თანამდებობის პირის არასაქმარისი რეაგირება მოქალაქეთა გამოსვლებზე კრებებსა და პრესაში და სხვ.

ამავე სექციაში წაკითხული მოხსენებებიდან აღსანუშავია აგრძელებული კლინიკური დოკუმენტის დოცენტის ვ. ს. პეტროვის მოხსენება „საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციებისა და ფორმის განვითარება და სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა“. სექციის მონაწილეებმა არ გაიზარეს მომხსენებლის მექრწარმოდგენილი კლასიფიკაცია საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციების შესახებ, მისი განვითარების მეორე მთავარ ფაზაში, კერძოდ, სახელმწიფოს ურთერთ შინაგან ფუნქციად მნი დაასახელა სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა. მაგრამ, როგორც კამათში გამოსულმა ამხანგებმა აღნიშნეს, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციად

კი არ არის, არამედ საერთოდ ჩვენი სახელ-
მწიფოს მიზანი და დანიშნულებაა.

სახელმწიფო და აღმინისტრუციული სამართ-
ლის სექციის ხაზით წაკითხულ მოხსენებებიდან
აღსანიშნავია მოსკოვის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის დოკუმენტის გ. ვ. ბარაბაშევის მოხსენე-
ბა „დემოკრატიის შემდგომი გაფართოება აღ-
გილობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზა-
ციაში“, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის დოკუმენტის ს. ვ. ჩავინის მოხსენება
„სსრ კერძორისა და მოკავშირე რესპუბლიკებს
შორის ურთიერთობის სამართლებრივი სა-
ფუძველი“, მოსკოვის უნივერსიტეტის პრო-
ფესორის ა. ი. ევტინევის მოხსენება „სოცია-
ლისტური კანონიერების უზრუნველყოფა აღ-
მინისტრაციული პასუხისმგებლობის დროს“
და სხვ.

სამოქალაქო სამართლის სექციაში დღიდ ინ-
ტერესით იქნა მომზენილი პროცესორ პ. დ.
კამინსკაიას მოხსენება „სახელშეკრულებო დის-
კიპლინა“. მომხსენებებმა აღნიშნა, რომ სო-
ციალისტური კანონიერების განხორციელება
სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამოიხა-
ტება, უპირველესად ყოვლისა, სახელშეკრუ-
ლებო დისკიპლინის განუხრელი დაცვით, რო-
მელიც სახელმწიფო დისკიპლინის ერთ-
ერთ ფორმას წარმოადგენს.

სახელშეკრულებო დისკიპლინა, როგორც
სამართლებრივი ინსტიტუტი, მომხსენებლის
აზრით შედგება ურთიერთობათა თრი კომპლექ-
სისაგან. პირველი კომპლექსი მოიცავს იმ ურ-
თიერთობებს, რომლებიც წინ უსწრებენ ხელ-
შეკრულების დადგებას, ადგილი იქნა ხელშეკ-
რულების დადების დროს და დასრულდებიან
ხელშეკრულების დადგებით. ურთიერთობათა ეს
კომპლექსი რეგულირებულია არა მარტო
სამოქალაქო სამართლის, არამედ აღმინისტრა-
ციული სამართლის ნორმებითაც. სახელშეკრუ-
ლებო დისკიპლინაში შემავალი ურთიერთობე-
ბის მეორე კომპლექსი დაკავშირებულია ხელ-
შეკრულების შესრულებასთან რაოდენბრივი
და ხარისხბრივი მაჩვენებლების მხედვით.

ორიგე ამ კომპლექსის ურთიერთობათა დე-
ტალური განხილვის შემდგა მომხსენებელი ასკ-
ვნის, რომ სახელშეკრულებო დისკიპლინის
მნიშვნელობა სახალხო-სახელმწიფო გეგმის შეს-
რულებისათვის, სოციალისტური საკუთრების
დაცვის, სამეცნიერო ანგარიშის განმტკიცებისა
და საბრუნავი სახსრების მოძრაობის დაწარე-
ბისათვის, აუცილებელს ხდის კანონით დადგე-
ნილ კველა გზებისა და საშუალებების სრულად
და მოქნილად გამოყენებას ცალკეულ საწარ-
მოებზე (იურიდიულ პირებზე), პერსონალურად

ხელმძღვანელებზე და იმ თანამდებობის პი-
რებზე ზეგავლენის მიზნით, რომელთა საქმია-
ნობაზეა დამოიდებული სოციალისტური მე-
ურნეობის უპირატესობათა და სამეცნიერო კავ-
შირების სამართლებრივი ფორმის — ხელშეკ-
რულებების რეალური გამოყენება.

სამოქალაქო სამართლის სექციის ხაზით
წაკითხულ სხვა მოხსენებებიდან აღსანიშნავა
ტარტუს უნივერსიტეტის დოკუმენტის ე. ი. ლა-
სიეს მოხსენება „სოციალისტური კანონიერე-
ბისა და სახელშეკრულებო დისკიპლინის გან-
მტკიცება მიწოდების ურთიერთობებში“, ყა-
ზახეთის უნივერსიტეტის დოკუმენტის ბ. გ. ბასი-
ნის მოხსენება „მოქალაქეთა საბინი ინტერე-
სების დაცვა სოციალისტური კანონიერების
გამტკიცების ამოცანების თვალსაზრისით“ და
სხვ.

სამოქალაქო სამართლის პროცესის სექციაში
წაკითხულ მოხსენებებიდან აღსანიშნავა სევერ-
დოლესკის იურიდიული ინსტიტუტის პროფე-
სორის კ. ს. იუდელსონის მოხსენება „ანო-
ნიერების შემდგომი განმტკიცების შესახებ სა-
მოქალაქო სამართლის პროცესში.“ მომხსენებ-
ლის აზრით, სამოქალაქო საქმებზე სახალხო
სასამართლოების მოღვაწეობაში კანონიერების
დაცვის უმნიშვნელოვანებს პირობას წარიმას ია-
ვენს, უპირველესად ყოვლისა, იმ სამართლებ-
რივი ნორმების შესრულება, რომლებიც არე-
გვლიორებენ საქმის აღმრას და მათ წინაშტარ
მომზადების განხილვისათვის. გარდა ამისა, აუ-
ცილებელია იმ ნორმების დაცვა, რომლებიც
შეეხებიან სასამართლოს მტკიცებით საქმიანო-
ბას.

გადაწყვეტილების კანონიერება და მისი და-
საბუთებულობა, აღნიშნავს მომხსენებელი, მო-
ითხოვს გადაწყვეტილების კარგ მოტივიერებას. მოსამართლები ხშირად ბოროტად იყენებენ
რსულს სამოქალაქო სამართლის საპროცესო
კოდექსის 177 მუხლს, რომლის მიხედვითაც
სასამართლოს უფლება აქვს სხდომის დასა-
რულს გამოაცხადოს მხოლოდ გადაწყვეტილე-
ბის რეზოლუციური ნაწილი, ხოლო სრული
გადაწყვეტილება შეადგინოს 3 დღის ვადაში.
ეს წესი გათვალისწინებულია მხოლოდ განსა-
კუთრებულ შემთხვევებისათვის. ამიტომ მოსა-
მართლები მას ხშირად არ უნდა იყენებდნენ
და ამავე დროს, სპეიროა, რომ ამ მუხლის გა-
მოყენება სპეციალური საპროცესო ფორმით
(დადგენილებით) იქნას განხორციელებული სა-
სამართლოს მიერ.

სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორებითი
სამართლის სექციის ხაზით თათბირზე მოსმე-

ნილ იქნა შემდეგი მოხსენებები: მოსკოველ
პროფესიონალი ა. ა. გერჩერზონისა „სოცალისტუ-
რი კანონიერების შემდგომი განვრჩიცა და
დააზაულობათა შესწავლის და თავიდან აცი-
ლების ზოგიერთა საკითხი“, მოსკოვის უნივერ-
სიტეტის დოკენტის ი. მ. ტკაჩევსკისა—„შრო-
მა — გამასწორებელი მუშაობის შეფარდების
ზოგიერთი საკითხი“ და სხვ.

სისხლის სამართლის პროცესის სეტიფიკაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ლოვოის უნივერსიტეტის დოცენტის პ. ო. ნედალის მოხსენებაში „მოსამართლეთა შინაგანი რწმენა და სოციალისტური კანონიერება“.

იგი აღნიშნავს, რომ სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო გადასინჯულ და შესწორებულ იქნას ის ფორმულა, თითქოს მტკიცებათა და მათ მიერ დამადასტურებელი ფაქტების მართლზომიერების კრიტერიუმს წარმოადგენს მოსამართლეთა შინაგანი რწმენა.

თანამედროვე ჰერიოლში, მომსხვენებლის პზ-
რით, ერთადერთ საფუძველს სასჯელის ზომის
დაინიშნისათვის წარმოადგენს კანონი. რსფსრ
სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის
ფორმულირება, რომლის მიხედვითაც კანონის
გვერდით მოქმედებს აგრძელება მართლშეგნება,
მოქველებულია და ასახავს იმ დროს, როდესაც
მართლშეგნება აქცენტიდან კანონს. ამჟამად კი
მართლშეგნება, ე. წ. მოსამართლეთა შინაგანი
ჩრშენა, წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას
სამართლის ნორმების სწორად შეფარდებისათ-
ვის, ზრდიცებულობათ სინგრადილის შეფასე-
ბისათვის. ამის საშუალებით სასამართლოს შე-
საძლებლობა ექლევა დააღინოს ნორმის კავ-
შირი კონკრეტულ ფაქტებთან, იურიდიულად
სწორად შეაფასოს ისინი, ხოლო სასჯელის და-
ინიშნის დროს იხელმძღვანელოს მხოლოდ კა-
ნონით და გაითვალისწინოს დანაშაულის სა-
მიშროება, დამარაცვის პიროვნება და მისი
მრალი, დამამიმებელი და შემამსუბუქებელი
გარემონანი.

ამავე სექტიაში წაკითხული მოხსენებებიდან აღსანიშნავია მოსკოვის უნივერსიტეტის დო-

ცენტრის 6. ი. კალაშნიკოვას მოხსენება „არზა-
რალებულის უფლებათა გარანტიები საბჭოთა
სისხლის სამართლის პროცესში“, ლატვიის
უნივერსიტეტის დოკენტის ა. ა. ლიედეს მოხ-
სენება „არასრულწლოვანთა დანაშაულის შე-
სახებ საქმეთა წარმოების თავისებურებანი
ლატვიის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსის პროექტში“ და სხვ.

შრომის სამართლის სექციაში მოსხენილ იქ-
ნა შედეგი მოხსენებები: მოსკოვის უნივერსი-
ტეტის პროფესორის ა. ე. პაშერასტრიკისა, „შრო-
მის საქმეთა განხილვის წესის შესახებ კანონ-
მდებლობის განვითარების ზოგიერთი საკით-
ხი“, სკოლლოვსკის იურიდიული ინსტიტუტის
დოცონტის ბ. კ. ბეგიჩევისა, „პროფესიის
როლი მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო (სამსა-
ხურებრივი) დასასიათებების თაობაზე შრომის
დავათა გაღმიცემული“ და სხვ.

საერთაშორისო სამართლის სეკციის ხაზით
მოსმენილი იქნა ორი მოხსენება: მოსკოვის
უნივერსიტეტის პროფესორის ც. ი. კოჯავანი-
კოვისა „საერთაშორისო სამართლის საყოველ-
თაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები“
და სვერდლოვსკის უნივერსიტეტის დოცენტის
ი. ი. ლუკაშვილისა — „სოციალისტურ სახელ-
მწიფოთა საერთაშორისო ხელშეკრულებების
შემარიტი დოკუმენტისამდებარება“.

მთლიანად თაბირი მდგალ თეორიულ ღონე-
ზე ჩატარდა. ამავე ღრის იგი კარგად იყო ორ-
განიშვებული. ყველა სექციაში წაკითხული მოხ-
სერებების თეზისები დაგეჭილია იქნა და დაუ-
რიგდა თაბირის მონაწილეებს. თაბირის მო-
ნაწილეებმა ერთსულოვნად გამოიკვეს სურვი-
ლი იმის შესახებ, რომ შემდეგი საკავშირო
თაბირი მოეწყოს ერთერთი მოკავშირე რეს-
პუბლიკის დელაქანქში.

ସବଲେଧାଶତ୍ରୂହିତ କମଲାବଦୀ:

୩. ଲୋମିଦ୍ବୀ (ରେଡାକ୍ଟରରୀ), ୫. ବାରାତାଶ୍ଵିଲୀ, ୭. ତମତୁରିଦ୍ବୀ, ୯. ନିର୍ମିଳାବେଲୀ,
୮. ଲେକ୍ଷ୍ମୀଶ୍ଵରି (ରେଡାକ୍ଟରରୀ ମନାଦ୍ଵାରା ମନ୍ଦିରରେ), ୯. କର୍ଣ୍ଣତୀଶ୍ଵରି,
୧୦. ଶ୍ରୀରାଜେଶ୍ବରି.

დასტ 5 მან.

13558/65
გრიგორე
გამარჯვებული

ЗУ

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Министерства юстиции, Прокуратуры и Верховного Суда
Грузинской ССР